

**ივანე ლიძოკელი**

**ხევსურეთის სისხლიანი 37**



**ლიძოკის ტარტიკაული**



**არტანუჯი  
თბილისი**

კომუნისტური რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ოკუპაციისას მე-11 წითელმა არმიამ ასეულობით ჯარისკაცი დაკარგა ხეესურებთან ბრძოლაში 1922 წელს.

ხეესურთა ოპოზიციური განწყობილება გრძელდებოდა 30-იან წლებშიც.

1936-1937 წლების საერთო კომუნისტური რეპრესიების მსახვერალი ხელი შეეხო ხეესურეთსაც. განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს ლიქოკელთა თემის მიმართ.

როგორი იყო ლიქოკელთა გეარის ისტორიული წარმომავლობა?

ამ საკითხებზე მოგვითხრობს წინამდებარე ისტორიული ნარკვევი.

რედაქტორი პროფესორი გიორგი გოგოჭური

ISBN 978 99940-55-82-1

© ივანე ლიქოკელი, 2010.

© გამომცემლობა არტანუჯი, 2010.

## რედაქტორის დამწყალობება

„სხვა საქართველო სად არის?!“ — არსად, ის ერთია, ბედისწერის მიერ ჩვენთვის განკუთვნილი, სადაც „მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი“. დიახ, არა მარტო ბარი, მთაც! ის მთა, მალლიდან რომ გადმოსცქერს ბარს, ხან გასხივოსნებული შუბლით, ზოგჯერ კი ფიქრივით აშლილი ნისლებით დამძიმებული. „ორბი რომ ბუდობს“ და ყინულოვანი ჩანჩქერი გადმოქუხს. ხოლო „ცისკრის ჟამს“ მტერს მისდევს ალუდა ქეთელაური. იქნებ გაგითევია ღამე ბათარეკა ჭინჭარაულის კოშკში, ან იქნებ, მთვარიან ღამეში, ზვიადაურის საფლავიდან წამომდგარი ლანდი მოგჩვენებია? აი, ესაა ხევსურეთი. უცნაური, ლეგენდების ბურუსში გახვეული. ხოლო „ეს ნიგნი, არ არის ნიგნი“ (უოლტ უიტმენს ვებაძავ), იგი ცხოვრებაა ერთი გვარ-ტომის, სისაურთა შთამომავლობის, რომელიც, ვინ იცის საიდან მოსული, დაემკვიდრა ლიქოკად ნოდებულ ხეობაში და გახდა ლიქოკელი. ეს გვარი პატრონობდა ძალღიკა ხამიკაურის ხმალს. ახალ დროშიაც რომ დასჭირდა მისი გაშიშვლება, როცა 1922 წელს აქ შემოხვენილ ქაქუცა ჩოლოყაშვილს სტუმარ-მასპინძლობის წესის მიხედვით დაუდგნენ გვერდით. ამაზე მოგვითხრობს ივანე ლიქოკელის ნიგნი: „ხევსურები და ქაქუცა“, ხოლო წინამდებარე ნაშრომი გაგრძელებაა იმავე თემატური რკალისა, თუ რა შედეგი მოჰყვა მძლავრი იმპერიის წინააღმდეგ ხევსურთა მამაცურ დახვედრას და როგორ გადაუხადა სამაგიერო ხელისუფლებამ შემდეგ რეპრესიების სახით. შინსახკომის არქივებიდან გამოიხმო ავტორმა უსაფლავოდ დაკარგულთა სახეები და უკვდავების ძეგლი დაუდგა. ეს არაა მარტო ერთი მოდგმის სატკივარი, ეს ჩვენი საერთო ისტორიაა.

გადაიკითხე, დახურე ნიგნი და, წარმოიდგინე, ვისი გვარისა ხარ!

გიორგი (გიგა) გოგოჭური

3. 04. 09



## შესავალი

ვუძღვნი თავისუფლებისათვის  
თავგანწირულ გმირთა ხსოვნას

XX საუკუნის I მეოთხედში დამთავრდა კომუნისტური რუსეთის მიერ საქართველოს ხელახალი ანექსიის ყველაზე მწვავე ეტაპი. ამ ეტაპზე განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ხევსურებმა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ 1917 წლის შემოდგომიდან ხევსურთა სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის ორგანიზატორთა: გენერალ გიორგი მაზნიაშვილის, ოფიცრების ქაქუცა ჩოლოყაშვილის, შალვა ქარუმიძის, სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელის ინიციატივით თითქმის ყველა ბრძოლისუნარიანი ხევსური განვეული, შეიარაღებული და ჩარიცხული იქნა ქ. თბილისში ქართული ეროვნული არმიის რიგებში<sup>1</sup>. მათ თავისი ბატალიონის მეთაურად აირჩიეს შტაბსკაპიტანი სიმონ (სიმონიკა) ბაგრატიონ-მუხრანელი. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ 17-24 წლების ყველა ბრძოლაში, ხოლო 1922 წლის ზაფხულში ქაქუცას რაზმთან ერთად ცხარე ომი ჰქონდათ რუს დამპყრობლებთან ხევსურეთში. ამ ომში ტერიტორიის მტრის მიერ დაკავების მიუხედავად, ხევსურები თავს დამარცხებულად არ თვლიდნენ, რადგან რუსი კომუნისტები მრავალი ასეული ჯარისკაცის დაკარგვის შემდეგ იძულებული იყვნენ მალევე გასცლოდნენ ძნელად მოსადგომ ხევსურეთს. ისინი მორალურად გატეხილი არ იყვნენ. 30-იანი წლების შუა პერიოდისათვის აქ ფაქტობრივად საბჭოთა ხელისუფლება არ ფუნქციონირებდა. რადგან ამბოხებისას მტერს მრავალი ასეული ჯარისკაცი გაუნყვიტეს, თვითონ კი მხოლოდ 13 კაცი დაკარგეს; თუმცა კომუნისტებმა რიგი სოფლები მთლიანად გადაბუგეს, ქონება, საარსებო საშუალებები გაუძარცვეს, მოუსპეს, მაგრამ მებრძოლი სული ვერ გატეხეს<sup>2</sup>. ამდენად, დაუმორჩილებლობა გრძელდებოდა და იარაღით დაპირისპირების საშიშროებაც კვლავ არსებობდა. ხევსურების მხედრულ სიმტკიცესთან ერთად, მათ ფაქტობრივ დამოუკიდებლობას, პოლიტიკურ თავისუფლებას განაპირობებდა ამ მხრივ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური

<sup>1</sup> ივანე ლიქოკელი, ხევსურები და ქაქუცა, გამ. „არტანუჯი“, თბ., 2006, გვ. 170, 171.

<sup>2</sup> იქვე.

მდებარეობა, ცენტრიდან დაშორება, უგზოობა, რაიმე სახის კომუნიკაციების არ არსებობა, სრული სოციალურ-ეკონომიკური განკერძოებულობა და სიდუხჭირე.

კომუნისტებს ამბოხების ჩახშობისას გაღებული მსხვერპლის სამაგიეროს ზღვევინების წყურვილი სტანჯავდათ. მზაკურულ გეგმებს სახავედნენ და სათანადო დროს ელოდნენ. ეს დრო, საამისო გარემოება თვითონვე უნდა შეექმნათ და განახორციელეს კიდევ ეს მიზნები.

20-იანი წლების ბოლოს გაჩაღდა ხევსურეთის „ათვისების“ ღონისძიებათა ფართო იერიში. დაიწყო საავტომობილო გზის გაყვანა. ხევსურეთის ცენტრში, ბარისახოში სკოლის, სახელმწიფო დაწესებულებათა (ადმინისტრაციულ-სამმართველო, საფოსტო, საავადმყოფო, დასასვენებელი სახლი, ცოტა მოგვიანებით კოოპერატივი – მალაზიის და სხვ.) მშენებლობა და ფუნქციონირება. პროგრესულ-კულტურულ მშენებლობასთან ერთად თანდათან მზადდებოდა ნიადაგი მხარის ადმინისტრაციული დაუფლებით-სათვის, რაც ინტენსიურად გაჩაღდა 30-იანი წლების დასაწყისიდან.

სოფ. ბარისახოში აშენდა ჩვეულებრივისაგან განსხვავებული არქიტექტურისა და გაურკვეველი დანიშნულების კომფორტული, მრავალთაბიანი შენობა, რომელსაც „დასასვენებელ სახლს“ ეძახდნენ, თუმცა იქ დამსვენებელი არავის უნახავს. მასში თავიდანვე ჩასახლდა გაურკვეველი თანამდებობისა და საქმიანობის კაცი, გვარად მშვენიერაძე (სახელს არავინ ახსენებდა). ჰყავდა ერთადერთი დიასახლისი-მოსამსახურე, რუსი ქალი. ყველაფრიდან ჩანდა, რომ იგი ფართო ხელგაშლით ცხოვრობდა. ასე მაგალითად, მან თავისი საფერხე მოსაველეად მიაბარა ადგილზე საკმაოდ ცნობილ კაცს ბიძაჩემ ჩაჩაურ ლიქოკელს, რაშიც საკმაო გასამრჯელოსაც უხდიდა ვალდებულებით: დაძახებისთანავე დაუგვიანებლივ მიეგვარა ცხენი პატრონისთვის სრულად აღკაზმული (რა დაგვავინწყებს ჩვენ ძმაშინშებებს, 5-6 ბიჭს ამ ყორანივით შავ, ვფიქრობ, არაბული წმინდა სისხლის ბედაურს – საძოვარზე გაყვანისას ქარივით რომ დაჰქროდა ჩვენს კლდოვან ბილიკებზე, ტყაპა-ტყუპით გვისროდა თავისი პრიალა ზურგიდან და ძალაუნებურად გვაოსტატებდა უბელოზე მხედრობაში).

მე პირადად, მხოლოდ 70 წლის შემდეგ მივხვდი ამ კაცის თანამდებობას და ფუნქციას, როცა ნავიკითხე საარქივო დოკუმენტში ალექსი ოჩიაურის განმარტება: მშვენიერაძისგან მომივიდა ამერიკელი ჟურნალისტი დავალებით – ლიქოკში გაამგზავრეთ!<sup>1</sup>

<sup>1</sup> საქართველოს შსს საარქივო სამმართველოს ფონდი 6, საქმე 16002-60, ტ. 4, ფურც. 393 (შემდ. საქმე, ფურც...).

კომუნისტური ხელისუფლება ამ მიუდგომელი მხარის და უტეხი ხალხის დასამორჩილებლად ყველაზე ეფექტური საშუალებების განხორციელებას შეუდგა. ამ ღონისძიებებიდან საკმარისია დავასახელოთ საავტომობილო გზის გაყვანა, რომელმაც ხევსურს ზურგიდან ჩამოხსნა მარილის ლოდი და ნავთის ბიდონი ქალაქიდან სახლში რომ მიჰქონდა, ან საავადმყოფო, სადაც მძიმე ავადმყოფს უფასოდ მკურნალობდნენ და ნამალს სახლშიც ატანდნენ; ან რა სინდისი გამიჭრის, რომ ჩემს აღმზრდელ საყვარელ სკოლა-ინტერნატზე არ ვთქვა ორიოდ კეთილი სიტყვა (ყველაფერი სალანძღავი კი არ უკეთებიათ იმ ავადსახსენებელ კომუნისტებს). უდიდესი ინტერესისა და მიზიდულობის საგანი იყო უღარიბესი ხევსურისათვის შვილების უფასოდ სწავლება, ინტერნატში კვება და ზოგჯერ ტანისამოსის დარიგებაც, განსაკუთრებით ომის (1941-1945) უმძიმეს წლებში. მართალია, საკვები, სამოსი და ა. შ. სამყოფი არ იყო, მაგრამ მცირედიც დიდი შეღავათი იყო გაჭირვებული ხალხისთვის, ამიტომ იზიდავდა იგი მათ, განსაკუთრებით კი ბავშვებს.

აქ შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ერთ დეტალს: მართალია, ხელისუფლება უპირატესად საკუთარი მიზნებისთვის (კომუნისტური იდეოლოგიის ზეობისთვის) აკეთებდა ამას, მაგრამ ეს დადებითი, პროგრესულიც ხომ უბრალო მშრომელი ხალხისთვის კეთდებოდა. კომუნისტური იდეოლოგიით აღზრდილი ადამიანისათვის, განათლებული კაცისთვისაც შესაძლებელი აღმოჩნდა მონიჭულობის უამს ყველაფრის სიმართლით გაგება-გააზრება, თეთრის და შავის გარჩევა. ამის მაგალითია ჩემი თაობა. ჩვენ სხვებზე უკეთ ვერკვევით ბოლშევიკების შავ საქმეებში... დღესაც შეუძლებელია ღიმილის გარეშე გავიხსენო სკოლაში საზეიმო სხდომებზე ჩემი დეკლამაციები; IV-V კლასებში ყოველთვის გამოვყავდი ნითელი ჰალსტუხით „ყელდამშვენებული“, 4-5 გვერდიანი, მასწავლებლის მიერ შედგენილი ტექსტის ზეპირი დეკლამაციით (სიტყვების ხმამაღლა, გარკვევით გამოთქმა მახასიათებდა). ნარუშლელად ჩარჩა ჩემს მეხსიერებაში ტრაფარეტული წინადადება: „...მაგრამ თუ გადავხედავთ კაპიტალისტურ სამყაროს!..“ რა თქმა უნდა, წინა და შემდგომი ფრაზები აღარ მახსოვს და არცაა საჭირო, მათი აზრი ხომ ისეც გასაგებია.

აი, ასეთი იყო ჩვენი აღმზრდელი სასკოლო იდეოლოგია და გარემო. შინ, სახლში კი რეკდა მამაჩემის მრისხანე საპროტესტო თეზა (განსაკუთრებით მისი ორი პუნქტი): 1. კომუნისტებმა ჩამოაგდეს, მოკლეს მეფე. ამონყვიტეს მისი ოჯახი და მე-2 – მშრომელ კაცს, გლეხს დაარქვეს კულაკი და ოჯახიანად გაანადგურეს. ღმერთი როგორ აპატიებს

მათ ასეთ ცოდვებს! ავტორიტეტული მამის ნათქვამი ნაკლებ კვალს დატოვებდა ცნობიერებაზე!? მართლაც, ხომ ახდა მისი თვალსაზრისი ღვთის სამართალზე.

თუ როგორ განახორციელეს კომუნისტურ-ჩეკისტური ხელისუფლების ორგანოებმა ასეთი „საშიში, დაუმორჩილებელი მტრის“, ხევსურების დასჯა წარსული დანაშაულისათვის და „მორჯულება“ მომავალი ურთიერთობისათვის, როგორ მზადდებოდა „კონტრრევოლუციური, ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულება“, ვიგებთ შსს არქივის (ყოფილი ჩეკას) მასალების გაცნობით.

ამ ტრაგიკული ისტორიის მთავარი ნიუანსები ცნობილია აგრეთვე ყველა ასაკოვანი ლიქოკელისათვის, რადგან ეს მოძრაობა, ამბები ერთი – ორი (1936-1937) წლების მანძილზე მიმდინარეობდა ყოველად ღიად, საჯაროდ. თუ რაიმე კეთდებოდა ინდივიდუალურად, ცალკეული ადამიანების მიერ, ისიც ყველამ იცოდა, რადგან ეს პიროვნებები (ხევსურები) არაფერს მალავდნენ ერთიმეორესთან მათი გულუბრყვილობისა და მასში რაიმე საშიშროების ვერ დანახვის გამო. ეს ამბები 36-37 წლებიდან დღემდე მთელი საზოგადოებისათვის, და არა მარტო ლიქოკში, არამედ მთელ ხევსურეთშიც, ფართო განხილვა-განსჯის საგანი იყო მუდამ. ძირითადად ყველამ ყველაფერი ვიცოდით, თვით მოზარდებმაც, დოკუმენტური წყაროების გარეშეც.

როგორც მასალებიდან დავინახავთ, 36-37 წლების რეპრესიები ძირითადად წარიმართა ერთი თემის – ლიქოკის მიმართ. თავდაპირველად დაპატიმრებული 17 კაციდან 12 ლიქოკელი იყო. ეს გასაგებიცაა, 1922 წლის ამბოხების დროს და მომდევნო წლებშიც ლიქოკის თემი, მისი შვილები განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ. ამბოხებისას მე-3 მწვევე ბრძოლა გაიმართა ლიქოკის ხეობაში, სადაც კომუნისტებმა დაკარგეს ასობით ჯარისკაცი<sup>1</sup>.

აი, ყველაფერ ამაზე საუბარი იქნება ამ ნიგნში.

მადლობას ვუხდის საქ. შსს საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობას, ბ-ნ ზაზა ქორიძეს სათანადო მასალების მოძიებაში დახმარებისათვის.

ჩემი გულწრფელი მადლობა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის მეცნიერ-კურატორს ბ-ნ ლევან ურუშაძეს საჭირო კონსულტაციისა და ფოტოდოკუმენტების მონოდებისათვის.

<sup>1</sup> ი. ლიქოკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 133-149.



## ხევისურეთის სისხლიანი 37

### პოლიტიკური პროვოკაციის მომზადება ლიქოკის წინააღმდეგ

საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ გადანყვიტა საერთო საიმპერიო რეპრესიებში (1936-1937 წწ.) ხევსურეთიც ჩაერთო. რადგან, ფაქტობრივად, ხევსურეთში ამ პერიოდში რაიმე მასობრივ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას, მოძრაობას ადგილი არ ჰქონდა, მოიფიქრეს ფართომასშტაბიანი პროვოკაციის მოწყობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (შინსახკომი) შეიმუშავა გეგმა და შეუდგა მის განხორციელებას. ამ გეგმით უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელთა სახით ხევსურეთში უნდა შესულიყვნენ შინსახკომის შენიღბული აგენტი-პროვოკატორები და იქ გაეშალათ საბჭოთა მმართველობის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი აზრის აღძვრადანერგვა და ამ საფუძველზე კონტრრევოლუციური აჯანყების მომზადება თუ არა, მისი ინსპირირება მაინც.

1936 წლის დასაწყისიდან დაიწყო კიდევ ამ გეგმის განხორციელება. პროვოკაციის კონკრეტულ ობიექტად დასახული იქნა ლიქოკის თემი (ხეობა) ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა გამო. 1922 წლის ხევსურებისა და ჩოლოყაშვილის რაზმის გაერთიანებულ ამბოხებაში ეს თემი ერთ-ერთი წამყვანი იყო. მისი ბევრი წარმომადგენელი ბოლო დრომდე აგრძელებდა ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობას ე. წ. ყაჩაღობის ფორმით, ყოველ შემთხვევაში, შეიარაღებული აფარებდა თავს ტყეში. ამასთან, ლიქოკის ხეობა ხასიათდებოდა კომპაქ-

ტური დასახლებით, მჭიდრო გვაროვნული ნიშნით, მონოსარ-  
ნმუნოებრივი სიმტკიცით და პატრიოტულ-პატრიარქალური  
ტრადიციების ერთგულებით. ყოველივე ეს კონტრრევოლუ-  
ციური განწყობილების გაღვივების ხელსაყრელ პირობებს  
თუ არა, საამისო ილუზიებს მაინც ქმნიდა. მაშასადამე, ხე-  
ლისუფალთა აზრით, უბირი ხალხის პროვოკაციაზე წამოგება  
არც თუ ისე საძნელო იქნებოდა, ისევე, როგორც სათანადო  
და მიზნობრივი შედეგი.

დროის დაუკარგავად დაიწყო ამ გეგმის განხორციელე-  
ბა.

\* \* \*

1936 წლის იანვარში ხევსურეთში, ბარისახოში გამოჩნდა  
2 ტურისტი, ქალი და კაცი. ისინი თხილამურებით დასრია-  
ლებდნენ მთის ფერდობებზე, რითაც ცხოველ ინტერესს  
ინვევდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახ-  
ლად გახსნილი სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებში. ყველა  
ამბობდა, რომ ისინი იყვნენ ამერიკელები. ეს აქ სენსაცია  
იყო მაშინ.

ერთ საღამოს მშვენიერადის რეკომენდაციით ადგილობრივ  
მასწავლებელთან ალექსი ოჩიაურთან გამოცხადდა დასასვე-  
ნებელ სახლშივე მცხოვრები ამერიკელი თხოვნით – გამყო-  
ლთან ერთად გაეგზავნა იგი ლიქოკში. იქ, ჭალის სოფელში,  
იმ დღეებში ლიქოკის მთავარ სალოცავში (ხატში), „კარატის  
ჯვარში“ – (საგამოძიებო მასალებში იგი იხსენიება „კოპალ-  
ად“ (Храм «Копала») ტარდებოდა ნელინადის (ახალი წლის)  
დიდი დღეობა და ამერიკელ ჟურნალისტს ბევრი საინტერესო  
რელიგიური, ეთნოგრაფიულ-საყოფაცხოვრებო ადათ-წესების  
ხილვა და მოსმენა შეეძლო. ლექსო ოჩიაური იყო ხევსური,  
ადგილობრივ მოსახლეობაში პატივცემული და ბევრი ნაცნობ-

მეგობრის მყოლი კაცი. მან ამერიკელს გააყოლა მოზრდილი მოსწავლე (ხევსურეთის ახლად გახსნილ სკოლაში ერთ კლასში ისხდნენ 6-7 და 15-16 წლის მოზარდები) მამუკა ლიქოკელი, გაატანა წერილი კარგად ნაცნობ მეგობართან, თემში ერთ-ერთ თვალსაჩინო ლიქოკელთან თაძიათ ხახონთან თხოვნით, რომ სათანადოდ მიეღოთ, გამასპინძლებოდნენ და დახმარებოდნენ უცხოელ სტუმარს<sup>1</sup>.

ჯვარში ტარდებოდა დიდი ტრადიციული დღეობა საჯვარობო პერსონალის, უამრავი მეზღვნე-მლოცველის, სტუმრის და ა. შ. თანდასწრებით. ხახონმა თავისი სტუმარი ჩართო ამ საღვთო-სახალხო ზეიმ-დღეობაში. ქართულის არმცოდნე უცხოელს ადგილზევე გამოუძებნეს სათანადო თარჯიმანი, რუსული ენის მცოდნე ნასალდათარი, იქვე მეზობელ სოფელ ბაქჩვილოში მცხოვრები ლერენა ლიქოკელი (სხვათა შორის, ლიქოკში საკმაოდ ბევრნი იყვნენ მორუსულე ნასალდათარები: ჭრელიათ ბაბუკა - (ბორჯომის წყლის აღმომჩენი), აპარეკათ ხახონა, აპარეკათ ბათირა, იმედათ გიგია - „გერმანია“ (I მსოფლიო ომის დროს გერმანიაში ნატყვევარი და სხვ.).

ლერენა გიორგის ძე ლიქოკელი (ბიენათ ლერენა), თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, საკმაოდ კომუნიკაბელური პიროვნება იყო; თუმცა ადგილობრივ საზოგადოებაში არცთუ ძალიან თვალსაჩინო - „კაცთ კითხულ“ კაცად ითვლებოდა. ის შემთხვევის წყალობით - იმ დროს ჯვარში ყოფნით - იქცა ამ მოვლენების ნამყვან ფიგურად. მას ხევსურულ მუღლში ცხვირი ფუძიდანვე მთლიანად ხანჯლით ჰქონდა ამოკვეთილი და სახეზე დარჩენილი ორ ფოსო გარკვეულ დაღს ასვამდა მის პიროვნებას (ვფიქრობ, ამავე მიზეზით არ აღმოჩნდა მისი ფოტოსურათი საარქივო მასალებში).

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფურც. 274, 275.

ღერენას მეშვეობით „ამერიკელი“ საკმაოდ მარჯვედ შევიდა ნასვამ ხევსურებთან კონტაქტში და სავარაუდოა, რომ სასურველ თემებზეც ადვილად გადავიდა. ახლა ძნელია იმის მტკიცება, თუ პოლიტიკაზე მსჯელობის ნამოწყება რომელი მხარის ინიციატივა იყო. თუ ეს ტურისტის ჩეკისტების აგენტი იყო, ალბათ, ინიციატივაც მისი იქნებოდა. სიმართლე ის არის, რომ ამ პირველ შეხვედრაზევე ლიქოკელებსა და „უცხოელ“ სტუმარს შორის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის, მოსახლეობის თავისუფლების, ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობის, იარაღით მომარაგების საჭირობოროტო საკითხებზე იყო მსჯელობა და შემდგომი კონტაქტების გეგმებიც იქნა მოხაზული<sup>1</sup>.

ხევსურებს მთავრობისაგან დახმარება სჭირდებოდათ და არა შევიწროება, რომ ადგილზე ცხოვრება-არსებობა გაეგრძელებინათ. აი, პოლიტიკური დაპირისპირების მთელი არსი. ფაქტობრივად, ასე იყო საქმე და აღიარებაშიც ამას აცხადებდნენ დაპატიმრებულები<sup>2</sup>. საბჭოთა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დაიწყეს უკვე სოციალისტური ღონისძიებების გატარება: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის (ჯერ სავაჭრო), მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების (მატყლი, ტყავი, ყველი-ერბო...), შრომითი ბეგარის და სხვათა გატარება, რაც მეტად აშინებდა მეზობელი კუთხეების გამოცდილების მცოდნე ხევსურ მოსახლეობას. ისინი გადაჭრით აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ კოლმეურნეობათა და გადასახადების დაწესებას, რადგან მაშინ შიმშილით ამოწყდებოდნენ მძიმე ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამო. აი, წინააღმდეგობა მთავრობასთან (თუნდაც იარაღით) და არა შეიარაღებული აჯანყება. მათ 1922 წლის ომის შემდეგ 14 წელი ხომ იცხოვრეს თავისუფლად

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფურც. 12.

<sup>2</sup> ... საქმე, ფურც. 13.

და ამ გამოცდილებით თვლიდნენ, რომ მტკიცედ დგომით აკლავაც აიცილებდნენ ადმინისტრაციულ ძალმომრეობას. თორემ საბჭოთა ხელისუფლებას რომ ვერ მოერეოდნენ და ვერავითარი ამერიკა რომ ვერ მოეშველებოდათ, ეს კარგად იცოდნენ. თუ იარაღს მოაწვდიდა ვინმე მთავრობის მოსაგერიებლად, ამაზე თანახმა იყვნენ და ეს შესაძლებლადაც მიაჩნდათ. ეს კი სხვა რამეა და არა შეიარაღებული აჯანყება.

იარაღთან დამოკიდებულების საკითხი ერთ-ერთი უპირველესთაგანი იყო. იარაღს (თოფს) ხევსურისათვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა. თოფით იცავდა იგი მიწა-წყალს, სამშობლოს გადამთიელი მომხდურისაგან, თოფითვე იცავდა პიროვნულ, სოციალურ თავისუფლებას; იმითვე უნდა მოეგერიებინა ნადირი და ნანადირევი კი მიემატებინა თავისი სარჩო-საბადებლისათვის. ხევსურთა შეიარაღების, თოფებით მომარაგების საკითხები ნაკლებად ფიგურირებს „მეამბოხე“ ხევსურთა საგამოძიებო-სასამართლო საქმეებში. აქა-იქ გაკვრით თუა ისინი ნახსენები. აქ აქცენტი გადატანილია ანტი-სახელმწიფოებრივ, კონტრრევოლუციური შეთქმულების სამზადისზე. ორგანიზაციულ-პროპაგანდისტულ მუშაობაზე, როგორც სახელმწიფოებრივად უფრო საშიშ მოვლენაზე. რეალურად კი ამერიკა-ხევსურეთის „მოკავშირეობა“ იმ პერიოდში ძირითადად სწორედ იარაღით მომარაგების ვარაუდში თუ იქნებოდა გამოხატული. ამერიკის ჯარი რომ აქ ვერ მოვიდოდა, ხევსურებიც ხვდებოდნენ. ლიქოკში მაშინ საზოგადოებრივი აზრი ასეთი იყო: „იარაღს ამერიკელები მოგვანვდიან!“

ინფორმაცია ამ ამბებზე სწრაფად გავრცელდა მთელ ლიქოკში (და არა მარტო იქ). თვით 6-8 წლის მოზარდებმაც ვიცოდით ამის შესახებ. საუბარი, მსჯელობა წარმოებდა ღიად, უპირატესად რელიგიური დღეობების დროს. რამდენადაც ჩემს თაობას გვახსოვს, ეს თემა საჯარო მხარდაჭერით

მაინცა და მაინც არ სარგებლობდა. იგრძნობოდა მისი ხელოვნურობა, ნაძალადეობა. აშკარად ჩანდა, რომ ვილაც გარედან აქეზებდა ხალხს და ფინალიც ნაკლებ საიმედო იყო. საგამოძიებო მასალებში გამოჩნდა „ამერიკელის“ ვინაობაც – „ჟურნალისტი მაკ გრეგორი“. გამოჩნდა მეორე ემისარიც (პირი), ვინმე „ილარიონი“ – ქართველი<sup>1</sup>.

ყველაზე მთავარი საქმე იყო მეამბოხეთა გადაბირება (взрывка), რაც დაიწყო მათი სიების შედგენით. ამ სფეროში 1922 წლის მსგავსი მდგომარეობა აღარ იყო, როცა მთელი მოსახლეობა პირველი დაძახებისთანავე გამოვიდა მტერთან საბრძოლველად. იმ ომის გამოცდილებამ ბევრი რამ ასწავლა ხალხს. ახლა ერთეულ ფანატიკოსებს თუ დააჯერებდა ვინმე საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში წარმატებას. „მოკავშირე“ წამქეზებელი კი თავიდანვე დაჟინებით მოითხოვდა მეამბოხე ხევსურთა სიების შედგენას და მათთვის გადაცემას. ეს საქმე დაევალა ლერენას შემდეგ მე-2 (შეიძლება ვუნოდოთ ასე) ორგანიზატორს გიორგი გაგას ძე ლიქოკელს (ს. აჭედან). მან შეადგინა და გადასცა 48 კაცის სია. მასში ლიქოკელების გარდა სხვა ხევსურებიც იყვნენ ჩანერილი<sup>2</sup>. ეტყობა, სია შედგენილი იყო ავტორთა თვალსაზრისით, რადგან მასში შეტანილთა უმრავლესობამ უარი თქვა ამ საქმეში მონაწილეობაზე. ზოგმა არც იცოდა, თუ ასეთი რამ მზადდებოდა. სიაზე ხელმოწერა საერთოდ არ ყოფილა. მასში ჩანერილთაგან საბოლოოდ დარჩა მხოლოდ 14 კაცი და მთავრობამაც მხოლოდ ეს კონტინგენტი იგდო ხელთ.

მართალია, საგამოძიებო მასალები დაჟინებით იმეორებს, რომ მზადდებოდა ანტისახელმწიფოებრივი, კონტრრევოლუციური აჯანყება; ამავე კვალიფიკაციაზე აწერილებდნენ

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 227.

<sup>2</sup> ... საქმე, ფ. 223, 224.

ხელს დაპატიმრებულებს, მაგრამ მათ აღიარებებში ჩანს, რომ ეს იყო სახელისუფლებო ღონისძიებებზე (გადასახადები, პროდუქტების დამზადება, გაუთავებელი შრომითი ბეგარა, კოლმეურნეობათა დაწესება და ა. შ.) უარის თქმა, რადგან თვით ხევსურეთის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემო, სიცოცხლის გაგრძელების აუცილებლობა აიძულებდათ ამას. ცნებები: „კონტრევოლუცია“, „ანტისახელმწიფოებრივი“ და სხვ. კი მათ არც გაეგონათ<sup>1</sup>.

გაიბა კონტაქტები ლიქოკელებსა და „ამერიკელს“ შორის, რომელსაც მალე „ილარიონიც“ შეუერთდა. იანვრიდან შემოდგომამდე (პროვოცირებულთა დაპატიმრებამდე), 10 თვის განმავლობაში (I-X) ჩატარდა სულ 7 შეხვედრა; 4 ჯვართ-დღეობების დროს ლიქოკში (ახალ წელს, აღდგომა-აღვსებას – აპრილში, ამალლებას – მაისში, ათენგენობას – ივლისში) და 3-იც-ქ- თბილისში „ამერიკელის“ ბინაზე. თბილისში შეხვედრებს ესწრებოდა ხევსურთაგან მხოლოდ 3 კაცი: ლერენა გიორგის ძე, გიორგი გაგას ძე და გიგუა (იგივე გიორგი) აბიკას ძე ლიქოკელები.

შეხვედრებზე იყო ღვინის სმაც, ნახსენებია ფულის მიცემის ფაქტიც (ცხადია, მცირე თანხა – სამგზავრო ხარჯისთვის). შეხვედრებზე, ეტყობა, მიმდინარეობდა ორგანიზებული წინააღმდეგობისათვის მზადებაზე მსჯელობა, იარაღის ჩამოტანა-გადაცემის დაპირება და სხვ. მასალებიდან არ ჩანს შეხვედრებზე საუბარი რომელ ენაზე წარმოებდა.

მთელ ამ ურთიერთობათა მანძილზე ჩეკამ შეძლო გარკვეული ინფორმაციის მიღება და სარეპრესიო საქმის ოფიციალური წარმოება, რაც დაპატიმრებებით დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ სამართალწარმოების კანონმდებლობით და ტრადიციით, ასეთი რთული პოლიტიკური პროცესები ითვალისწინებს შემდეგნაირ ქრონოლოგიურ

<sup>1</sup> ... საქმე, ფურც. 235.

თანამიმდევრობას: 1. დანაშაულის (მოვლენის) ფაქტი; 2. დაპატიმრება (იზოლირება); 3. ძიება და დასკვნა (სასჯელი). შინსახკომმა მაშინვე ვერ შეძლო ამ თანამიმდევრობის დაცვა და ვერც შეძლებდა, რადგან არაბუნებრივი, ხელოვნური დანაშაულის, არარსებული კონტრრევოლუციის დასაბუთება ნამოიწყო.

დღევანდელი იურისპრუდენციის მთავარი ცოდვა თურელური ფაქტის გაყალბებაა, მაშინდელი ბოლშევიკურ-ჩეკისტური სამართალწარმოების უმძიმესი შავი საქმე იყო არარსებული მოვლენის (ფაქტის) შეთხზვა და პოლიტიკური მიზნით ამის ნიადაგზე თავისთვის გამოსადეგი (უსამართლო) ზომების განხორციელება. ამ მოვლენის კლასიკური ნიმუშია „ლიქოკური კონტრრევოლუცია“. ჯერ ხალხი იქნა დაპატიმრებული და შემდეგ მათგან ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობის შექმნა.

ჩვენამ მხოლოდ ამ გზით შეძლო დასამორჩილებელი მოსახლეობის დათრგუნვა. ხალხის დანაშაული მხოლოდ უსიტყვო მორჩილებაზე უარი იყო. ისინი არაფერს აშავებდნენ. შეგზავნილმა აგენტებმა მოახერხეს მერყევი კონტაქტების დამყარება 2-3 კაცთან და მათი საშუალებით ყველაზე აქტიური, მტკიცე მონინაალმდევგეთა გამოყოფა და დაპატიმრება.

ღერენას თავდაპირველი ინფორმაციის საფუძველზე, რაც შემდეგ დაკითხვებზეც გამოჩნდა, გამოიკვეთა 11 ლიქოკელი „კონტრრევოლუციონერი“ და 5-იც სხვა გვარის ხევსური, რომლებიც დაპატიმრებული იქნენ ძირითადად 1936 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

ესენი არიან:

1. დათვია მგელიკას ძე ლიქოკელი
2. ზვიადა ბაბუას ძე ლიქოკელი
3. ადადა ბაბუას ძე ლიქოკელი
4. ღერენა გიორგის ძე ლიქოკელი (ბიენათ ღერენა)



5. გიორგი (გიგუა) გაგას ძე ლიქოკელი
6. მინდია მგელას ძე ლიქოკელი (ხლუმათ მინდია)
7. გიორგი (გიგუა) აბიკას ძე ლიქოკელი
8. გიორგი ახალას ძე ლიქოკელი
9. ხახონი თაძიას ძე ლიქოკელი
10. აპარეკა გიორგის ძე ლიქოკელი (ბაჭუათ აპარეკა)
11. ბაძია მგელას ძე ლიქოკელი
12. აპარეკა გიორგის ძე არაბული
13. კუკუმაურ (ბალათერა) გიორგის ძე არაბული
14. ბერდია ბენინიკას ძე არაბული (ბენინტურთ ბერდია)
15. მამუკა გაგას ძე ჭინჭარაული
16. ალექსი ალექსანდრეს ძე ოჩიაური (ალექათ ლექსო)<sup>1</sup>

1936 წლის ივლისის ბოლოსთვის, ათენგენობის (ყველაზე დიდი საღვთო დღესასწაული ხევსურეთში) დღეობების ჩამთავრების შემდეგ მთავრობამ დაიწყო ამ მოძრაობის ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპი, დაპატიმრება. მოულოდნელად დააპატიმრეს 3 ყველაზე საშიში ახალგაზრდა, აქტიური მოწინააღმდეგე: დათვია მგელიკას ძე ლიქოკელი (სოფ. ქვაბულო) – 29 სექტემბერს, 1-2 დღის შემდეგ კი, აკუმული ძმები – ზვიადა და ადადა ბაბუას ძე ლიქოკელები. დათვიას მიერ საპატიმროში დანერილ ლექსში (რომელიც ჩვენთვის მრავალმხრივაა საინტერესო) ვკითხულობთ, რომ დუშეთიდან ქ. თბილისისაკენ ერთი მანქანით მიჰყავდათ ეს სამი პატიმარი: „ძმან მაგიერან<sup>2</sup> მეტანნეს, მღერით ვიღინეთ გზაზედა“-ო.

დაპატიმრების მომდევნო აქცია იყო ოქტომბერში. ე. წ. კონტრრევოლუციური ორგანიზაციის 3 თავკაცის: ლერენა გიორგის ძე, გიორგი გაგას ძე და გიგუა (იგივე გიორგი) აბი-

<sup>1</sup> ... საქმე, ფურც. 218.

<sup>2</sup> მაგიერანი – ლიქოკელთა გვარის ერთ-ერთ ქვეგვაროვნული სახელწოდება, მამიშვილობა.

კას ძე ლიქოკელების შეპყრობა ქ. თბილისში. ისინი შეფებმა „ამერიკელმა“ და „ქართველმა ილარიონმა“ დაიბარეს თავის-თან „ამერიკელის ბინაზე“, დაათვრეს, წაიყვანეს შეპირებული იარაღის გადასაცემად პირდაპირ შინსახკომში და შეყარეს ციხეში.

დანარჩენი „კონტრრევოლუციონერები“ დააპატიმრეს შემდგომ თვეებში (X-XII) ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს სახლებში. 6 წამყვანი მოწინააღმდეგის იზოლაციის შემდეგ მათი აყვანა რაიმე სერიოზულ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა. სულ დაპატიმრებული იქნა 17 კაცი, ამათგან 12 ლიქოკელი.<sup>1</sup> ის დანარჩენი 5 სხვა ხევსურიც ლიქოკელებთან ნათესაურ-მეგობრული კავშირებით დაახლოებული პიროვნება იყო; ასე მაგალითად, აპარეკა გიორგის ძე არაბული, გიგუა და გიორგი (ახალას ძე) ლიქოკელების სიძე იყო, ბერდია არაბული მათი მძახალი და ა. შ. ცხადია, ამ პოლიტიკურ სადღუღარაში ერთად მოხვედრის ერთ-ერთი მოტივი ესეც იყო.

დაპატიმრება-გამოძიებას ხელმძღვანელობდა (აწარმოებდა) შინსახკომი (საქ. სსრ შსსკ სახ. უშიშრ. სამმართველოს III განყ. 6 საგანგებო ქვეგანყ. უფროსის მოადგილე, ლეიტენანტი ა. ქვლივიძე).

საბრალდებო დასკვნის „ბრალდების ფორმულაში“ დაპატიმრებულთა დანაშაული ასეა კვალიფიცირებული: „უკანასკნელი წლების განმავლობაში ხევსურეთში არსებობდა კონტრრევოლუციური მემამბოხე ჯგუფი, რომელიც შედგებოდა სასულიეროთა, კულაკობის ნაშთების და 1922 წლის ყაჩაღ-მემამბოხური მოძრაობის აქტიურ მონაწილეთაგან (შალვა ქარუმიძისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის აგენტურისაგან)...<sup>2</sup>

ოფიციალური სამთავრობო მასალების მიხედვით, აღნიშნული ჯგუფი აწარმოებდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას,

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 5, 6, 7; 219.

<sup>2</sup> ... საქმე, ფ. 223.

მიმართულს სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ცალკეულ ღონისძიებათა ჩასაშლელად და ამზადებდა აჯანყებას.

კონტრრევოლუციური ჯგუფი აჯანყებისაკენ პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდა. თავისი წევრების – ლერენა ლიქოკელის, ბერდია არაბულის, გიორგი გაგას ძე ლიქოკელის და გიორგი აბიკას ძე ლიქოკელის მეშვეობით, ცდილობდა დაემყარებინა კავშირი საზღვარგარეთთან და მიეღო იარაღის პარტია<sup>1</sup>.

იმავედროულად, ჯგუფის წევრების – ლერენა ლიქოკელი-სა და გიორგი გაგას ძე ლიქოკელის მიერ ხორციელდებოდა მუამბოხე კადრების გადაბირება (вербовка)<sup>1</sup>.

გიორგი გაგას ძე ლიქოკელმა შეადგინა, ცხადია შეფე-ბის დაჟინებული მოთხოვნით, კონტრრევოლუციური, ანტი-სახელმწიფოებრივი მოძრაობის (შეთქმულების) მონაწილეთა საერთო სია (მთელი ხევსურეთისათვის). სია შედგებოდა 48 კაცისაგან. მათში ლიქოკელი იყო 16 კაცი. ესენი იყვნენ:

- |                    |                       |
|--------------------|-----------------------|
| 1. ლიქოკელი ბაბუკა | 14. ლიქოკელი თათარა   |
| 2. ლიქოკელი ხეთისო | 15. ლიქოკელი ჩაჩაური  |
| 3. ლიქოკელი ბაძია  | 16. ლიქოკელი აპარეკა  |
| 4. ლიქოკელი გიორგი | 17. არაბული თათარა    |
| 5. ლიქოკელი ხახონა | 18. არაბული ხეთისია   |
| 6. ლიქოკელი დავითი | 19. არაბული ბიძურა    |
| 7. ლიქოკელი ბაბუა  | 20. გოგოჭური ხეთისო   |
| 8. ლიქოკელი მამუკა | 21. არაბული გიგო      |
| 9. ლიქოკელი დათვია | 22. არაბული გაგა      |
| 10. ლიქოკელი ივანე | 23. ფიცხელაური საღირა |
| 11. ლიქოკელი ადადა | 24. ფიცხელაური ახალა  |
| 12. ლიქოკელი აბიკა | 25. ბურდული ივანე     |
| 13. ლიქოკელი ბაბუა | 26. ნიკლაური ჯურხა    |

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 223, 224.

- |                         |                       |
|-------------------------|-----------------------|
| 27. გიგაური აბიკა       | 38. ალუდაური ხირჩლა   |
| 28. ხორნაული დიმიტრი    | 39. ჭინჭარაული ილიკო  |
| 29. არაბული გიგა        | 40. გოგოჭური აპარეკა  |
| 30. ჭინჭარაული ბალათერა | 41. გოგოჭური ბერდია   |
| 31. ფიცხელაური ბაბო     | 42. გოგოჭური ხეთისო   |
| 32. ფიცხელაური უთურგა   | 43. ჭინჭარაული გიორგი |
| 33. ჭინჭარაული მინდია   | 44. ფიცხელაური ხეთისო |
| 34. გოგოჭური გიორგი     | 45. ფიცხელაური ბერდია |
| 35. ჭინჭარაული გიგია    | 46. გიგაური ჯოყოლა    |
| 36. ჭინჭარაული გამახელა | 47. არაბული ბერდია    |
| 37. ქეთელაური მამუკა    | 48. გოგოჭური ბაბო     |

მაშასადამე, ჩეკას „ხევსურული კონტრრევოლუცია“ საკმაოდ მაღალორგანიზებულად და მზაკვრულად ჰქონდა მოფიქრებულ-დაგეგმილი. ხევსურთა ე. წ. ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყებისთვის მზადების შესახებ სისხლის სამართლის საქმე პირობითად შეიძლება დაიყოს 3 ეტაპად. ის გრძელდებოდა 1,5 წელიწადს – 1936 წლის იანვრიდან 1937 წლის ივლისამდე.

I ეტაპი – 1936 წ. I-VII („მოძრაობის“ შექმნა);

II ეტაპი – 1936 წ. IX-XII (დაპატიმრება, ბრალდების წაყენება);

III ეტაპი – 1936 წ. X – 1937 წ. VII – (გამოძიება, გასამართლება).

ამ გეგმის მიხედვით, ბოლშევიკური ხელისუფლების, შინსახკომის, მისი ემისრების უპირველესი მიზანი იყო მთავრობის კაბინეტში შეთხზული ლეგენდის ხორცშესხმა. უნდა დაფუძნებულიყო ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ჩანასახი, რომელიც მოამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას. ეს ორგანიზაცია გაიზრდებოდა, ჩაითრევედა ფართო მასებს. მას სჭირდებოდა ცენტრი და მისი წარმომადგენლები ადგილზე, რომლებიც შემოიკრებდნენ მომხრეებს და ხალხში გაავრ-

ცელებდნენ საბჭოთა ხელისუფლების სანინაალმდეგო შეხედულებებს, თანდათან მოძრაობას უნდა მისცემოდა პოლიტიკური ორგანიზაციის ოფიციალური სახე; გამოიკვეთებოდნენ ხელმძღვანელები, წევრები, სათანადო სიებით, ხელმოწერებით; ჩამოყალიბდებოდა მთელი სტრუქტურა (დამუშავება, გადაბირება, დოკუმენტების შექმნა და ა. შ.). წერილობითი დოკუმენტების შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათი ნივთმტკიცებითი ფუნქციით გამოსაყენებლად შემდგომში, სასამართლოზე.

ყველაფერ ამასთან ერთად უნდა განხორციელებულიყო ხელისუფლების მიმართ ხალხის უკმაყოფილების გაღვიძება, მათი საბრძოლველად წაქეზება და გარედან დახმარების დაპირება (განსაკუთრებით იარაღით მომარაგების საქმეში). ამ იდეის ირგვლივ მთელი ხალხის დარაზმვა, ე. ი. კონტრრევოლუციური მოძრაობის გაცოცხლება. თუ ფაქტობრივად ასეთს ვერ შექმნიდნენ, მაშინ მისი იმიტაცია მაინც უნდა განეხორციელებინათ, ეს სინამდვილეში შეძლეს კიდევ.

**ამ ამოცანების შესრულებით დაიწყო I ეტაპი.** ინიციატორები იყვნენ ხსენებული ამერიკელი ჟურნალისტი, რომლის ვინაობაც გამოჩნდა შემდეგ, გამოძიების მასალებში – მაკ გრეგორი და მოგვიანებით ჩართული ილარიონი. შეხვედრებზე ჯვარში უბრალო, ვითომც სასხვათაშორისო საუბრისას ხევისურების მძიმე ბუნებრივ-ეკონომიკური მდგომარეობიდან ადვილად გადადიოდნენ მთვარობასთან დამოკიდებულების საკითხებზე. ამასთან ნეგატიური ტენდენციით, არა დახმარება-დაახლოების, არამედ დაშორება-დაპირისპირების ხაზით. სტუმრები მოხერხებულად იყენებდნენ ზეპირ ქვეტიქსტურ „შპარგალკებს“ მეზობელი გასაბჭოებული კუთხეების – ფშავის, მთიულეთ-გუდამაყრის, ხევის მოსახლეობის გაჭირვებული ცხოვრების სინამდვილიდან. პარალელურად აქცენტი კეთდებოდა მებრძოლი, მამაცი ხალხის შეუპოვრობისა და დაუმორჩილებლობის უნარ-თვისებებზე, გარედან

დახმარების შესაძლებლობებზე, იარაღის მონოდებაზე და ა. შ. ფიგურირებდა მთავრობის სოციალისტური ღონისძიებების: კოლმეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების, შემდეგ გადასახადების, შრომითი ბეგარის, რელიგიურ „ცრუ რწმენათა“ შეზღუდვის არდაშვების და უკიდურეს შემთხვევაში იარაღით თავდაცვის განზრახვა. განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა პოლიტიკური წინააღმდეგობის ორგანიზებულ ფორმებზე გადასვლა, რათა მისი ასახვა შესაძლებელი გამხდარიყო საგამოძიებო მასალებში. ხვესურებისთვის ეს საუბრები ხომ თავის გასაჭირზე „სანდო“ თანამგრძობებთან გამოთქმული უბრალო, ჩვეულებრივი აზრები იყო. როგორ უნდა გაფორმებულიყო ეს ყოველივე „კონტრრევოლუციურ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობად, შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებად“<sup>1</sup>. თვით ეს ტერმინები ამ უნიგნური ხალხისთვის ხომ პირველი გაგონება იყო და ვერც გამოთქვამდნენ მათ. არადა, ყველაფერი ეს ჩადებული იქნა შემდეგ გამოძიების, დაკითხვის მასალებში. მწარე ღიმილს იწვევს, მაგალითად, გამომძიებლის შეკითხვა 76 წლის წერა-კითხვის უცოდინარ ხუცეს მინდია ლიქოკელის მიმართ:

– როგორ ჩაები არალეგალურ, კონტრრევოლუციურ მოძრაობაში?

და პასუხი:

– არალეგალურ, კონტრრევოლუციურ მოძრაობაში ჩავები... და ა. შ.<sup>2</sup>

ადვილი წარმოსადგენია, რა „შრომაა“ დახარჯული ამ საპასუხი სიტყვა-ტერმინების მისაღებად.

ჩეკისტური მეთოდოლოგიის მიხედვით, საქმე დაიწყო ერთი პიროვნებიდან ლერენა გიორგის ძე ლიქოკელიდან. იგი, როგორც უკვე ვთქვით, რუსულის მთარგმნელად მიუყვანეს მაკ გრეგორს, რომელსაც „რატომლაც“ ამ საუბრებისას

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 212-214.

<sup>2</sup> ... საქმე, ფ. 56.

სულაც არ გახსენებია თავისი ჟურნალისტური ინტერესი ხევსურთა ტრადიციების, ადათ-წესების მიმართ; მისი ინტერესი პოლიტიკა იყო. უნდა ვივარაუდოთ, ღერენა ხალისით მიჰყვა დინებას. მასში გაიღვიძა პიროვნულმა საზოგადოებრივმა ამბიციამ: უცხო კაცთან, უცხო ენაზე კონტაქტის შესაძლებლობით სიამაყემ, ხალისით შუამავლობდა მობაასე მხარეთა შორის და საკუთარ მოსაზრებასაც თამამად გამოთქვამდა. იგი თანდათან იქცა უცხო კაცის გამგებ და თავისიანების მოსაზრებათა გამზიარებელ პერსონაჟად. საერთოდაც, ხევსურთათვის არც ისე უცხო იყო ინიციატორობა („თაურაობა“).

უცხოელთან პირველ და შემდგომ შეხვედრებზე აზრთა ურთიერთგაცვლის გზით დაიწყო ხევსურთა „პოლიტიკური მოძრაობა“.

ვეცადოთ გავერკვეთ ამ ურთულესი პროცესის ნამდვილ არსში!

იყო თუ არა ეს მთავრობის წმინდა წყლის პროვოკაცია ყოველგვარი ხელისუფლებისადმი ისტორიულად ურჩი, ჯიუტი, ამასთან პრინციპული, მამაცი ხალხის ერთხელ და სამუდამოდ გატეხვის, დამორჩილებისა და საქართველოს კომუნისტური ანექსიის ჟამს – 1922 წლის ამბოხებაში მიყენებული ზიანისათვის მკაცრად დასჯის მიზნით მოწყობილი; თუ მართლაც ჰქონდა ადგილი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ხევსურთა დარაზმვას ახალი ბრძოლისთვის, შეირალებული აჯანყებისთვის მზადებას?

პასუხი უნდა ვიპოვოთ რეპრესირებულთა საგამოძიებო-სასამართლო საქმეების მასალებსა და ამ მოვლენაზე ადგილობრივ ხევსურ საზოგადოებაში გაბატონებულ აზრშიც.

ამ საქმეზე თავიდანვე მომზადებულ სახელისუფლებო კონცეფცია-ლეგენდაში ხევსურული კონტრრევოლუცია შედგებოდა 3 მთავარი ძალისაგან:

1. 1922 წლის ბანდიტურ-მეამბოხური ელემენტები;
2. კულაკური გადმონაშთები;
3. რელიგიური ფანატიზმის ბრმა მიმდევრები.

ამ სოციალური ბაზის შესაბამისი იდეოლოგიის მქონე ხალხის პოლიტიკური საქმიანობა ნაუყენეს დაპატიმრებულებს კოლექტიურ საბრალდებო დასკვნაში<sup>1</sup> 1937 წლის იანვარში, რითაც „დაასაბუთეს“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მზადება; თუმცა დოკუმენტებში ვერსად ნახავთ ბრალდებულთა პირად აღიარებას ამ კვალიფიკაციის სისხლის სამართლის დანაშაულის ხაზით, გარდა ადმინისტრატორთა მიერ საგანგებოდ შერჩეული შეკითხვა-მოთხოვნის სიტყვასიტყვით გამეორების შემთხვევებისა. ხოლო, რა მეთოდით იყო მიღებული ეს პასუხები, გასაგებია და აღნიშნა კიდევ სასამართლოზე მთავარმა პასუხისმგებელმა ლერენა ლიქოკელმა: „გამოძიების დროს ძალას გვატანდნენ, რომ სთქვით რას აკეთებდითო!“<sup>2</sup>

„ლიქოკელთა კონტრრევოლუცია“ (სხვანაირად ძნელია რამე უწოდო ამ პოლიტიკურ პროცესს) თეორიული ასპექტით შეიქმნა და ჩამოყალიბდა ქ. თბილისში, „გუბერციის ციხეში“. მისი დებულებები სათანადო ცნებებით დაპატიმრებულთა დაკითხვა-დაპირისპირების და სხვა სამართლებრივ ქმედებათა პროცესში იქნა შემუშავებული და დანერგილი. ე. ი. წინასწარ მომზადებული სქემით განხორციელდა მთავარ მოქმედ პირთა პროვოცირება, დაპატიმრება და კონტრრევოლუციად გაფორმება. ყველაფერი კი მიმდინარეობდა შემდეგნაირად (რაც ფრაგმენტულად უკვე ნახსენებიც იყო):

„კარატის ჯვარში“ მიყვანილი „ამერიკელი ჟურნალისტი მაკ გრეგორი“ ხალხისთ ჩაება შეზარხოშებულ ხევსურებთან სჯა-ბაასში. იგი ლაპარაკობდა მხოლოდ რუსულად. სინამდვილეში კი იყო ქართველი, ალექსანდრე ქელივიძე, საქართველოს შინსახკომის მუშაკი (რაც გამოჩნდა შემდეგ, გამოძიებისას). იგი, ცხადია, ისმენდა ყველაფერს,

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 219-227.

<sup>2</sup> ... საქმე, ფ. 272.



ქართულად ნალაპარაკევისაც, აგროვებდა უაღრესად საჭირო კონფიდენციალურ ინფორმაციას და შეუძლებელია ვერ მიხვედრილიყო, რომ არავითარი ანტისახელმწიფოებრივი, კონტრრევოლუციური აჯანყება არ მზადდებოდა. ე. ი. არ არსებობდა რაიმე არალეგალური ორგანიზაცია; ამასთან, იმასაც გაიგებდა, რომ ხევსურები წინააღმდეგი იყვნენ სოციალისტური სახელმწიფოებრივი ვალდებულებების მიღებისა და მათ შესრულებაზე მტკიცე უარს აპირებდნენ. დოკუმენტური მასალებით არ დასტურდება, რომ აქ შეიარაღებულ აჯანყებაზე ყოფილიყო საუბარი, როგორც ამას ჯიუტად იმეორებს (უსაფუძვლოდ) გამოძიების მასალები. არაფრით დასტურდება ამ საქმის წარმოების პირველივე ცნობის უმთავრესი ფორმულა: „ღერენა ლიქოკელმა 1936 წლის დასაწყისში პირადად დაამყარა არალეგალური კავშირი ერთ-ერთი უცხო სახელმწიფოს მოქალაქესთანო“.<sup>1</sup> ვერაფრით ვუნოდებთ პირად არალეგალურ კავშირს იმ მოხსენიებულ ნადიმს ხატში. ამ შეხვედრისას, საერთოდ, არც რაიმე კავშირის დამყარებაზე შეიძლება ლაპარაკი. შეიძლება ითქვას, სწორედ ამ შემთხვევაში გამოავლინეს ხევსურებმა უცხო ხალხისადმი უჩვეულო გულგრილობა და გარკვეული უნდობლობა. არალოგიკურია ამავე ცნობაში მოხსენიებული ღერენა ლიქოკელის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დაპატიმრება 1936 წლის 15 ოქტომბერს, როგორც არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წევრისა. ე. ი. მაშინ, როცა ჯერ შექმნილი არ არის ასეთი ორგანიზაცია. ის ხომ „შეიქმნა“ (გაფორმდა) სწორედ 15 ოქტომბრის შემდეგ დაპატიმრებულთა დაკითხვების (ძიების) პროცესში. არა თუ კავშირის დამყარება, არამედ ერთი მეტად კურიოზული შემთხვევა მოხდა იმ პირველ შეხვედრაზე. ლამე ჯვარში

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 12.

გახურებული ლხინი-მხიარულებისას დარბაზის შუაგულში გაჩაღებული კოცონის ირგვლივ, რომელიდაც ლიქოკელმა სტუმარს სახეში (თვალებში) ნაცარი შეაყარა. ეს არ არის ჩვეულებრივი, პურობისას დამახასიათებელი ხუმრობა. ამას სტუმარს ხევსურული წესით ვინ აკადრებდა ან იქ დამსწრეთაგან ვინ აპატიებდა ჩამდენს. იქ კი გულგრილად იქნა აღქმული ეს ამბავი. ე. ი. მასპინძლები, მათ შორის ლერენაც, სტუმარს გარკვეული ეჭვით შეხვდნენ, არასანდო პიროვნებად მიიჩნიეს და სწორედ აქედან წამოვიდა მისი საქმისადმი უნდობლობა. დარბაისელი ლიქოკელების უმრავლესობა არ ჩაერთო ამ სარისკო საქმეში.

\* \* \*

ზევით წარმოდგენილი „48-ის სია“, როგორც სასამართლო პროცესზე განაცხადა ლერენა ლიქოკელმა, კონტრრევოლუციური ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ილარიონის ინიციატივით და მითითებით („იმ ხალხის შესახებ, რომლებზეც ილარიონმა გვითხრა“) შეადგინა გიგუა გაგას ძე ლიქოკელმა<sup>1</sup>. ამ უკანასკნელის მიერ საგამოძიებო დაკითხვისას გაკეთებული განცხადებით კი იგი შედგენილი იყო სამეულის (ლერენას, გიგუა აბიკას ძისა და თვითონ მისი) საერთო თვალსაზრისით; ე. ი. მასში მოხვდნენ მთელი ხევსურეთიდან ყველა, ვინც ავტორებს საბჭოთა მთავრობის მოწინააღმდეგეებად მიაჩნდათ, ცხადია, მათთან წინასწარ შეთანხმებისა და ხელმოწერის გარეშე. ეს დადასტურდა იმით, რომ შემდეგ მათი უმრავლესობა ვერ დააპატიმრეს, ბრალი ვერ დასდეს, რადგან რაიმე რეალური, კონკრეტული დანაშაული და სამხილი ვერ მოინახა. ბევრმა მათგანმა

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 272.

არც იცოდა, რომ „კონტრრევოლუციონერი იყო“. ამ სიის წარმომავლობა მოდიოდა შინსახკომის განზრახვიდან, რაც შეიძლება ბევრი ადამიანი დაედანაშაულებინათ და დაესაჯათ ხალხის თავისუფალი სულის დასათრგუნავად. ამჯერად მოახერხეს, როგორც უკვე ნათქვამი იყო, მხოლოდ 16 კაცის დაპატიმრება-გასამართლება.

როგორ მომზადდა და განხორციელდა „კონტრრევოლუციონერთა“ დაპატიმრება? საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების სამმართველომ (შემდეგ, მოკლედ – „შინსახკომი“, როგორც ხალხი უწოდებდა) მოიფიქრა და შეიმუშავა ხევისურული ოპოზიციის საბოლოო გატეხის მზაკვრული ოპერატიული გეგმა. ამ გეგმის მთავარი ღერძი იყო ფართომასშტაბიანი პოლიტიკური პროვოკაციის განხორციელება ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული აჯანყების მზადების სახით, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა მტრულ, ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყანასთან. ასეთ ქვეყნად არჩეული იქნა ამერიკის შეერთებული შტატები.

პროვოკაციის მახვილი ძირითადად მიმართული იქნა ლიქოკის თემის მიმართ. მისი აქტივის განადგურებით ივარაუდებოდა მთელი ხევისურული ოპოზიციის დათრგუნვა, რაც გამართლდა კიდევ.

მომდევნო წლებში რეპრესირებული იქნენ ხევისურეთის კიდევ სხვა თემებისა და გვარების წარმომადგენლები.

შინსახკომმა გადაწყვიტა ხევისურეთში, კერძოდ ლიქოკში, თავისი აგენტურის შეგზავნა ამერიკელი ტურისტების სახით, რისთვისაც წინასწარ მომზადდა სათანადო ბაზა კაპიტალური შენობით ხევისურეთის ცენტრში – ბარისახოში და მასში დამკვიდრებული თავისი წარმომადგენლით მშვენიერაძით.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ე. წ. ამერიკელი ტურისტი მაკ გრეგორი (რომლის სახელი, ჩანს, ხევისურებმა არც თავიდან იცოდნენ და ვერც შემდეგ დაიმახსოვრეს, იგი საგამოძიებო მასალებში თვითონ გამოძიებამ ჩართო)

მშვენიერადის მეშვეობით ლიქოკში შევიდა 1936 წლის იანვარში, ახალი წლის დღეებში, ყველაზე დიდი რელიგიური დღეობის დროს, ე. ი. მრავალრიცხოვანი ხალხის თავშეყრისა და მრავალდღიანი მასობრივი ქეიფის დროს. მისი მთავარი მიზანი იყო ხალხში ანტისახელმწიფოებრივი განწყობილების გაღვივება, ამ უნიგნური ხალხის გაბრიყვება, ნაქეზება, დახმარების (ამერიკული ?!) დაპირება და აჯანყებისთვის მზადების ინიცირება. ყველაზე ძნელი საქმე იყო არალეგალური პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბება და სათანადო დოკუმენტური მასალის შექმნა-დაგროვება, რომელიც აუცილებელი გახდებოდა სასამართლო ბრალდების დასასაბუთებლად. ძალიან ძნელია ბოლშა და მრისხანება დაიოკო არა მარტო უსამართლოდ დასჯილთა შთამომავალმა, არამედ რიგითმა პატიოსანმა ადამიანმა, როდესაც ეცნობი სასამართლო მასალებში ნაცოდვილარ, მართლაც რომ უნიგნურ უსინდისოთა მიერ ნათითხნ „დანაშაულის დამადასტურებელ“ მონაცემებს.

მაშ, ეს პოლიტიკური პროცესი გრძელდებოდა 1936 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე, პროვოკატორები ლიქოკელებს ხედებოდნენ ძირითადად მთავარ რელიგიურ დღეობებში: ახალ წელს, აღვსებას (აღდგომა) – აპრილში, ამაღლებას – მაისში, ათენგენობას – ივლისში. აპრილში მაკ გრეგორმა პროცესში ჩართო მეორე პირიც „ვინმე ქართველი ილარიონი“. შემდგომში ორივენი ერთად მოქმედებდნენ. ხატების გარეშეც იყო მოხსენიებული რამდენიმე სხვა შეკრება: ორი ლიქოკშივე (სოფ. ჭალისსოფელში), ზაფხულში გიგია ლომნის ძე და ბათირა კვირიკას ძე ლიქოკელების ეზოებში, თუმცა სინამდვილეში ისინიც დღეობების პროცესში ხდებოდა, ხატობიდან გადაპატიჟებული ხალხის მონაწილეობით. ხოლო ერთი სოფ. ბარისახოში, აპრილის თვეში სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელთა შეკრებაზე დუშეთის რაიონული რწმუნებულის მონაწილეობით.

პოლიტიკური მოძრაობის ცენტრად ლიქოკში ძალაუ-  
ნებურად იქცა სოფ. ჭალისსოფელი, სადაც მდებარეობდა  
ლიქოკელთა მთავარი სალოცავი კარატის ჯვარი. აქ დღეო-  
ბებში სალოცავად მუდამ დიდი რაოდენობით იყრიდა თავს  
ხალხი, პროპაგანდისტული დამუშავების კონტინგენტი. ისე, ეს  
სოფელი ლიქოკის თემში, საზოგადოებრივი თვალსაზრისით,  
არც თუ პირველხარისხოვანი იყო. მას ერქვა მეორე სახელიც  
„ბასხაჯაურთა“ არაქართული წარმომავლობის ძირითადი  
მოსახლეობის („ბაშხაჯაურნი“) მიხედვით. აქვე ვიტყვი, სასა-  
მართლო საქმეების მასალებში სოფელი და ჯვარნი არც  
კია ნახსენები. იქ ფიგურირებს ტერმინი „კოპალის ეკ-  
ლესია“ (Храм «Копала»). სინამდვილეში ეკლესია არც აქ და  
არც სხვაგან სადმე ხევსურეთში არ არსებობდა. „ჯვარნი“  
არის ხევსურული სამლოცველოს ერთადერთი სახე. იგი  
შედგებოდა 3 მარტივი ტიპის ნაგებობისგან: საზარე (კოშკი),  
დარბაზი და საქვაბე. მლოცავი ხალხი (მეზღვნი), სტუმარი  
თავს იყრიდა ძირითადად საქვაბეში, ზაფხულში კარზე  
(ეზოში). ამ შემთხვევაში პოლიტიკური ორგანიზატორები აი  
ამ კრებულს მიითვლიდნენ ხოლმე პოლიტიკურ შეკრებად.  
რა თქმა უნდა, აქ არ იყო არავითარი ორგანიზებული კრება  
ვინმესგან რაიმე მიზნით მონვეული. იყო ნასვამი ხალხის  
უნესრიგო, ქაოსური ხმაური, ანარქია. პურობა-სმის დროს  
ხევსურები ხასიათდებოდნენ აბსოლუტური თავისუფლებით,  
ვერ ჰგუობდნენ თამადას, ყველა თავის აზრს გამოხატავდა  
ერთდროულად. შეიძლება მოესმინათ მხოლოდ უფროსი  
თაობის ყველასთვის აღიარებული ავტორიტეტული პირისა-  
თვის. რელიგიურ რიტუალში უსმენდნენ ოფიციალურ ხუ-  
ცობას და დამწყალობნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქრონოლოგიურად დაპატიმრებათა  
პროცესი წინ უსწრებდა არალეგალური კონტრრევოლუციური  
მოძრაობის დაბალანსებას ციხეში, ეს უკანასკნელი მეთო-

დოლოგიურად | პერიოდად თავსდება თეორიულ გამოკვლევაში (მისი ხელოვნურობის, არაობიექტურობის გამო).

შეიარაღებული აჯანყების მომზადების პროცესის კონცეფციის შემუშავების და მისი ინტერპრეტაციის ასახვა წინამდებარე გამოკვლევაში შესაძლებელია მხოლოდ დაპატიმრებულთა დაკითხვებით, უპირველეს ყოვლისა მთავარი დამნაშავის ღერენა გიორგის ძე ლიქოკელის ჩვენებებით, რაც ფაქტობრივად მეორდება დანარჩენთა განმარტებებშიც. ამიტომ შედარებით ფართოდ მოვიყვანთ მისი დაკითხვების მასალებს, რაც მთელი ამ საქმის რთული ნიუანსების გარკვევა-გააზრების საშუალებას მოგვცემს.

ღერენა ლიქოკელი დააპატიმრეს 1936 წლის 15 ოქტომბერს „ფარული გამოძიების (!) მასალების საფუძველზე“. ოფიციალური ცნობით, როგორც „ხევსურეთის 1922 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე, არალეგალური კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წევრი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ხევსურეთში შეიარაღებული გამოსვლის მომზადებაში, უკანასკნელი წლების განმავლობაში ატარებდა პროვოკაციულ აგიტაციას, მოსახლეობას მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ. 1936 წლის დასაწყისში მან პირადად დაამყარა არალეგალური კავშირი ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს მოქალაქესთან და მისი საშუალებით ცდილობდა საზღვარგარეთიდან აჯანყებისთვის საჭირო იარაღის მიღებას“ (იხ. ოფიციალური ცნობა)<sup>1</sup>.

პირველი დაკითხვისას (1936 წ. 16.X.) დასმულ კითხვაზე: „ალიარებ დანაშაულს არალეგალური ორგანიზაციის შექმნაში, რომლის მიზანი იყო ხევსურეთის მოსახლეობის აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად“? უპასუხა საკმაოდ სწორად და გასაგებად, თავისი დაბალი განათლების მიუხედავად – „ხევსურეთის მოსახლეობაში ვენეოდი

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 12.

შეიარაღებული გამოსვლის იდეის პროპაგანდას საბჭოთა მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ; არალეგალური ორგანიზაცია კი არ არსებობდა<sup>1</sup>.

შემდეგ კითხვა-პასუხი გრძელდებოდა ამავე სტილში აქაც და შემდგომ დაკითხვებზეც.

„რა იცით ხევსურეთში კონტრრევოლუციური მემამბოხე ჯგუფების აღმოცენებაზე?

„უკანასკნელ წლებში სისტემატიურად ვრცელდებოდა ჩვენში ინფორმაცია მეზობელ რაიონებში შიმშილისა და სხვა უბედურებათა შესახებ, რასაც ავრცელებდნენ უმეტესად მოხევები, რომლებიც სავაჭროდ დაეხეტებოდნენ ხევსურეთში სოფლებიდან ფანშეთი და სნო, მოსე, დათიკო, მეკეხე ალექსი და სხვები. ისინი აქეზებდნენ ხევსურებს, რათა არ დაეშოთ კოლმეურნეობების, გადასახადების დანეგება, რელიგიური ადათ-წესების შეზღუდვა და სხვა სოციალისტური ღონისძიებების გატარება. განსაკუთრებით გაფართოვდა პროვოკაციული პროპაგანდა 35-36 წლების ზამთარში (მწვავე შიმშილობის პერიოდში)“. მან ადმინისტრატორთა მტკიცე მოთხოვნით დაასახელა 14 პიროვნება ყველაზე აქტიური ოპოზიციონერები, დიდი უმრავლესობა ლიქოკის თემიდან, მათ შორის თავის თავიც<sup>2</sup>.

დასახელებულთა უმრავლესობა შემდეგ არ მონაწილეობდა ამ პროვოკაციაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ისინი ღერენამ დაასახელა თვითნებურად, საკუთარი შეხედულების მიხედვით და მართლაც არ არსებობდა რაიმე ორგანიზებული მთავრობის სანააღმდეგო ორგანიზაცია.

შემდგომ კითხვა-პასუხებში ღერენამ განმარტა ამერიკელთან ურთიერთობის საკითხები და თქვა, რომ იგი ბევრჯერ

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 12.

<sup>2</sup> ... საქმე, ფ. 212-214.

ესწრებოდა რელიგიურ დღეობებს, იმ ზამთარს 2-ჯერ იყო ჩემს სახლშიო, იყო სიმპათიური კაცი (თუმცა სახელი არ მახსოვსო), პირველად (ე. ი. ახალი წლის დღეებში) რამდენიმე დღე დაჰყო ჭალისსოფელში და მონანილეობდა სოფლელთა სახლებში ქეიფებშიც (დიდი დღეობების დროს ხატთან ახლო მცხოვრები ოჯახები ტრადიციულად გადაიპატიუებდნენ ხოლმე დღეობაში მონანილე ხალხს). ერთ-ერთი ასეთი გადაპატიუებისას ბათირა კვირიკას ძე ლიქოკელის ოჯახში, ამერიკელმა – იცოდა რა უკვე დამსწრეთა ოპოზიციური განწყობილება – თქვა „საბჭოთა ხელისუფლება დროებითია და მალე დაემხობაო“. ღერენას აზრით, ეს მოსაზრება გახდა მისი და ბევრი დამსწრის კონტრრევოლუციური განწყობის საფუძველი<sup>1</sup>.

გამომძიებლის დაჟინებულ მოთხოვნაზე „მოიყვანეთ დამსწრეთა კონკრეტული კონტრრევოლუციური გამოსვლებიო“, ღერენას პასუხი იყო: „თითოეულის კონკრეტული გამოსვლა არ მახსოვს, მაგრამ ყველასი გამოხატავდა საერთო აზრს, რომ, რადგან ხევსურეთში მწირი და მცირე ფართობის მიწებია, ასევე საქონლის ისეთი მცირე რაოდენობაა, რომ თავსაც ძლივს ინახავენ, ამდენად კოლმეურნეობების, მეცხოველეობის არტელების, სასოფლო-სამეურნეო გადასახადების დანეხება შეუძლებელია და დაძალების შემთხვევაში იარაღით შეეცდებიან თავდაცვას. ამაზე ამერიკელმა განაცხადა „ხევსურებს საკმარისი იარაღი არა აქვთო“. ხევსურების განცხადებაზე, რომ ისინი თუნდაც მარტო ხანჯლებით იომებენ ხელისუფლების წინააღმდეგო, ამერიკელის დასკვნა იყო საბჭოთა ხელისუფლება მალე დაეცემაო. გამომძიებლის მომდევნო მაპროვოცირებელ შეკითხვაზე „ამერიკელმა დახმარება არ შემოგთავაზათო?“ პასუხი უარყოფითი იყო (მსგავსი რამ არ მახსოვსო). ასევე

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 213.



იყო ბოლო შეკითხვაზე „რა ითქვა აჯანყების ვადებზე?“ – არაფერი არსებითიო.

ამ შემთხვევაში საჭიროდ მიმაჩნია ორი შენიშვნის გაკეთება:

ჯერ ერთი, გამოძიება დაუინებით ცდილობს დაასაბუთოს იმ შეხვედრებზე საუბრები და მთელი ურთიერთობა თითქოს კონტრრევოლუციური აჯანყების აზრით მიმდინარეობდა, ბრალდებულები კი შევიწროვებისაგან თავდაცვითი პოზიციების დასაბუთებას ცდილობენ, რაც სინამდვილეში იყო;

და მეორე, უამრავ კითხვაზე პასუხი – „არ მახსოვს“ ადასტურებს, რომ საუბარი წარმოებდა მთვრალ ადამიანებს შორის (ყველა შეხვედრა – ე. წ. შეკრება ხდებოდა რელიგიურ დღეობებში), რასაც სტუმრები სათანადოდ, მიზნობრივად იყენებდნენ. ეს ხომ, ფაქტობრივად, იურიდიულად მიუღებელია.

შემდგომ (დამატებით) დაკითხვისას 1936 წლის 21 ოქტომბერს ლერენამ პირველ კითხვაზე – რაში მდგომარეობდაო თქვენი კონკრეტული მოღვაწეობა შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში? ასე უპასუხა: „მე ვამუშავებდი კონტრრევოლუციური აგიტაციის ხაზით და გადავიბირებდი საიმედო კადრებს მხოლოდ ლიქოკში.“ დაასახელა 12 კაცი.

ესენი არიან:

1. ლიქოკელი გიგუა აბიკას ძე
2. ლიქოკელი გიორგი ახალას ძე
3. ლიქოკელი ბაბუკა ჭრელიას ძე
4. ლიქოკელი ბიძა ჭრელიას ძე
5. ლიქოკელი გიგია იმედას ძე
6. ლიქოკელი მამუკა უშიშას ძე
7. ლიქოკელი ბაძია მგელას ძე
8. ლიქოკელი ხვთისო კიკოლეს ძე
9. ჭინჭარაული გიგია შიშიას ძე

10. ლიქოკელი დათვია მგელიკას ძე

11. ლიქოკელი ზვიადა ბაბუას ძე

12. ლიქოკელი გიორგი გაგას ძე

მათ ჩემგან იცოდნენ, რომ საბჭოთა მთავრობის მხრივ შეეინროვების შემთხვევაში უნდა გამოსულიყვნენ იარაღით ხელში<sup>1</sup>.

ჩემ გარდა კადრების გადაბირებაზე მუშაობდა გიორგი გაგას ძე ლიქოკელი." კითხვაზე ხახონ ლიქოკელის როლზე კონტრრევოლუციურ საქმიანობაში პასუხი ასეთი იყო: „ხახონ ლიქოკელი იყო ბარისახოს სოფ. საბჭოს წევრი და მეუბნებოდა – ჩემთვის უხერხულია ღიად გამოვიდე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგო. ისე, მხარს გვიჭერდა. იგი კავშირში იყო ამერიკელთან. სახლშიც ჰყავდა იგი.“

შემდგომ კითხვებზე ამერიკელის, ხახონ ლიქოკელის და ალექსი ოჩიაურის ურთიერთობათა საკითხებზე, ღერენამ დაადასტურა ამ სამეულის ახლო ურთიერთობა და აღნიშნული საქმიანობის კურსში ყოფნა. მან აქვე მოიყვანა აპრილის თვეში (ცხადია, აღდგომას) „კოპალაში“ ჩატარებულ „ანტისაბჭოთა“ შეკრების ფაქტი, რომელსაც ესწრებოდა 20-25 კაცი (კვლავ დაასახელა 9 ლიქოკელი); კერძოდ, ვესწრებოდით მე, ამერიკელი და ქართველი (იგულისხმება „ილარიონი“, რომელიც პირველად გამოჩნდა აქ) და სხვა ხევსურებიც, რომლებიც არ მახსოვსო.

კითხვაზე – რა საკითხები განიხილებოდა ამ შეკრებაზე? პასუხი არსებითია: განხილვის წესით აქ არც ერთი საკითხი არ განხილულა, რადგან ანტისაბჭოთა საუბარი წარმოიშვა სრულიად შემთხვევით. თითოეულის კონკრეტული გამოსვლები მე არ მახსოვს, შეუძლებელი იყო თანამიმდევრული გარჩევა, რადგან დამსწრეები იყვნენ ალგზნებულნი და ხმაურობდნენ, ყველა ერთობლივად გამო-

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 218.

ხატავდა კოლექტივიზაციისა და რელიგიურ შეზღუდვათა სანინალმდეგო მოსაზრებებს. ხახონი ცდილობდა მათ დაწყნარებას და გამოსვლების თანამიმდევრობის დაცვას. ჩანს, ორგანიზატორების სურვილის აღსრულებას – ამ ქაოსისათვის ორგანიზებული კრების სახის მიცემას<sup>1</sup>.

კვლავ უარყოფითი პასუხი გაეცა კითხვას იარაღის მოთხოვნის თაობაზე.

ანალოგიური ხასიათის იყო შემდეგი (დამატებითი) დაკითხვა 21/XI-ს, სადაც განიხილებოდა მიმდინარე წლის გაზაფხულზე გიგია ლომნის ძე ლიქოკელის ეზოში (სოფ. ჭალისსოფელი) ჩატარებული სასოფლო საბჭოს აქტივის პლენუმის მიმდინარეობის საკითხები. სკოლა-ინტერნატის და ხევსურეთის გზატკეცილის მშენებლობის ირგვლივ მსჯელობისას კვლავ კოლექტივიზაციისა და გადასახადების მონინალმდეგეთა (ხახონ, აბიკა და სხვ. ლიქოკელების) გამოსვლები.

ამ დაკითხვაზე პირველად დასახელდა დათვია ლიქოკელის სახელი – „რას წარმოადგენს იგი პოლიტიკური თვალსაზრისით?“ ლერენას პასუხი იყო, რომ მან არაფერი იცოდა დათვიას კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ ხელისუფლებასთან მისი შერიგების შემდეგ, უკანასკნელ 2-3 წლის განმავლობაში<sup>2</sup>.

შემდგომ დაკითხვებში თანდათანობით გამოიკვეთა, გარმავდა შეიარაღებული აჯანყებისათვის ორგანიზებული მზადების თემატიკა, აშკარა პოლიტიკური შეკრებების „დამადასტურებელი“ ტენდენცია. 30/XI-ის დაკითხვაზე პირველად იქნა ნახსენები ოფიციალურად ამერიკელი ჟურნალისტის გვარ-სახელი<sup>3</sup>:

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 220.

<sup>2</sup> ... საქმე, ფ. 228.

<sup>3</sup> იქვე.

- რა გარემოებაში შეხვდით პირველად ამერიკელ მაკ გრეგორს?

- მე შეეხვდი დაახლოებით ა. ნ. იანერის ბოლოს... მასთან შეხვედრა და გაცნობა მოხდა „კოპალის“ ეკლესიაში ლიქოკის ხეობის 20-მდე ხევსურის თანდასწრებით.

- დაასახელეთ პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ იმ მომენტში „კოპალას“ ეკლესიაში.

- იქ იმყოფებოდნენ: 1. მინდია მგელას ძე ლიქოკელი, 2. ხახონა თაძიას ძე ლიქოკელი, 3. გიორგი ახალას ძე ლიქოკელი, 4. გაგა ჭრელიას ძე ლიქოკელი, 5. ხოლიგა ძიკურს ძე ლიქოკელი, 6. ვეფხვია ბენინიკას ძე ლიქოკელი და სხვები, რომელთა პიროვნებები არ მახსოვს.

- ჰქონდა იქ ადგილი ორგანიზებულ კონტრრევოლუციურ შეკრებას?

- იქ ნამდვილად ჩატარდა კონტრრევოლუციური შეკრება, მაგრამ ის სპეციალურად არავის მოუწვევია. ის სრულიად შემთხვევით წარმოიშვა ნახსენები ამერიკელის გამოჩენის შემდეგ. იქ მყოფი ყველა ხევსური აწვდიდა მას ინფორმაციას ხევსურების მდგომარეობის შესახებ, ამასთან ინფორმაცია იყო აშკარად კონტრრევოლუციური შინაარსისა.

- სახელდობრ, ვინ გადასცემდა მას ინფორმაციას?

- ამერიკელისათვის ახსნა შემეძლო მხოლოდ მე; საუბარი მიმდინარეობდა რუსულ ენაზე, ამიტომ მე ვუთარგმნიდი ყველა იმ კონტრრევოლუციურ ცნობებს, რომლებსაც გამოთქვამდნენ დამსწრე პირები.

- დაისვა მითითებულ შეკრებაზე ხევსურეთში შეიარაღებული გამოსვლის ორგანიზაციის საკითხი?

- მაშინ ეს საკითხი ნამდვილად არ წამოჭრილა. ჩვენ განვუმარტავდით ამერიკელს, რომ ხევსურები უარყოფითად რეაგირებენ ხელისუფლების პოლიტიკაზე და მზად არიან შეენიანაღმდეგონ მის ღონისძიებებს ხევსურეთში, თუნდაც ეს დაუჯდეთ სიცოცხლის ფასად.

- მაშასადამე, საკითხი აჯანყების შესახებ მითითებულ შეკრებაზე განიხილებოდა?

- ვიმეორებ, რომ საკითხი აჯანყებაზე არ წამოჭრილა. ჩვენ ელაპარაკობდით მხოლოდ საჯანყო განწყობილებებზე, ხევსურებში რომ არსებობდა.

- როგორ ჭრილში დგებოდა ხევსურთა შეიარაღების საკითხი ამ შეკრებაზე?

- იარაღის შესახებ მაშინ არაფერი არ თქმულა. ეს საკითხი დაისვა ქართველის წინაშე, რომელსაც ერქვა ილარიონი და დამიკავშირდა შემდეგ. ამაზე საუბარი მოხდა თბილისში ა. ნ. ივნისში; ამასთან, ხევსურების შეიარაღების საჭიროებაზე ჩემს თხოვნაზე ილარიონმა მიპასუხა, რომ იარაღი არ არის, თუმცა მცირე პარტიის შოვნა სადმე მაინც შეიძლებაო.

- ხვდებოდით თქვენ აღნიშნულ ამერიკელს აღწერილი შემთხვევის შემდეგ?

- მას მე შევხვდი კიდევ ორჯერ - ა. ნ. თებერვალსა და აპრილში. ამ ორ შეხვედრაზე ჩემგან უკვე მოცემულია დანვრილებითი ჩვენებები 16 და 21 ოქტომბერს.

- რა არის თქვენთვის ცნობილი ილარიონის პიროვნებაზე?

- მისი სიტყვებიდან ჩანდა, რომ წარმოშობით თბილისელი იყო და აქვე ცხოვრობდა; რომ მუშაობდა სსრ კავშირში არსებულ ერთ ამერიკულ კომპანიაში. სხვა კონკრეტულ ცნობებს მასზე მე არ ვფლობდი.

- ესწრებოდა ილარიონი „კოპალას“ საეკლესიო დღეობაზე ა. ნ. აპრილში?

- დიახ, ესწრებოდა.

- როგორი იყო მისი კონტრრევოლუციური როლი მოხსენიებულ დღეობის შეკრებაზე?

- ილარიონი უმეტესწილად დუმდა და უსმენდა ცალკეული პირების გამოსვლებს. მას აინტერესებდა ვითარება ხევსურეთში, კერძოდ ხევსურების დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებ-

ის პოლიტიკისადმი და მონონებით რეაგირებდა გამომსვლელთა პოზიციებზე.

- დაისვა ამ შეკრებაზე აჯანყების საკითხი?

- განხილვის წესით საკითხი აჯანყების შესახებ იქ არ ფიგურირებდა. ამერიკელისათვის მიწოდებული ინფორმაციის სულისკვეთება იყო ხელისუფლების მიერ წამოწყებული საბჭოთა ღონისძიებების ძალადობით განხორციელებისას შეიარაღებული წინააღმდეგობისა.

- იყო მაშინ ხევსურების შეიარაღებაზე ლაპარაკი?

- გამომსვლელები აღნიშნავდნენ, რომ ხევსურებს არ აქვთ საკმარისი რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში ისინი მზად არიან გამოვიდნენ ცივი იარაღით.

იარაღის შესახებ საკითხი პირველად იქნა დასმული ილარიონის წინაშე ამა წლის აპრილის შეკრებაზე. ორი თვის შემდეგ კი ჩემი მასთან შეხვედრისას თბილისში განმეორებით აღვძარი იარაღზე საკითხი, მაგრამ დაახლოებით ისეთივე პასუხი მივიღე: რომ იარაღი ახლა არა მაქვსო, მაგრამ ამ საკითხზე შეიძლება რაიმეს გაკეთებაო.

- მოიყვანეთ მითითებულ შეკრებაზე დამსწრეთა კონკრეტული გამოსვლები. სახელდობრ, ვინ განაცხადა ხევსურთა აჯანყებისა და შეიარაღების შესახებ?

- იქ დამსწრე ყველა პირი ამ სულისკვეთებას გამოხატავდა. დანერვილებით არ მახსოვს, ამიტომ მიჭირს თითოეულის ნათქვამის გადმოცემა.

- დაასახელეთ კონტრრევოლუციურ შეკრებაზე მონაწილე პირები!

- ამ საკითხს უკვე შევეხე ჩემს ჩვენებებში ა. ნ. 21 ოქტომბერს.

- სად ცხოვრობს ილარიონი?

- არ ვიცი, სადღაც თბილისში.

- აღწერეთ ილარიონის გარეგნობა?

- ილარიონის გარეგნული ნიშნები შემდეგია: მაღალია, 45-50 წლის, გამხდარია, შავგერემანი, მცირედ შეჭალარავებული, პირგრძელი, წვერს იპარსავს, აქვს ინგლისური წვერი, ერთ ლოყაზე ცივი იარაღით ნაჭრილობევი, ეცვა მუქი კოსტუმი, გიმნასტურა და შარვალი გალიფე და ჩექმები.

არსებითად განხილულ საკითხებზე დამატება არა მაქვს. ოქმი წამეკითხა და მეთარგმნა ქართულ ენაზე. ჩემი ჩვენებები ფიქსირებულია სწორად.

ლერენა ლიქოკელი

აქამდე დაჰკითხავდნენ:

შინსახკომის 6 განსაკ. განყ. უფროსი მხეიძე (სახ. უშიშრ. კაპიტანი), განყ. უფრ. მოადგილე ა. ქელივიძე (სახ. უშიშრ. ლეიტენანტი).

შემდგომი დაკითხვები მიჰყავდა მხოლოდ ა. ქელივიძეს და არსებითად შეიცვალა პასუხების პოლიტიკური მიმართულება და შინაარსი. ისინი თვინიერი და შეკითხვებისადმი დამჯერნი გახდა. ცხადია, მოპასუხეთა ფიზიკური მოტეხის (წამების) შედეგად.

1936 წლის 26 დეკემბრის დაკითხვაზე ლერენამ აღიარა, რომ მას ჰქონდა ახლო ურთიერთობა ჭალისოფელში მცხოვრებ გიგია იმედას ძე ლიქოკელთან (გიგია იყო I მსოფლიო ომის მონაწილე და ტყვედ წამყოფიც გერმანიაში. მას თიკუნად ეძახდნენ „გერმანიას“). მასთან ჩემი შეხვედრისას, თქვა ლერენამ, მე დავუდასტურე არალეგალური ორგანიზაციის არსებობის ფაქტი (რაც მან უკვე იცოდა) და ჩემი მონაწილეობა კონტრრევოლუციური შეიარაღებული გამოსვლის მომზადებაში. ჩვენი საუბრის ბოლოს მან გამოხატა თავისი სოლიდარობა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საქმიანობისადმი.

- მიეცით თქვენ მას კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში შესვლისა და იქ აქტიური მონაწილეობის წინადადება?

- ასეთი წინადადება მე მისთვის არ გამიკეთებია.

- გამოძიებისთვის ცნობილია, რომ ლიქოკელი გიგიას საშუალებით თქვენ კონტრრევოლუციური კავშირი დაამყარეთ ბიჩო გოდერძიანთან და ყაზბეგის რაიონის სხვა პირებთან, თქვენ უარყოფთ ამ ფაქტს?

ღერენამ უარყო არა მარტო ყაზბეგელებთან კავშირი, იქ გიგია იმედას ძის გაგზავნა, არამედ ფშავლებთან და გუდამაყრელებთან ურთიერთობაც.

- ვინ არის მოხვევე მოსე სოფ. კარშიეთიდან?

- მის შესახებ მე უკვე ვთქვი ჩემს პირველ ჩვენებაში. ის ცხვრობს ყაზბეგის რაიონის სოფ. პარშიეთში. პერიოდულად იმყოფება ხევსურეთში, სადაც, ჩვეულებრივ, ყიდულობს მსხვილფეხა საქონელს გასაყიდად.

ამავე შინაარსისაა სხვა კითხვებიც მოსესთან დაკავშირებით. ამჯერად ვერ გააბეს მოსე მახეში.

შემდეგი (1936 წ. 30/XII) დაკითხვა მიეძღვნა მთლიანად ღერენას ძმისწულს ბაძია მგელას ძე ლიქოკელს. ღერენამ უარყო თავდაპირველი ჩვენება ბაძიას კონტრრევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობაზე (ეტყობა, მიხვდა დიდ საშიშროებას ამის თაობაზე). გამომძიებლის კითხვაზე - „რითი აიხსნება თქვენს ადრინდელ და ახლანდელ ჩვენებებს შორის წინააღმდეგობა“-ო, გულახდილად აღიარა თავისი წინა ჩვენების მცდარობა და თქვა „კარგად მახსოვს, არ მიცდია მისი გადმობირება კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. როგორც ძმისწულს, სრულიად ვენდობოდი და ამიტომ არ დამიმალავს მისთვის ჩემი მონაწილეობა ამ საქმეშიო“. მაშინდელ მართლმსაჯულების მსახურთა სინდისის ნატამალი საკმარისი აღმოჩნდა ამ შავი საქმიდან ერთი ოჯახის (ბიძა-ძმისწული) ორი წევრიდან ერთი მაინც დაენდოთ. სასამართლოს მიერ გამართლებული ორი კაციდან ერთი ბაძია იყო.



გამოძიება დაუინებით სთხოვდა ლერენას რაც შეიძლება მეტი ხალხი დაესახელებინა კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეთაგან.

1937 წლის 2 იანვრის დაკითხვისას მოითხოვდნენ ელიარებინა რა გარემოებაში გადაიბირა არალეგალურ ორგანიზაციაში ზვიადა ბაბუას ძე ლიქოკელი. ამ უკანასკნელთან ეტყობა სხვა, ძველი ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი ჩეკას.

- კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ზვიადა ლიქოკელი მე არ გადამიბირებია, მე მხოლოდ ვაცნობე, რომ ჩვენ ვამზადებთ შეიარაღებულ გამოსვლას და ამაზე კავშირი გვაქვს თბილისთან.

- რა მიზნით აცნობეთ თქვენ მას ამის შესახებ?

- გზაში შეხვედრისას მან დაუინებით მომთხოვა მეთქვა ყველაფერი ამ საქმეზე. ბოლოს მეც დავეუთმე და ვუამბე, რომ 1936 წლის ივლისში შევხვედი თბილისში კონტრრევოლუციური ცენტრის წარმომადგენლებს და გვექონდა მოლაპარაკება.

- გამოძიება მოითხოვს თქვენგან მართალ პასუხს არსებითზე.

- მე ვამბობ არსებითზე მხოლოდ სიმართლეს.

- რატომ აცნობეთ ზვიადას კონტრრევოლუციური ორგანიზაციის არსებობაზე?

- ვიმეორებ, რომ მე მას ეს ვაცნობე ყოველგვარი მიზნის გარეშე, უმიზნოდ.

- დარწმუნებული იყავით, რომ ზვიადა არ აცნობებდა თქვენს მოღვაწეობას ხელისუფლების ორგანოებს?

- მე ვენდობოდი ზვიადა ლიქოკელს. მისთვის ხომ ჩემ შეტყობინებამდეც ცნობილი იყო ამის შესახებ, მაშასადამე მისთვის ნდობა შეიძლებოდა.

- მიეცით თქვენ მას წინადადება შეიარაღებულ გამოსვლაში მონაწილეობაზე?

- არავითარი წინადადება არ მიმიცია.

მრავალგზის დაკითხვებზე დაჟინებული ჩაგონებებისა და დანაშაულის გამოვლენების შემდეგ 1937 წლის 9 იანვარს სპეც განყოფილების ჯგუფმა ლერენას დაუსვა გადამწყვეტი კითხვა: „ალიარებთ თავს დამნაშავედ ხევსურეთში კონტრრევოლუციური შეიარაღებული გამოსვლის მზადებაში? და მიიღო სასურველი პასუხი:

- თავს დამნაშავედ ვალიარებ<sup>1</sup>.

- რაში გამოიხატება თქვენი კონკრეტული კონტრრევოლუციური მოღვაწეობა შეიარაღებული გამოსვლის მზადების საკითხში?

- უკანასკნელი წლების განმავლობაში მოსახლეობაში ჩემგან სწარმოებდა კონტრრევოლუციური აგიტაცია, რომელიც მოუწოდებდა ხევსურებს შეიარაღებული გამოსვლის ორგანიზაციისაკენ, საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების სანინალმდეგო მოქმედების მიზნით. ამ ნიადაგზე სწარმოებდა კონტრრევოლუციური შეკრებები, უპირატესად სხვადასხვა საეკლესიო დღეობებთან დამთხვევით. ჩვეულებრივ, ასეთ შეკრებებზე მონაწილეობას ლებულობდნენ კონტრრევოლუციურ გამოსვლებში ის პირები, რომლებიც იზიარებდნენ ჩემს მოსაზრებებს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებზე უარის თქმის აუცილებლობაში. ასეთი აშკარა შეკრებები მოხდა 1936 წელს „კოპალას“ ეკლესიაში ორჯერ და ბათირა ლიქოკელის კარზე<sup>2</sup>.

1936 წლის გაზაფხულზე მე დავამყარე კონტრრევოლუციური კავშირი ერთ ამერიკელ ჟურნალისტთან და უცნობ ქართველთან, რომელსაც ერქვა ილარიონი და ერთდროულად გიორგი გაგას ძე ლიქოკელთან ერთად შევუდექით არალეგალური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას კონტრრევოლუციური შეიარაღებული გამოსვლის მოსამზადებლად ხევსურეთში.

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 243, 244.

<sup>2</sup> ... საქმე, ფ. 244

აჯანყების ორგანიზაცია გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის ერთ უცხო სახელმწიფოსთან ომის მომენტიანათვის, ამასთან, იგი მხარდაჭერილი უნდა ყოფილიყო საქართველოს სხვა რაიონებისგანაც. სახელდობრ, ამით აიხსნებოდა ჩემგან კავშირის დამყარება ზემოთ დასახელებულ პირებთან. ნანი-ლობრივ, ამერიკელი ჟურნალისტის საშუალებით ვაპირებდით (ვფიქრობდით) ამერიკის მთავრობასთან კავშირის დამყარებას და მისგან დახმარებას იარაღით.

ასეთი განზრახვით მიმდინარეობდა ჩემგან ხალხის გადაბირება არალეგალურ ორგანიზაციაში, რომლებიც ამასთან ერთად მოვალენი იყვნენ პირველები გამოსულიყვნენ იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

- დაასახელეთ ყველა პიროვნება თქვენს მიერ ჩაბმული არალეგალურ კონტრრევოლუციურ სააჯანყებო ორგანიზაციაში.

- ჩემს მიერ იყვნენ გადაბირებულნი სხვადასხვა დროს კონტრრევოლუციურ სააჯანყებო ორგანიზაციაში შემდეგი პირები:

1. ლიქოკელი გიგუა აბიკას ძე, (იგივე გიორგი აბიკას ძე)
2. ლოქოკელი გიორგი ახალას ძე,
3. ლიქოკელი ბაბუკა ჭრელიას ძე,
4. ლიქოკელი ბიძა ჭრელიას ძე,
5. ლიქოკელი გიგია იმედას ძე,
6. ლიქოკელი მამუკა უშიშას ძე,
7. ლიქოკელი ბაძია მგელასძე,
8. ლიქოკელი ხეთისო კიკოლეს ძე,
9. ჭინჭარაული გიგია შიშის ძე,
10. ლიქოკელი დათვია მგელიკას ძე,
11. ლიქოკელი ზვიადა ბაბუას ძე,
12. ლიქოკელი გიორგი გაგას ძე,
13. ლიქოკელი ხახონი თაძიას ძე.

- დაასახელეთ პირები, არალეგალურ კონტრრევოლუციურ შეკრებებში მონაწილეები.

- მახსოვს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი, სახელდობრ:

1. ლიქოკელი აბიკა ნიქას ძე
2. ლიქოკელი ბაბუკა ჭრელიას ძე
3. ლიქოკელი გიორგი ახალას ძე
4. ლიქოკელი ხახონი თაძიას ძე
5. ლიქოკელი გაგა გიორგის ძე
6. ლიქოკელი მინდია მგელას ძე
7. ლიქოკელი ნიქა თოთიას ძე
8. არაბული ბერდია ბუნინტურის ძე
9. ლიქოკელი ხვთისო ურჭუკას ძე
10. ლიქოკელი ხვთისო კიკოლეს ძე
11. ლიქოკელი გიგია იმედას ძე
12. ლიქოკელი ბათირა კვირიკას ძე.

მათი უმრავლესობა უსიტყვოდ არ მახსოვს. ზოგიერთი მათგანი, სახელდობრ: ლიქოკელი მინდია მგელასძე ეკლესია „კოპალას“ დეკანოზი, არაბული ბერდია ბენინტურისძე, ლიქოკელი გიორგი ახალასძე და სხვები იყვნენ არალეგალური ორგანიზაციის საქმიანობის კურსში და თვითონაც მონაწილეობდნენ ამ საქმეში.

- როგორი იყო ალექსი ოჩიაურის როლი კონტრრევოლუციურ სააჯანყებო ორგანიზაციაში?

- მე ალექსი ოჩიაურთან არავითარი კავშირი არ მქონდა, მაგრამ ხახონი ლიქოკელის სიტყვებით, რომელსაც ჩემთან კონტრრევოლუციური კავშირი ჰქონდა, ჩანდა, რომ ოჩიაური სააჯანყებო ორგანიზაციის არსებობის კურსში იყო.

ღერენას დაკითხვები მთავრდება მისი და ზვიადა ლიქოკელის დაპირისპირებით 1937 წლის 12 იანვარს.

კითხვაზე ზვიადას: იცოდით ხევსურეთში არსებული სააჯანყებო ორგანიზაციის შესახებ?

- ამის შესახებ ჩემთვის არაფერი არ იყო ცნობილი.

**კითხვა ღერენას:** აცნობეთ თქვენ ზვიადა ლიქოკელს, რომ თქვენგან სწარმოებდა ხევისურეთში კონტრრევოლუციური შეიარაღებული გამოსვლის მომზადება?

– ამის შესახებ მას ვაცნობე ა. ნ. სექტებრის პირველ რიცხვებში შემთხვევით გზაზე შეხვედრის დროს. მე მოკლედ ვაცნობე ჩემი კონტრრევოლუციური კავშირის შესახებ თბილისში, რაც მისთვის აქამდეც იყო ცნობილი.

– ეთანხმებით თქვენ ღერენა ლიქოკელის ჩვენებას?

– არა, რადგან მისი ჩვენება არ შეეფერება სინამდვილეს. ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

– გადმოგვეცით ყველაფერი, რაც იცით ღერენა ლიქოკელის კონტრრევოლუციური საქმიანობის შესახებ?

– გაგონილი მქონდა, რომ ღერენა ლიქოკელი ეწეოდა კონტრრევოლუციურ აგიტაციას მოსახლეობაში. ახალი წლის საჯვარო ბოლო დღეობაზე სოფ. ბაქჩვილოში (ღერენას სოფელია) 1936 წელს იგი გამოვიდა დამსწრეთა შორის კონტრრევოლუციური განცხადებით ბელადის სახელზე საქართველოს მშრომელთა კოლექტიური წერილის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ამ წერილზე ხელის მონერის შემდეგ საბჭოთა მთავრობა შეეცდება ძალის გამოყენებით დანერგოს ხევისურეთში კოლმეურნეობები და გადასახადები. მან უსაყვედურა ჩემს ძმას ადადა ლიქოკელს იმაზე, რომ მან ხელი მოაწერა კოლექტიურ წერილს და „საბჭოთა მთავრობის აგენტები“ უწოდა ყველას, ვინც ხელი მოაწერა წერილს.

**შპკითხვა ღერენას:** ადასტურებთ ზვიადას მიერ მოყვანილ ფაქტს?

– ლიქოკელი ზვიადას ჩვენება არის მთლიანად გამონაგონი.

ამით მთავრდება ღერენა ლიქოკელის დაკითხვები და ფაქტობრივად მთელი გამოძიებაც.

გამოძიების პროცესში დანარჩენ დაპატიმრებულთა დამნაშავეობის დადასტურება (აღიარება) იმავე ხაზით (სქემით) და მეთოდებით ხდებოდა, რაც ღერენას მიმართ იყო გამოყ-

ენებული. მთელ საქმიანობაში გამოიკვეთა ღერენას პირველობა, რასაც ფაქტობრივად თვითონვე წერგავდა.

თავს დამნაშავედ აღიარებდნენ მხოლოდ ღერენა და გიორგი გაგას ძე ლიქოკელები. დანარჩენებმა აღიარეს, რომ მათი მიზანი იყო სოციალისტური კანონებით ხევსურეთის შევიწროვების არ დაშვებისათვის მზადება, რისთვისაც შეიარაღებულ წინააღმდეგობასაც არ გამოორიცხავდნენ.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არაღლეგალურ კონტრრევოლუციურ აჯანყებას, მისთვის სამზადისს არავინ აღიარებდა, მათ შორის არც ღერენა ლიქოკელი. ღერენა აღიარებდა, რომ მონაწილეობდა ანტისახელმწიფოებრივი, კონტრრევოლუციური მოძრაობის სასარგებლო აგიტაციაში, კავშირი ჰქონდა ამერიკელთან და ეწეოდა ამ მოძრაობაში სხვა ხალხის გადაბირებასაც.

ღერენა ლიქოკელის მოქმედების მოტივები შეიძლება აიხსნას შემდეგი მიზეზებით:

1. ამბიცია, თავის წარმოჩენა რალაც საქმეში ხალხის მეთაურად;
2. უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებთან კავშირის დამყარების ინიციატივა, თანაც უცხო ენაზე;
3. მატერიალური საზღაურის (ფული, იარაღი და სხვ.) მიღების მოლოდინი.

აღიარებას კი საფუძვლად ედო:

1. მხოლოდ სიმართლის თქმის ხევსურული მორალი (ტყუილს როგორ ვიტყოდი!);
2. გამომძიებელთა დაპირება გარკვეულ შეღავათებზე (ძმისწულის განთავისუფლება, სასჯელის შემსუბუქება და სხვ.);
3. ძალადობა (წამება დაკითხვებზე), რაც განაცხადა სასამართლოზე<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 272.

ამ მასალებით არაფრით მტკიცდება სამეულის (დათვია, ზვიადა და ადადა ლიქოკელების) მონაწილეობა ე. წ. შეიარაღებული აჯანყების მზადების საქმეში; თუმცა გამოძიება ინტენსიურად ცდილობდა დათვიას და ზვიადას მიტმასნებას კონტრრევოლუციონერებთან და, მართლაც, დათვია ლიქოკელიც სხვებთან ერთად სს კოდექსის იმავე მუხლებით დაისაჯა.

როგორც გამოძიებისა და სასამართლო პროცესის სხვა ბრალდებებიდან ირკვევა „ანტისახელმწიფოებრივი, კონტრრევოლუციური, არალეგალური ორგანიზაცია, ანტისაბჭოთა შეიარაღებული აჯანყება“ და სხვა მისთანანი, ცხადია, იმ საუბრებში (ლიქოკში) არც ვინმეს უხსენებია, რადგან ეს ყოვლად უადგილო და გაუგებარი იქნებოდა ნასვამი ხალხის იმ ღრიანცელში. მაშასადამე, არავითარი პოლიტიკური ორგანიზაცია არ შექმნილა უმარტივესი ოფიციალური ატრიბუტებითაც კი. იყო სოციალისტური სასოფლო წეს-დებულებების მიუღებლობის ხმამაღალი საპროტესტო, ქაოტური გამოთქმები, მათი არდაშვების მუქარა. სასაცილოა ღერენას წარმოჩენა „ანტისახელმწიფოებრივი, კონტრრევოლუციური ცენტრის წარმომადგენლად და მისი ჯგუფის ჩამოყალიბება-მოღვაწეობის“ ხსენებაც კი ისევე, როგორც „ქართველი ილარიონის“ იდენტიფიკაციის მათთან ძიება<sup>1</sup>, რომ აღარაფერი ვთქვათ „ამერიკელი ჟურნალისტის“ ქ. თბილისში ცხოვრებასა და გამოძიების პროცესში მის მთავარ გამომძიებლად მოვლინებზე (როგორც დაპატიმრებულებმა გაახშიანეს ციხიდან). სად იყო ეს „კონტრრევოლუციური ცენტრი“, „ღერენას ჯგუფი“ და ა. შ. ეს ცნებები შინსახკომმა შეთხზა, გამოიყენა გამოძიება-გასამართლების პროცესში მძიმე პოლიტიკური ბრალდების დასასაბუთებლად და ამეორებიდნენ ამ

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 623.

უნიგნურ პროტესტანტებს დაკითხვების დროს. მაგალითად, გიორგი გაგას ძე ლიქოკელმა უნდა უპასუხოს კითხვას: „როგორ ახდენდით არალეგალურ ორგანიზაციაში წევრთა გადაბირებას?“ იმავე ტექსტის უცვლელი გამეორებით<sup>1</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ შინსახკომის მიზნობრივი გეგმა ხევსურეთში ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული აჯანყების მზადების, კონტრრევოლუციური მოძრაობის არსებობის დასაბუთება ვერ მოხერხდა, სასამართლო ორგანოებმა საბრალმდებლო დასკვნაში მაინც ჩანერეს: დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ხევსურეთში არსებობდა კონტრრევოლუციური მემბოხე ჯგუფი მორწმუნეთა (სასულიერო მოღვაწეთა), კულაკობის ნაშთების, 1922 წლის ყაჩაღ მემბოხეთა, შალვა ქარუმიძისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის აგენტურის წარმომადგენლებისა და ა. შ<sup>2</sup>.

ღერენას გარდა არალეგალურ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის თავი დამნაშავედ აღიარა დაკითხვებზე და სასამართლოზეც გიორგი გაგას ძე ლიქოკელმა და გაიკრა კიდევ 10 წელი. სხვა ყველა აცხადებდა, რომ წინააღმდეგნი იყვნენ მხოლოდ ხევსურეთის სოციალისტური ღონისძიებებით შევიწროებისა, მათი ცხოვრების პირობების დამძიმებისა.

შინსახკომს სათანადოდ ჰქონდა მოფიქრებული და დაგეგმილი ბრალდების დასამტკიცებლად საჭირო დოკუმენტური მასალის მოპოვებაც, რაც გამოდგებოდა სასამართლოზე ნივთმტკიცებადაც. ამისათვის წინასწარვე მოამზადეს გიორგი გაგას ძე ლიქოკელის ხელით დანერილი „კონტრრევოლუციურ შუციაში მონაწილე“ 48 ხევსურის სია (სადაც ლიქოკელი მხოლოდ 16 კაცია) და ლიქოკელების მიერ ამერიკის მთავრობისადმი გაგზავნილი თხოვნა დახმარებაზე. ეს ორი დოკუმენტი შედგენილი იყო შეფების, კონტრრევოლუციური ცენ-

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 250.

<sup>2</sup> ... საქმე, ფ. 223.



ტრის ე. წ. წარმომადგენლების რჩევით და დახმარებით. ისინი, ავტორების განცხადებით, თავიდანვე გადაეცა ამ შეფებს, მათივე მოთხოვნით.

შემდეგ, გამოძიების პროცესში, დაკითხვებზე ეს ორივე დოკუმენტი წარედგინათ ავტორებს, როგორც მათი ბრალეულობის დამადასტურებელი უმთავრესი ნივთიერი საბუთები, შეკითხვებით: „რას იტყვით თქვენთვის წარდგენილი „48-ის სიისა“ და „ამერიკის მთავრობისადმი დახმარების თხოვნაზეო?“, აი, აქ კი მართლაც ზედმეტია კომენტარები!

„48-ის სიაზე“ ადრევე იყო განმარტება (იხ. გვ. 17-18). ამერიკის მთავრობისადმი წერილზე კი შემდეგ იქნება ნათქვამი.

## **ლიქოკელთა საქმის II ეტაპი. დაპატიმრება**

საქ. სსრ შინსახკომის, მისი პოლიტსამმართველოს გეგმით, ხევსურეთის კონტრრევოლუციის შექმნა და რეპრესიების წამოწყების წინაპირობები, მათი აზრით, უკვე არსებობდა. ახლა ყველაზე საშური საქმე იყო დამნაშავეთა დროული დაპატიმრება, იზოლაცია, რათა ხელიდან არ გასხლტომოდნენ ისინი. ეს კი არც თუ ისე ადვილი საქმე იყო, რადგან, მთავრობის ვარაუდით, რამდენიმე ათეული კაცი მაინც უნდა ჩაეგდოთ ხელში, რომ მასობრივ რეპრესიებს სათანადო დამთრგუნავი ზეგავლენა მოეხდინა მთელ ხევსურეთზე და არა მარტო მასზე – მეზობლებზეც!

რეპრესიების მთავარი ობიექტიდან – ლიქოკიდან უკვე მონიშნული იყო 20-მდე პიროვნება, რომელთა აყვანა მიზანშეწონილად და აუცილებლად ესახებოდათ. ახლა მთავარი იყო ამ საქმის რაც შეიძლება უსაფრთხოდ გაკეთება. საფრთხე კი საკმაოდ დიდი იყო. სავარაუდო კონტინგენტს შორის იყო რამდენიმე ახალგაზრდა, თავზეხელაღებული, შეიარაღებული პიროვნება, რომელთა დაჭერა გაძნელებოდა. ესენი იყვნენ 1922 წლის ხევსურეთის ამბოხების მონაწილე და შემდეგი პერიოდის ფაქტობრივად ყაჩაღად მყოფი ახალგაზ-

რდები, გაბედული ვაჟკაცები, რომლებიც მტერს უბრძოლველად არ ჩაბარდებოდნენ. ესენია, უპირველეს ყოვლისა, სოფ. ქვაბულოს მცხოვრები დათვია მგელიკას ძე ლიქოკელი და სოფ. აკუშოში მცხოვრები ძმები ზვიადა და ადადა ბაბუას ძე ლიქოკელები. რადგან ისინი შეიარაღებულნი, თავისუფლებაში მყოფნი ხელისუფლებას არ მისცემდნენ იმის უფლებას და საშუალებას, რომ ასე მასობრივი ფორმით განეხორციელებინა უდანაშაულო ხალხის, სახლიკაცების (ბიძაშვილების) დაჭერა და უყოყმანოდ ეცდებოდნენ შეიარაღებული გზით არ დაეშვათ მათი გაყვანა ხევსურეთიდან. ეს სამეული, მართალია, „ამერიკელის“ მიერ ორგანიზებულ არალეგალურ კონტრრევოლუციის თითქმის არ მონაწილეობდა, მაგრამ ანტისაბჭოთა განწყობილებას აშკარად გამოხატავდა.

მნიშვნელოვანი იყო იმ კონტრრევოლუციური მოძრაობის თავკაცების ღერენა გიორგის ძე, გიორგი გაგას ძე და გიგუა აბიკას ძე ლიქოკელების დროული დაპატიმრებაც, რათა დანარჩენი მონაწილეებიც შედარებით მშვიდად აეყვანათ.

ყოვლისმხედველმა შინსახკომმა სცადა ამ ვერაგულ პროვოკაციაში გაეშავებინა თემის ყველაზე ავტორიტეტული, ნამყვანი მესვეურები, რომ წელში გაეწყვიტა მისი ბუნტარული, დაუმორჩილებელი სული, ამასთან გეოგრაფიაც იყო გათვალისწინებული (შალმა ლიქოკიდან – 10, გალმადან – 4 კაცი)<sup>1</sup>.

თუმცა მათ ამჯერადაც ვერ შეძლეს ყველა ლიქოკელის იზოლაცია, რეპრესირება და თემის მთლიანად ჩაკვლა.

მოკლე ცნობები დაპატიმრებულთა პიროვნებებზე და დაპატიმრების ფაქტებზე:

დათვია მგელიკას ძე ლიქოკელი, დაბადებული 1891 წელს ლიქოკის თემის სოფ. ქვაბულოში, ხევსურეთის კვალლობაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი ოჯახის, სამი დის ძმა და ოთხი შვილის მამა (ორი ვაჟი, ორი ქალიშვილი) პატრონი.

---

<sup>1</sup> ლიქოკის თემი ორ მთავარ უბნად – შალმა (ზემო) და გალმა (ქვემო) სოფლებად იყოფოდა.

თვითონ შვილი სახელგანთქმული დასტაქარის და ბრძენკაცის მგელიკა ლიქოკელისა; ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიჩაუქით, შეუდრეკელობით, ნიჭიერებით და ენერგიულობით. იყო შეუდარებელი მხედარი და მოფარიკავე. ჩემს მეხსიერებას შემორჩა ადრებავშვობისდროინდელი ცხოვრებისეული (მისი სიცოცხლის ბოლო წლის) ფაქტი: ერთ-ერთი სახალხო ზემის დროს ჩვენი სახლის გვერდზე მამულში გამოფენილ მოლხინე ხალხს შორის მჯდომმა მე და მისი უფროსი ვაჟი სუხა (7-9 წლისანი) გამოგვარჩია: „ჩაიარეთ აგერ კიდურზე (იქნებოდა 70 მეტრით დაშორებული), ხელს რომ დაგიქნევთ, დაიქცენით-ად, რომენიც მახკიდებთ ხელს წინ-წინ ჩემს ხელს, ის იქნებით ყორჩიბაშისძე! (საქებურ ტერმინად ჰქონდა იმ წყეული ყიზილბაშის სახელი, ჩანს, ცნობილი მტრის სახელსაც აფასებდა. ცხადია, კარგად იცოდა სხვა უამრავ საგმირო ხევსურულ ლექსს შორის ესეც – „ხმლითა სცა ყორჩიბაშისძეს, დახკარით თათრის შვილსაო“). ჩვენ ერთდროულად შევეხეთ მის გამოშვერილ ხელს. ორივე ყორჩიბაშისძე გავხდით! ეს ისე, მისი ფსიქოლოგიის დამახასიათებელი შტრიხი.

სასამართლო საქმეში არსებული მასალებიდან დასტურდება მისი, როგორც თვითნასწავლი მოაზროვნის, ნიჭი და განათლების დონე. ამისთვის საკმარისია დავასახელოთ თუნდაც მხოლოდ საკუთარი ხელით ნანერი ორი ოფიციალური დოკუმენტი: 1. ორ ფურცელზე გადმოცემული განცხადება უზენაესი სასამართლოს სპეცკოლეგიის სახელზე – თავისი უდანაშაულობის დასაბუთებით<sup>1</sup> და მე-2, რვა ფურცელზე დაწერილი უზენაესი სასამართლოს სპეცკოლეგიისადმი განცხადება მისი ბრალდებების უსაფუძვლო მოტივაციების და შინსახკომის ორგანოების მუშაკების დანაშაულთა გამოაშკარავების შესახებ<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 3104, 3105.

<sup>2</sup> საქმე, ფ. 283-287.

ამ მეორე დოკუმენტით მან დამსახურებულად წინასწარვე გადაუხადა სამაგიერო თავის მოლაღატურად დამპატიმრებელს, მილიციის უფროსს ნიკო ბუჩაშვილს, არგუმენტირებულად დაუსაბუთა რა ზემდგომ ორგანოებს მისი დანაშაულობანი. ნიკო ბუჩაშვილი მალევე დააპატიმრეს და დახვრიტეს კიდეც. ჩანს, მისი დანაშაულობანი ძირითადად დათვიას მიერ მითითებული ფაქტებით დადასტურდა.

დათვიას ოპოზიციური პოლიტიკური მოღვაწეობა ადრე-ახალგაზრდული ასაკიდანვე დაიწყო. იგი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე 3 ხელისუფლების (მეფის, მენშევიკური, ბოლშევიკური) მომხრე იყო. სამივეში თავიდანვე ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეც გახლდათ, მაგრამ სამივეს მალევე განუდგა და მოწინააღმდეგედ ექცა, ამიტომ იტყოდა ხოლმე მისი ბრძენი მამა მგელიკა „ჩვენმა დათვიამ სამი მთავრობა გამოიცვალა, სამივეს განუდგა და აღარ ვიცი, როგორი ხელისუფლება უნდაო. ე. ი. ხელისუფლებას, როგორც ძალმომრეობის ორგანოს, ვერ ეგუებოდა და ბუნებრივი თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა, როგორც განმანათლებელთა ბუნებრივი სამართლის იდეა მოითხოვდა.

რუსული სოციალიზმის მშენებლობის დანყებისთანავე უშუალოდ იარაღით დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. ხევსურეთის 1922 წლის ამბოხების დროს იგი იყო ხევსურთა აღიარებული წინამძღოლი და ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი<sup>1</sup>. ამბოხების შემდეგ იარაღი აღარ გაუშვია ხელიდან და ინდივიდუალურად ებრძოდა რუსულ ძალმომრეობას.

სასამართლო მასალებში ასახულია, რომ იგი პირდაპირ, გაბედულად პასუხობდა ბრალდების ყველა პუნქტს. ყალბს და ცილისმწამებლურს დასაბუთებულად უარყოფდა, ნამდვილს კი აღიარებდა და განმარტავდა მიზეზებისა და გარემოებების მითითებით. ასე, აღიარა ერთი მილიციელის მკვ-

<sup>1</sup> ივანე ლიქოკელი, დასახ. ნაშრ. გვ. 54, 73... 114, 115, 193-195.

ლელობა 1922 წლის ბრძოლების დროს, შინსახკომის ორი პასუხისმგებელი მუშაკის (ხეცურიანი და მკერვალიშვილი) დაჭრა 30-იანი წლების დასაწყისში, რაც განხორციელდა, მისი განმარტებით, მათგან თავდაცვისა და დევნის შეწყვეტის მიზნით. ამავე პერიოდში მან იარაღით დაიცვა თავი შინსახკომის ძალების მიერ მისი საცხოვრებელი სახლის ალყის დროს ორმხრივ სროლაში (არ დანებდა ხელისუფლების ორგანოს), რაც, საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ დამთავრდა. დანარჩენი ნაკლებმნიშვნელოვანი ბრალდებები (ძარცვა, ქურდობის ფაქტები და სხვ.) უარყო, ფაქტობრივად ვერც დაუმტკიცეს.

დათვია ლიქოკელს გამოძიებამ და სასამართლომ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერ დაუმტკიცა ანტისახელმწიფოებრივი კონტრრევოლუციური შეიარაღებული აჯანყების მზადებაში მონაწილეობა (35-36 წლებში), რაც მისი პასუხისმგებლობის საქმეს სერიოზულად დაამძიმებდა; სასამართლომ არ გაიზიარა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების: (საქ. სსრ შსსკ პოლიტსამმართველოს 1927 წ. 23/VIII დადგენილება ლ. ბერიას ხელმოწერით და საქ. სსრ ცაკ-ის 1934 წ. 2/VI დადგენილება ფ. მახარაძის ხელმოწერით) დირექტივები მისთვის დანაშაულთა პატიების შესახებ და მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა.

სასჯელის უმაღლესი ზომა დათვია ლიქოკელის მიმართ გვესახება იმ წინასწარგანზრახული მიზნის ლოგიკურ პასუხად, რაც საბრალმდებლო დასკვნაში იყო ასახული „დათვია ლიქოკელი ხალხში სახალხო გმირის სახელით სარგებლობდაო“<sup>1</sup>. ეს მართლაც ასე იყო, მის სამამაცო საქმეებზე ხალხი საქებურ ლექსებსც თხზავდა:

„გაითქვა ქვეყანაზედა დათვია ლიქოკელია,  
მტრის ტყვიამიუკარები, მთას მოარული მგელია“ და სხვ.

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 222.

იგი ცნობილი იყო, როგორც სიტყვის შეუდარებელი ოსტატი, პოლიტიკური დეკლამატორი. 30-იანი წლების დასაწყისში შეხვდა და მწვავე პოლიტიკური კამათი ჰქონდა საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძესთან ხევსურეთში როგორც საკუთარი პოზიციის, ისე მთელი ხევსურეთის მძიმე პირობების შესახებ და ადგილობრივი დამსწრეების გადმოცემით, მან მახარაძეს დაუმტკიცა თავისი სიმართლე. ამის შედეგი იყო სწორედ უმაღლესი ხელისუფლებისაგან წარსული დანაშაულის პატიება, რაც სჯეროდა ხალხსაც და თვითონაც, ყოველ შემთხვევაში, მართლაც ხელთ ჰქონდა ამის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები „მონმოვები“<sup>1</sup>. ის ფაქტი, რომ სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო უმაღლესი ხელისუფლების გადანყვეტილებანი, ამტკიცებს კომუნისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი პიროვნების თავისუფლების აბუჩად აგდების, მოტყუების, უცერემონიო გაქელვის ფაქტების ჩვეულებრივ მოვლენად, ქცევის ნორმად დამკვიდრებას. უფრო მეტი ცინიზმი წარმოუდგენელია! გასაგებია, რა ნდობა და ავტორიტეტი ექნებოდა ასეთ ხელისუფლებას ხალხში. ყოველ შემთხვევაში, დათვია უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ცდილობდა გაემართლებინა მთავრობის ნდობა და მიეღწია რეალური შერიგებისათვის. მან სარწმუნოდ განმარტა, რომ ანტისახელმწიფოებრივი, შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებაში მონაწილეობა არ მიუღია; რაც შეეხება შეიარაღებული დაპირისპირების ფაქტებს (სახლში ალყის დროს სროლა და ჩეკისტების დაჭრა), მათ თავდაცვის აქციებად მიიჩნევდა. ამბობდა, რომ შინსახკომის მუშაკები დავჭერი იმ-იტომ, რომ თავი დაენებებინათ მოსაკლავად ჩემი დევნისათვის და განშორებოდნენ ხევსურეთსო (რაც მოხდა კიდეც სინამდვილეში), თორემ რა დამიშლიდა მათ დახოცვასო.

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 300, 301.

აღმოჩნდა, რომ უმაღლესი ხელისუფლების მიერ გაცემული პატიების მანდატი იყო მხოლოდ ადამიანის სიფხიზლის მოდუნებისთვის განკუთვნილი ფარატიანა ქალაქი და მონინაალმდეგის ხელში ჩაგდების საშუალება.

დაპატიმრება კი განხორციელდა შემდეგნაირად:

მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით რეპრესიების დანყების წინ, 1935-1936 წლებში, საქართველოს მთავრობამ გადანყვიტა მასობრივი დაჭერები ჩაეტარებინა ხევსურეთში და უპირველეს ყოვლისა, დათვია, სხვა საშიშ მონინაალმდეგებთან ერთად, მოეშორებინა თავიდან. დათვიას, როგორც ფხიზელი, გამოცდილი და ფიზიკურად ძლიერი პიროვნების დაჭერა განსაკუთრებულ ზომებს საჭიროებდა. შინსახკომის ცენტრალურმა ორგანოებმა ხევსურეთში ადგილზე გაამნესეს თავიანთი სპეცრაზმი, რომელსაც მეთაურობდა გამოცდილი ჩეკისტი ნიკო ბუჩაშვილი. იგი თავისი რაზმით მუდმივად დამკვიდრდა ს. ბარისახოში და გარკვეული აგენტურა – მომხრეებიც შემოიკრიბა გარშემო. მათ „ბრიგადელებს“ უწოდებდნენ, დაურიგეს თოფები (რალას არ იკადრებდა მაშინაც ამ წყეული ცეცხლმსროლელი იარალის გულისთვის სულმოკლე ადამიანი!), აიძულებდნენ საჭირო ინფორმაციის მინოდებას და თვით ოპერაციებში მონანილეობასაც. ასეთები, სამწუხაროდ, დათვიას მეზობლებშიც ერივნენ.

ნ. ბუჩაშვილი ვერაგული დიპლომატიით ყოველმხრივ ცდილობდა დათვიას ნდობის მოპოვებას, რომელიც იმხანად თვითონაც მიისწრაფოდა მთავრობასთან დაახლოებისკენ, როგორც შერიგების კანდიდატი. ისინი დაძმობილდნენ (გახდნენ ოფიციალური – ფიცვერცხლით ძმადნაფიცები). ნიკომ დათვია რამდენჯერმე თავის ბინაზეც მიიწვია. ეს უკანასკნელი ფრთხილად, იარალით (თოფი, ნაგანი, ცივი იარალი) მცირე ხნით შედიოდა ძმობილთან... ჩეკა მიმართავდა მისი პოზიციების შეზღუდვა-შესუსტების ყოველნაირ საშუ-

ალებებს. 1936 წელს, დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, „ბრიგადელებმა“, ჯერ თოფით ჩასაფრებულებმა, ტყეში ვერაგულად მოკლეს დათვიასთან იმუამად სტუმრად ასული „კახელი ყაჩალი“ ლევან სულხანიშვილი („კახლევანა“), შემდეგ კი ჩეკასგანვე პროვოცირებულ ხევსურულ შულღში ჩაითრიეს თვითონ დათვია და მძიმე ჭრილობები (ხანჯლით) მიაყენეს. მათ შორის, მარჯვენა ხელზეც.

1936 წლის 29 სექტემბრის საღამოს<sup>1</sup> (სამშაბათ დღეს) ნიკო ბუჩაშვილმა თავის ბინაზე ვახშამზე მიიწვია ძმადნაფიცო. დათვიაც დანდობით მივიდა ძმობილთან. არაყის სმის დროს მასპინძელმა მოულოდნელად ხელქვეითებს გასცა განკარგულება, „ცხენები!“-ო (რაც ბოლო სიტყვად აღიქვა დათვიას მიმქრალმა ცნობიერებამ), რაც აღმოჩნდა საიდუმლო სიტყვა-პაროლი, რომელზედაც ოთახში შემოცვივდნენ მილიციონერები და გაკოჭეს სასმელში შერეული სანამლავით ბანგით გონმიხდილი დათვია ლიქოკელი. ეს ყველაფერი დაწვრილებით აღწერა ამ უკანასკნელმა საპატიმროდან საიდუმლოდ გამოგზავნილ ლექსში, რომლის ტექსტიც აქვე მოგვაქვს სრულად.

## დათვიას ლექსი

ყური დამიგდით ვაჟებო ერთ-ორი სიტყვის თქმაზედა,  
ქალაქში ტუსად იამბობს ბოროტზე, გულის ჯავრზედა.  
შუქიაურის<sup>2</sup> სიტყვაო მაგფანტავ ქვეყანაზედა.  
ცუდი მენახა სიზმარი სამშაბათ თენებაზედა,  
მიმავალს ხიდი გამიტყდა ალაღებულსა წყალზედა,  
ცხენ დამჩა წყალსგახეითი<sup>3</sup>, დამცდა საითამ სხვაზედა...

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 103.

<sup>2</sup> შუქიაური – ქვეგვარი, გვარიშვილობა.

<sup>3</sup> წყალგალმა.



ჩარღვეულ ვნახე ვერცხლები ჩემის ყუვეჭრელის<sup>1</sup>

ტარზედა

ხმალს ჯანგი მახკიდებიყვა დავითფერულსა<sup>2</sup> ფხაზედა,  
სამი დავანთი სანთელი ჩემის ყუვეჭრელის ტარზედა...

ცუდი ნამამყვა გუნება, არ ვიც რას ვნახე მხარზედა<sup>3</sup>.

ღალატიმც ნუ გაჩენილა ვაჟებო ქვეყანაზედა,  
კაც ერთხან მაინც მაკედების, სრუ დგას სამარის

კარზედა.

ბურაშვილმ დამიპატიჯა ნიკომ არაყის სმაზედა,  
დამალევირა არაყი, დამბანგა<sup>4</sup> თავის სკამზედა.

ჩეკა დამალულ ხვანიყვა, გეპეო თავის კარზედა.

ეტყოდა მელიციასა „ცხენებ მალაღეთ ხანზედა“,

აიმ დროს გადმამიჩინდეს ლიშანზედ პირობაზედა<sup>5</sup>

ადგომაც ველარ შავიძელ, ზედ დავმრჩალიყავ სკამზედა.

მაინც გულმ არ დაიჯერა ხელ ნავიდ ხანჯრის ტარზედა.

ალარცად ხელ მუშაობდა, ნაჭრევი<sup>6</sup> მჭირდა ძვალზედა.

ბრალ კი ას სპილოსტრიანო<sup>7</sup> სისხლი ამ გეცხას

ფხაზედა

ნეტავი გაღმარჯვებიყვა შავყრილიყვენით გზაზედა,

რკინაიმც გახურებულიყვ, ტყვიას ეჭვრითა ძვალზედა.

იქნებოდ შაფერებული, ყვარნებს ედინა მკედარზედა.

ვერ დამიჭერდით ძალლებო, ხელს ვერ მახლებდით

ტანზედა.

<sup>1</sup> ყუვეჭრელი, ყუაჭრელი (ხმლის ეპითეტი).

<sup>2</sup> დავითფერული – ხმლის სახეობა (დავით აღმაშენებლიდან მოდის).

<sup>3</sup> ... რას ვნახე მხარზედა – რას ნიშნავდა სიმბოლოურად.

<sup>4</sup> დამბანგა – ნარკოზი შემირია სასმელში.

<sup>5</sup> ლიშანზედ პირობაზედა – პაროლი.

<sup>6</sup> ნაჭრევი – ჭრილობა.

<sup>7</sup> ბრალი ას სპილოსტრიანო – აფსუს ხანჯალო!

შვიდი-რვათ ხელ-ფეხ გამიკრეს, შამაგდეს მაშინაზედა.  
ღუყეთში ჩამამიყვანეს ოთხშაბათს თენებაზედა.  
ორ დღე ღუყეთში დავლიე, არ ვიყავ თავის წარზედა.  
მესამე დღე რომ გათენდა მემრ იქავ მაშინაზედა.  
ძმან მაგიერან<sup>1</sup> მეტანნეს, მღერით ვიდინეთ გზაზედა.  
ქალაქში ჩამოგვიყვანეს პარასკეს ღამებაზედა.  
მემრ თავ-თავადად<sup>2</sup> გაგვეყარნეს, თავთავის კამერაზედა...  
ბევრ ვაჟ კი გმინავს ციხეში, ზოგს ცრემლიც ვლნახე  
თვალზედა,

ზოგებ ერთუსავ უჩივის თავისავ ნაბიზლარზედა,  
გულო არ გასქდი ოხერო, მაგარ ყოფილხარ ქვაზედა!  
შვიდი-რვან ჩამიყენებენ, რა მიეხყვანდ დაკითხვაზედა,  
ისრა ღგონავა ძალლებსა გაგვიფრინდების ცაზედა.  
ჩვენი მტერი ხარ მეტყვიან, თოთხმეტ წელს გვედეგ  
ძალზედა,

თავი შენ იყავ ხევსურეთს, ჩვენ მიზეზ არ გავაქვ  
სხვაზედა.

რადარ გხვდებოდა ტყვიანი, ხომ არა გქოგნდა ტანზედა.  
მალ-მალ მიშინჯვენ ბეჭებსა, ხელს მისმენ  
ტალავარზედა...

პირველ იანვარ გათენდა, ნეტა, მზე დგასა ცაზედა?  
ახალ წელ გამაიცვალა, მთელ ქალაქ ლხინობს  
ძალზედა!

მშვიდობით სახლისკაცებო, ნუ დამიცილებთ სმაზედა,  
თვალ-გულ მიძლიეთ ხიზანსა, იფიქრეთ თავის თავზედა.  
მგონი მგზავნიან რუსეთა, უნდა გადვიდე ზღვაზედა.

სადღესოდ პატრონ არვინ ას, აბჯარ აისხას ტანზედა,  
სახვალოდ თუ ვინ იქნების მისაყოლი აქვ მზაზედა.

<sup>1</sup> მაგიერანი - ქვეგვარი, ძმები ზვიდა და ადადა ლიქოკელები.

<sup>2</sup> თავ-თავადად - ცალ-ცალკე.

ეს ლექსი დაწერილია, როგორც ტექსტიდან ჩანს, 1937 წლის ივნის-ივლისში, უზენაესი სასამართლოს სხდომის წინა პერიოდში (სასამართლო პროცესი შედგა ივლისში). ავტორი ვარაუდობდა რუსეთში (ციმბირში) გადასახლებას – „მგონი მგზავნიან რუსეთა, უნდა გადვიდე ზღვაზედა“-ო.

ტექსტი, თითქმის მოსწავლის ერთი რვეული დათვიამ თავადვე გამოაგზავნა საპატიმროდან საშინაო თათის<sup>1</sup> საკერებსა და ძირს შორის ჩადებული, მოკითხვაზე მისულ ცოლს (დედიკას) გამოუგზავნა. პირისპირ შეხვედრის უფლება არ ჰქონდათ. სავარაუდოა, რომ ციხის ადმინისტრაცია მას გასინჯავდა, თუმცა რეკვიზიცია არ უყო, როგორც არასაინტერესოს.

რვეული მოიტანეს, ინახებოდა ჩვენს ოჯახში, მას კითხულობდა და ისმენდა ყველა დაინტერესებული პირი. ჩემმა უფროსმა ძმებმა მაშინვე ზეპირად ისწავლეს (სხვა ბიძაშვილებმაც და მალე იგი სასიმღერო-საკაფიო საგნად იქცა მთასა და ბარში. რვეული ხშირი ხმარების გამო გაცვდა და ბოლოს დაიკარგა კიდევ (გადაწერა და გამრავლება ვერავინ მოიფიქრა). დასანანია ფოლკლორისტიების უყურადღებობაც დღემდე.

როგორც დათვიას ლექსშია ნათქვამი, მეორე დღესვე დააპატიმრეს მეზობელ სოფელ აკუშოში მცხოვრები ძმები ზვიადა<sup>2</sup> და ადადა ლიქოკელები და დუშეთიდან, დათვიასთან ერთად, ორი დღის შემდეგ ჩაიყვანეს ქ. თბილისში შინსახკომის საპატიმროში. ეს ძმები მხოლოდ რამდენიმე წლის

<sup>1</sup> საშინაო თათები – სქელი, თბილი, ზამთარში სახლში საცმელი ფეხის სამოსი, ჩიზები (თურ.) ძირზე რბილი ხბოს ტყავის საკერებლით.

<sup>2</sup> სახელი „ზვიადა“ ხევსურულში გამოითქმოდა „ა“ დაბოლოებით, როგორც აპარეკა, ბათაკა და არა „ზვიადი“, სწორედ ზვიადობის მიუღებლობის გამო.

ნინ ამოსახლდნენ ხევსურეთში; მანამდე კი ცხოვრობდნენ კახეთში, თელავის რაიონის სოფ. თეთრწყლებში (ს. სალებე-ში) და ჩანს, ვერ ეგუებოდნენ ბარად უფრო დამკვიდრებულ ახალ (საბჭოურ) წესწყობილებას. იყვნენ უცოლო, ახალგაზ-რდა, გამბედავი, შეუდრეკელი ვაჟკაცები და მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრობდნენ ღარიბულად (ცალბანა სახლში), საზოგადოებაში სარგებლობდნენ კარგი სახელით. ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში ასეთი ფაქტი: 1935 წლის ზაფხულის ერთ დღეს ს. ბარისახოში ახლად აშენებული მთავრობის თე-თრი სახლების დათვალიერების (ალბათ, საზეიმოდ გახსნის დღეს) ჟამს, ერთიმეორეს შეეჯახა მთის ორი ჯიქი – ხვთისო გოგოჭური და ადადა ლიქოკელი (ან კი როგორ გასძლებდ-ნენ უშულოდ!) და უხვად დატოვეს ღრმა ჭრილობათა (ხმალ-ხანჯლის ნაჭდევათა) კვალი არა მარტო ერთიმეორის სხეულზე, არამედ სკოლა-ინტერნატის ქათქათა კედლე-ბზეც. გაკვირვებულ-გაოცებულები ვათვალიერებდით შენო-ბის თეთრ სვეტებზე უხვად შეშხეფებული სისხლის მკვეთრ კვალს სკოლის სანახავად მისული ყმანვილები. ახლა ძნელია შუღლის ნამდვილი მიზეზის განსაზღვრა, სიმამაცე-სიჩაუქის გამოცდა, ვაჟკაცობის, სპორტული შემართების დემონსტრი-რება იქნებოდა ეს, თუ გარკვეულწილად, ანტისახელმწიფოე-ბრივი, საპროტესტო ელფერის მატარებელი აქცია.

ზვიადა და ადადა ლიქოკელების საქმის გამოძიების მა-სალები არ აღმოჩნდა შსს არქივის ფონდებში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაპატიმრებული იქნენ ლიქოკური რეპრესი-ის დანყების პირველ დღესვე, მათი საქმე არ გადიოდა (არ განიხილებოდა) სხვა კონტრრევოლუციონერთა საქმეებთან, თუმცა გამოძიება დიდი მონდომებით ცდილობდა მათ (მაგ., ზვიადას) ჩართვას ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულებაში, მაგრამ არ გამოუვიდათ.

დაუზუსტებელი მონაცემებით, ისინი გასამართლებული იქნენ სს კოდექსის სხვა მუხლით, უფრო ყაჩაღობა-ჩხუბების,

კერძოდ, კახეთში - (თელავის რაიონი) მოქმედ ყაჩაღებთან ურთიერთობის კვალიფიკაციით. სავარაუდოა, აგრეთვე, რომ ისინი დამატებით კიდევ გაასამართლეს მომდევნო (ომის) წლებში „სამშობლოს მოლაღატე“ ჯგუფთან ერთად (თოდუები, ბობლიაშვილი და სხვ.).

ლიქოკში ცნობილი იყო, რომ მათაც მიუსაჯეს უმაღლესი სასჯელი 10-10 წელი ციმბირში გადასახლებით. რეალური ის არის, რომ ომის დროს (1942-1943 წწ.) მათი ოჯახის ერთადერთმა გადარჩენილმა წერა-კითხვის უცოდინარმა დამ - ძილამ მეზობლებს, სკოლის მოსწავლეებს, მოგვიტანა წასაკითხავად ადადას მიერ ხაბაროვსკიდან გამოგზავნილი წერილი; მგონი, იგი უკვე ომში მონაწილე იყო, როგორც საჯარიმო ბატალიონის წევრი. მერე კი საერთოდ დაიკარგა მათი კვალი, როგორც ყველა სხვა რეპრესირებული ლიქოკელისა.

პირველი სამეულის, ყველაზე საშიში ჯგუფის, გაუვნებლყოფას მალევე მოჰყვა ე. წ. კონტრრევოლუციური მოძრაობის მესვეურთა - ლერენა გიორგის ძე, გიორგი გაგას ძე და გიგუა (იგივე გიორგი) აბიკას ძე ლიქოკელების დაპატიმრება. ამ აქტის შინაარსი და ფორმაც ზუსტად შეესაბამება მთელი ამ საქმის, ამ უბოდიშო პროვოკაციის პოლიტიკურ არსს. როგორც გამოძიების მრავალ დოკუმენტში, განსაკუთრებით ლერენა ლიქოკელის ჩვენებებშია აღნიშნული, ეს სამეული, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შუა ოქტომბერში თბილისში შეხვდნენ ამერიკელ ჟურნალისტს, რომელმაც წაიყვანა ისინი თავის ბინაზე. დალიეს სასმელი (ღვინო და კონიაკი), ცხადია, სტუმრების ყურადღების მოსადუნებლად (სხვათა შორის, ასეთი გამასპინძლების და თვით ფულის გადაცემის გამოცდილება ადრეც ჰქონდათ მათ). მასპინძელმა შემოიერთა ერთი „მოსკოველი“ ამხანაგიც და წაიყვანა სტუმრები შეპირებული იარაღის გადასაცემად, როგორც თავიდანვე იყვნენ შეთანხმებული, რაც თვით ხევსურეთშიც იცოდნენ იქ დარჩენილებმა („იარაღ უნდა მაიღანავ!“). „კონტრრევო-

ლუციის ბელადები“ მიიყვანეს პირდაპირ შინსახკომის კომენ-  
დატურაში, გაჩხრიკეს და შეყარეს ციხეში. ამით დამთავრდა  
ხევსურეთის „კონტრრევოლუციური მოძრაობა“, არალეგა-  
ლური ანტისახელმწიფოებრივი შეიარაღებული აჯანყებისთ-  
ვის მზადება ლიქოკში.

დანარჩენი 6 ლიქოკელი და 5 სხვა ხევსური დააპატიმრეს  
ოქტომბრის მეორე ნახევარში, უკვე უშიშრად, რადგან მებრ-  
ძოლი, შეიარაღებული პირებისგან წინააღმდეგობა, თავდასხ-  
მის საშიშროება მოხსნილი იყო.

თავიდანვე ამ საქმეზე დაპატიმრებულ იქნა სულ 22  
კაცი.

ლიქოკელების გარდა დაპატიმრებული იყო სულ 8 ხევ-  
სური. ამათგან ძიებაში დარჩა და სასამართლოზე გავიდა 5  
კაცი. დანარჩენები ძიების პროცესშივე გაათავისუფლეს; ვერ  
დაუსაბუთეს დანაშაული.

გასამართლებულნი იქნენ:

1. აპარეკა გიორგის ძე არაბული
2. ბერდია ბენინიკა ძე არაბული
3. კუკუმარ ბალათერას ძე არაბული
4. მამუკა გაგას ძე ჭინჭარაული
5. ალექსი ალექსანდრეს ძე ოჩიაური (ალეკათ ლექსო).

აპარეკა გიორგის ძე არაბული, დაბადებული 1878 წელს,  
მცხ. ს. ბარისახოში, ლიქოკელების სიძე იყო (გიორგი ახალას  
ძე ლიქოკელის დის ქმარი) და მათთან მუდმივი ურთიერთო-  
ბისას (რელიგიურ დღეობებში, ნათესაურ შეხვედრებში) იქცა  
მათი ბედის გაზიარების ერთ-ერთ მიზეზადაც. იგი მანამ-  
დეც გამოირჩეოდა პატრიოტულ-ვაჟაკური თვისებებით და  
აქტიური პოლიტიკური პოზიციით. იგი, მიუხედავად იმისა,  
რომ წერა-კითხვაც კი არ იცოდა, ჯერ კიდევ რევოლუცი-  
ური მოძრაობის დასაწყისიდან თანაუგრძნობდა ახალ პოლი-  
ტიკურ ძალებს და მონაწილეობდა კიდევ საქართველოს და-

მოუკიდებლობისათვის ბრძოლებში. მენშევიკების დროს იყო ბარისახოს თემის კომისარი.

რუსეთის დიდი სამოქალაქო ომის დროს, 1919 წლის მარტში, დენიკინელების მიერ ჩრდ. კავკასიაში ნითელი არმიის განადგურების შემდეგ მისი ნარჩენები კავკასიონის მთებს შემოეფარნენ. მთელი ამ ძალების უმაღლესი ხელისუფალი, საბჭოთა სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი გრიგოლ ორჯონიკიძე („ამხანაგი სერგო“ – კონსპირაციული ფსევდონიმი) ხევსურეთის (არხოტის) მთებით „მშობლიურ“ საქართველოს შემოეხიზნა. ორიოდ თანამებრძოლით ჩამოაღწია ს. ბარისახომდე, სადაც ვარაუდობდა, რომ თავისუფლად ამოისუნთქებდა, მაგრამ ადგილობრივი კომისარმა აპარეკა არაბულმა დააპატიმრა და სამხედრო-პოლიტიკური წესების (თოფიანი ყარაულის) სრული დაცვით ჩაიყვანა და ჩააბარა ცენტრალურ ხელისუფლებას ქ. თბილისში, როგორც პოლიტიკური მტერი, სამხედრო დამნაშავე. თითქმის ყველა მაშინდელმა ხევსურმა ზეპირად იცოდა ლენინ-სტალინის ამ მრისხანე ემისრის ამ დროს ნათქვამი სარკასტული ფრაზა: „ჭაიგიდი, სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარო, სოფ. ბარისახოს კომისარი რომ გაპატიმრებსო!“ საქართველოში თითქმის ყველა გათვითცნობიერებული პატრიოტისთვის იყო ცნობილი აგრეთვე დამოუკიდებელი საქართველოს მეთაურის – ნოე ჟორდანიას მაშინდელი ისტორიული გამონათქვამი, ძველ თანაპარტიელს რომ შეუთვალა: „კარგი რა სერგო, ასე აშკარად მაინც ნუ გამოდიხარ თბილისის ქუჩებში, ყველა გხედავსო!“ (ნეტა რა მოხდებოდა, უნიგნური ხევსური აპარეკას პოლიტიკური სიფხიზლის ნატამალი მაინც აღმოჩენოდა პარტიისა და სახელმწიფოს ცნობილ ლიდერს! იქნებ სულ სხვა გზით წარმართულიყო ჩვენი ბედკრული ქვეყნის მომავალი, ჰა!?! (უსაფუძვლო ფანტაზია?!).

აპარეკას ამბავი აქ არ მთავრდება. ჯერ კიდევ საკმაოდ გრძელი გზა აქვს გასავლელი სოღანლულის საღორღემდე...

უდღეური ქართველი მენშევიკების მიერ ქვეყნის უპატრონოდ მიტოვების შემდეგ იმავე საგანგებო კომისრის მიერ შემოყვანილ კომუნისტური რუსეთის ჯარს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თავზეხელალებულ ხევსურთა ლაშქარმა – ჭიანჭველამ – სპილოს. ხევსურებს ტრაბახა, ფახიფუხა, სამთავრობო სკამებისთვის გაფაციცებული კუთხური კლანების მასებიდან თანადგომა და ხელმძღვანელობა არავინ გაუწია ქაქუცა ჩოლოყაშვილის მამაცთა რაზმის გარდა. პატრიოტებმა მაშინ – 1922 წელს საკმაოდ იჯერეს გული ასეულობით უზურპატორის გაულეტივით. მთელი კამპანიის დროს ქაქუცას გვერდიდან არ მოშორებია მამაცთა შორის უმამაცესი ვაჟები – ერთი მათგანი იყო აპარეკა არაბული. იგი ფშავის სოფ. მალაროსკარში დახვდა ხევსურეთისკენ მიმავალ ქაქუცას რაზმს რამდენიმე თანამოძმესთან ერთად ივლისის შუა რიცხვებში და ჩარგლისკარამდე გააცილა იგი ამ სისხლისმღვრელი კამპანიის დასასრულს.

აი, ახლა კი, ათეულ ნახევარი წლის შემდეგ კვლავ იარალით (ახლა უკვე ცივით) აპირებდა სოციალისტური კოლექტივიზაციისა და გადასახადების, ათეიზმისა და სხვა მისთანათა შემოღების შეჩერებას. მაგრამ ახლა უკვე სხვა გზებით უყელეს ჩეკისტებმა და ეკლიანი გზაც აქ დასრულდა.

გიორგით აპარეკასთან ერთად საბჭოთა ღონისძიებების არდაშვების მოთხოვნით გამოდიოდნენ მისი მეზობლები: ბიძაშვილი კუკუმაურ ბალათერას ძე არაბული, მამუკა გაგას ძე ჭინჭარაული და სოფ. დათვისის მცხოვრები ბერდია ბენინიკას ძე არაბული. ისინი ყოველ სახალხო შეკრებაზე აქტიურად აგრძელებდნენ ანტირუსული – ანტისაბჭოური სულისკვეთების და წინააღმდეგობის დანერგვას, რაც 1922 წლის ამბოხებაში მონაწილეობით ჰქონდათ შესისლხორცებული, იყვნენ მთელი მოსახლეობის შეხედულებებისა და პოზიციების გაბედული გამომხატველები, თავისებური დეკლამატორები. ხევ-



სურთა უმრავლესობას შეხედულებების ხმამაღლა გამოთქმა არ შეეძლო, თორემ პოზიციები საერთო იყო. რეპრესიის მსხვერპლი გახდნენ სწორედ პირველნი, მოლაპარაკენი.

მთელ ამ საქმეში და პოლიტიკურ კამპანიაში ცალკე პოლიტიკურ პერსონად დგას ალექსი ალექსანდრეს ძე ოჩიაური (ალეკათ ლექსო).

ა. ა. ოჩიაური, დაბადებული 1892 წელს სოფ. ახიელში (არხოტის თემი), იყო ერთადერთი განათლებული პიროვნება მთელ ამ მასაში. მიღებული ჰქონდა ჯერ სასულიერო (არაოფიციალური), შემდეგ კი საბჭოური მუშფაკის განათლება. 30-იანი წლებიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ხევსურეთისა და ფშავის ახლად გახსნილ სკოლებში. იგი გამორჩეული იყო ოჯახურ-სანათესაო წრის მხრივაც. მამა, ალექა, იყო ერთ-ერთი ცნობილი დასტაქარი (აქიმი) ხევსურეთში, ცოლი, ნათელა ბალიაური, აგრეთვე მუშფაკდამთავრებული, ისევე როგორც ძმა, მიხა ოჩიაური; ხოლო ცოლისძმა-ბიძაშვილები (ლადო, თომა, გაბრიელ და ერასტი ბალიაურები) ხევსურული ინტელიგენციის პირველი წარმომადგენლები იყვნენ. მათ განათლება მიღებული ჰქონდათ ვლადიკავკაზის სკოლებში (ტერიტორიული სიახლოვისა და ხევსურეთში სკოლების არარსებობის გამო). სწორედ ამ ოჯახური ტრადიციებით აიხსნება ის ბედნიერი გარემოება, რომ ხევსური ლექსოსა და ნათელა ოჩიაურების ოჯახმა სამშობლოს აღუზარდა ისეთი საამაყო შვილები, როგორებიც არიან პროფესორები დედიკა და თინათინ ოჩიაურები და საქვეყნოდ ცნობილი მოქანდაკეები ირაკლი და გოგი ოჩიაურები.

ალექსი ოჩიაურის, ყველა ხევსურისათვის ამ პატივცემული კაცის, „კონტრრევოლუციაში“ ჩართვა განაპირობა კომუნისტთა სურვილმა სისხლიანი მათრახის გარეშე არ დაეტოვებინათ არც ერთი ცნობილი, ავტორიტეტული ხევსური, რათა საფუძვლიანად გადაემტვრიათ ამ მხარის ხერხემალი

და საბოლოოდ ამოეძირკვათ მისი მეზრძოლი სული. შინ-სახკომმა, როგორც უკვე ნახსენები იყო, ალექსი ოჩიაურს ბრალად დასდო 1936 წლის იანვარში ლიქოკში (ხატში) ამერიკელი ჟურნალისტის მაკ გრეგორისთვის იქაურ ნაცნობთან ხახონ ლიქოკელთან წერილის გატანება დახმარების თხოვნით. აქედან დაიწყო ეს პროვოკაცია და ა. ოჩიაურის 5-6 თვიანი ტანჯვა-წამება ჩეკისტების ციხეში.

„მთავარი კონტრრევოლუციური ბუდის“ ლიქოკის თემიდან (9 სოფელი) დაპატიმრებულთა დანარჩენი კონტინგენტი, სასამართლოზე გასული 5 კაცი, შეირჩა აგრეთვე მთელ მოსახლეობაზე რაც შეიძლება მეტი დამორგუნველი ზეგავლენის მოხდენის პრინციპით: უფრო ავტორიტეტული, ასაკოვანი, კაცთკითხული ხალხი: მინდია მგელას ძე, 70 წლის, კარატის ჯვარის (წამყვანი ხატი) მთავარი ხუცესი; გიორგი ახალას ძე, 52 წლის, ცნობილი ოქრომჭედელი; ხახონი თაძიას ძე, 35 წლის, საბჭოს წევრი; აპარეკა ბაჭუას ძე, 58 წლის გამბედაობითა და შეუდრეკელობით ცნობილი, სახელოვანი ხმლის პატრონი<sup>1</sup>. ბაძია მგელას ძე, 30 წლის კაცი. დაპატიმრებუ-

---

<sup>1</sup> განთქმული ხმალი – ხევსურეთში მეტად ძლიერი იყო ხმლის კულტი; იგი მამაცობასთან, ვაჟკაცობასთან ასოცირდებოდა. დღემდეა შემორჩენილი ისტორიული ხმლების სახელები: ნადირა ხოშარაულის ხმლის ნატეხი ბახტრიონის ბრძოლიდან (ჩვენ დრომდე ჰქონდათ მემკვიდრეებს სოფ. მისახში); „მამუკაურა“ (ბლოელი გიგაურის ხმალი); ლიქოკელთა ხმლები: „აბაის ბანარაული“ – ზურაბ ერისთავის ჯართა მმუსერელი (მემკვიდრე-მფლობელმა გელა გიგიას ძე ლიქოკელმა უძღვნა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს); ძაღლიკა ხიმიკაურის ხმალი (მეფე ერეკლე II-თვის გადაცემული, ინახებოდა აგრეთვე თელავის მუზეუმში) და ა. შ.

სუპერ ფოლადის მახვილი – მთავარი პირობა მამაცისაგან სახელის მოპოვებისა, ისევე, როგორც კაი ყმისაგან უსულო საგნისთვის უკვდავების მინიჭება.

ლიქოკელთა წინაპარმა სანაგის სანაგმა თავის სამკვიდროში დააარსა

ლი იყვნენ აგრეთვე ხვთისო კიკოლას ძე, მამუკა უშიშას ძე, დავით გიგიას ძე ლიქოკელები, რომელთაც ვერ დაუსაბუთეს დანაშაული და გამოძიების პროცესშივე გაათავისუფლეს.

ამავე პერიოდში სხვადასხვა ბრალდებით დაპატიმრებული იყვნენ პირაქეთ და პირიქით ხევსურეთის სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი: შეთეკაური როსტომი (ხონისჭალა), ჭინჭარაული გადუა (გუდანი), ჭინჭარაული მინდია (გუდანი), ჭინჭარაული გაგა (მუცო), არაბული ბენინა (ზეისტერო), ნიკლაური იმედა (როშკა) და სხვ. მათი უმრავლესობაც განთავისუფლებული იქნა ძიებიდანვე ბრალდების დაუდასტურებლობის გამო.

ეჭვიმიტანილთა თავიდანვე დაგეგმილი დასაჭერი დარჩათ სიიდან სულ რაღაც 3-4 თვალსაჩინო კაცი ლიქოკის თემიდან: მგელა, თათარი, ჩაჩაური (სოფ. ქვაბულოდან), გიგია (სოფ. კარნაულთიდან) და სხვ. ისინი, ჩემი აზრით, მიიჩნიეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ პიროვნებებად. მათ შვილები შეიყვანეს ახლადგახსნილ ბარისახოს საშუალო სკოლაში სასწავლებლად; არ მალავდნენ სსრ კავშირთან (ე. ი. რუსეთთან) პოლიტიკური დაპირისპირების უიმედობას, თუმცა მთავრობის სოციალისტურ ღონისძიებებს ისინიც აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ; უარყვეს „48-ის“ და ბელადისადმი მისასალმებელ სიებში ჩაწერაც; ხოლო ჩაჩაურ ლიქოკელი (ჩემი ბიძა) იყო უშიშროების რწმუნებულის, მშვენიერადის ცხენის შემნახველ-დამტარებელი; შემდეგ იყო თვით სასოფლო საბჭოს (ბარისახოს) თავმჯდომარეც. ამ თანამდებობის აღსრულებაზე თავისებური არაკებიც კი შეიქმნა ხევსურეთში. ასე მაგალითად: ნასვამი (რაც ხშირად ხდებო-

---

ქრისტიანული სალოცავი (ხატი) და მასაც „ხმალა“ უწოდა. იგი შემდეგ ეკლესიად გადაკეთდა. შთამომავალთა ერთი შტო შემდეგ საცხოვრებლად რომ გადავიდა თიანეთის რ-ში თავისი სალოცავი „ხმალაც“ იქ გადაიტანა.

და) ჩაჩაური თუ სახელმწიფო ბეჭედს დაუსვამდა მთხოვნელზე გაცემულ ცნობას, ხელს აღარ აწერდა მასზე. თუ ბეჭედი დაკარგული ჰქონდა (რაც აგრეთვე ხშირად ხდებოდა) ხელს აწერდა საბუთს: „ჩაჩაური“, თან განმარტავდა – „ბეჭედ იმათად ას, ვინც ხელის მანერა არ იცის, თუკი ხელს მავანერ, რალა ბეჭედ უნდ“.

\* \* \*

დაპატიმრებათა დამთავრებისთანავე, 1936 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დაიწყო გამოძიება – საქმის III ეტაპი... გამოსაძიებელი კი თითქმის არაფერი იყო. ამოცანა მდგომარეობდა დაპატიმრებულთაგან ისეთი აღიარების მოპოვებაში, რომელიც დაადასტურებდა მათ მიერ კონტრრევოლუციური მოძრაობის, თვით ამ მოძრაობის ცენტრის ჩამოყალიბებას საზღვარგარეთული დივერსიული წარმომადგენლობის დახმარებით და შეიარაღებული არალეგალური ანტისაბჭოთა აჯანყების მომზადებას მთელი ხევსურეთის და თვით მიმხრობილი მეზობლების მასშტაბით. ამის დოკუმენტური (ე. ი. ნივთმტკიცებითი) გაფორმება კი არც თუ ისე საძნელო იყო წერა-კითხვის მცირე მცოდნე და უცოდინარი ხალხის დაკითხვისა და ოქმების რუსულ ენაზე შედგენისა და თარგმნით გაცნობის პირობებში. მთელი ეს პროცესი კარგად ჩანს პატიმართა დაკითხვის (განსაკუთრებით ლერენასი) მასალებში. მთავარ გამოძიებელს, უშიშროების ლეიტენანტ ა. ქელივიძეს მთელი საქმის წარმოება მიჰყავდა რუსულ ენაზე, ყოველ შემთხვევაში ოქმებს, ანკეტებს და სხვა მასალებს ავსებდა რუსულად, სხვათა შორის, ქართულ ბლანკებზეც. აქვე უნდა ითქვას ყველაფრის დამაგვირგვინებელ ფაქტზე: ჩვენმა „მრისხანე“ კონტრრევოლუციონერებმა მოახერხეს და

გარეთ მყოფ თავისიანებს მიანოდეს ინფორმაცია, რომ მათი გამოძიებელია მათივე ამერიკელი „მეკავშირე“ ჟურნალისტი (!!!). შინაარსით და დანიშნულებით ამ მოვლენას არ ჩამოუვარდება მეორე ფაქტიც: კონტრრევოლუციური ცენტრის მეორე წარმომადგენლის „ქართველი ილარიონის“ პიროვნების დადგენის, ინდივიდუალური ნიშნების შესახებ გამოძიებული პატიმრებს ეკითხებოდა, ხოლო საბრალდებო დასკვნაში მიუთითეს „იძებნებაო“ (?!)!. როგორც იტყვიან – ცინიზმის უსაზღვროებასთან გვაქვს საქმე.

დაკითხვების მეთოდით, დანაშაულის დადგენის და სქემის აგების ფორმა ყველას მიმართ ერთი და იგივე იყო და ცალკე თითოეულის ჩვენებების გამეორება საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ, მოვიყვანეთ მხოლოდ ლერენა ლიქოკელის ჩვენებების შედარებით სრული მონაცემები. გამოძიებამ „დაასაბუთა“, ასე ვთქვათ, ხევსურეთის (ლიქოკის) კონტრრევოლუციის არსებობა, წარმოაჩინა მისი ცენტრის წარმომადგენლები ადგილზე (ლერენა, გიორგი და გიგუა ლიქოკელები), „ცენტრის“ წამყვანი (თბილისიდან) წარმომადგენლები, საქმის ინიციატორები და წამომწყებნი, ცხადია, არ გამოუვლენიათ, არც უძებნიათ და გასაგებია, რატომ! სამი ლიქოკელი „ცენტრისტის“ (ვუნოდოთ ასე იმ საცოდავებს!) მიმართ დასაბუთდა შემდეგი: ლერენა გიორგის ძე და გიორგი გაგას ძე ლიქოკელებმა ფაქტობრივად აღიარეს დანაშაული, ცნეს თავი დამნაშავედ სახელმწიფო პოლიტიკის სანინალმდეგო აგიტაციაში, თუმცა მიუთითებდნენ კონტრრევოლუციური აჯანყების მზადება და ოფიციალური ორგანიზაციაც არ ყოფილაო. მესამე მთავარმა დამნაშავემ გიგუა (იგივე გიორგი) აბიკას ძე ლიქოკელმა აღიარა თავდაპირველი მონაწილეობა, მაგრამ მერე ჩამოვეშორდიო (რაც ლერენამაც დაადასტურა),

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 223.

თუმცა ოქტომბერში თბილისში „საიდუმლო სერობას“ მაინც დაესწრო და მოხვდა კიდეც ჩეკაში.

დანარჩენი დაპატიმრებულები (მისჯილები) დაისაჯნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ წამოწყებული ახალი ღონისძიებების სანინააღმდეგო პოზიციებისა და მოქმედებისადმი მუქარისათვის.

საჭიროა გაირკვეს რეპრესირებულთა საქმის იურიდიული, ოფიციალური და ფაქტობრივი დეფინიციები, რადგან ორ სხვადასხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ საბრალდებო დასკვნაში და საერთოდ მთელ ამ საქმის წარმოებაში ბრალდება განისაზღვრა ლერენა გიორგის ძე ლიქოკელის, დათვია მგელიკას ძე ლიქოკელის და სხვათა მიმართ ხევსურეთში კონტრრევოლუციური, ანტისახელმწიფოებრივი, არალეგალური შეიარაღებული აჯანყების მზადების შესახებ საქმედ (8221, საქ. სსრ სსკ 19-58 პ „2“ და 58 პ „11“, დამატებით ბრალდება 58 მუხ. პ. „10“)<sup>1</sup>, იგი არსებითად ორი სხვადასხვა სახის და ხასიათის მოვლენისაგან შედგებოდა:

1. კონტრრევოლუციური აჯანყების მზადება და
2. ყაჩაღურ-მეამბოხური მოქმედებანი.

კონტრრევოლუციურ ქმედებაში ლერენას ჯგუფს ედებოდა ბრალი, ყაჩაღურ-მეამბოხურში – დათვია, ზვიადა, ადადა ლიქოკელებს.

ლერენას ჯგუფის დანაშაული საბრალდებო დასკვნაში ასეა კვალიფიცირებული:

1. ფართო აგიტაცია საბჭოთა სახელმწიფოებრივი ღონისძიებების წინააღმდეგ;
2. საზღვარგარეთთან კონტრრევოლუციური კავშირის დამყარება;

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 608-616.

3. შეიარაღებული აჯანყების მომზადება<sup>1</sup>. ეს მიმართულებები ბალანსირდებოდა სხვადასხვა მოქმედებით (ე. წ. შეკრებები, ღონისძიებებზე უარი, სიების შედგენა, თხოვნით მიმართვა აშშ-ის მთავრობისადმი, უარი კოლექტიური წერილის ხელისმონერაზე და სხვ.).

ბრალდებულთა მეორე ჯგუფი (ყაჩაღები) აჯანყების მზადებაში ფაქტობრივად არ მონაწილეობდნენ (ყოველ შემთხვევაში, საქმის მასალებში ეს არაფრით დასტურდება). ისინი თავდასხმებს ახორციელებდნენ. გასამართლებული კი ყველანი ერთდროულად იქნენ, ცხადია, საქმის დამძიმების მიზნით.

სინამდვილეში ეს არის ანტისახელმწიფოებრივი, კონტრრევოლუციური მოძრაობის ოფიციალური დადასტურების მცდელობა, ე. ი. იმის დაკანონება, რაც ფაქტობრივად არ ყოფილა.

არაფერში იყვნენ დამნაშავე ხევსურები?

შევეცადოთ, გავარკვიოთ საქმის რეალური ვითარება! დოკუმენტებზე და რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით გავანალიზოთ ორივე მიმართულება!

როცა შინსახკომმა ხევსურული კონტრრევოლუციის განხორციელება დაიწყო, მისი აგენტი „მაკ გრეგორი“ შევიდა ხევსურეთში, სცადა კანონებით და ტრადიციებით გამყარებული პოლიტიკური მოძრაობის, ე. წ. არაღებულური ორგანიზაციის ჩამოყალიბება სათანადო ცენტრითა და სხვა ორგანოებით. იგი მისვლისთანავე აღმოჩნდა მოვლენის შუაგულში, ხატში აუარებელი შეზარხოშებული, ხმაურიანი, თავისუფალი და გამბედავი ხალხი მტკიცე წესრიგისა და უსიტყვო მორჩილების გამომხატველი იყო რელიგიურ რიტუალში და აბსოლუტურად ანარქიული საზოგადოებრივ სფეროში. ყველა თავისუფლად და შეუზღუდავად, ხმამაღლა გამოთქვამდა

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 220.

თავის აზრსა და პოზიციას განსაკუთრებით სახელმწიფო-ბრიგ-პოლიტიკურ საკითხებში. ძნელი სათქმელია, რამდენად სწორად და ადეკვატურად წარმოუდგებოდა მას ამ პირლია მოყაყანე, გულუბრყვილო, უნიგნური, დაუდევარი ადამიან-ებისგან მტკიცედ შეკრული არალეგალური ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ნათლად ჩანდა მხოლოდ პოლიტიკური ყინი, რაც უკვე იმედის მომცემი იყო.

საქმის მასალებში (დაკითხვის, დაპირისპირების, სასა-მართლოს ოქმები, ანკეტები, განცხადება-განმარტებები და სხვა) კარგად ჩანს ადმინისტრატორთა ენერგიული მცდელ-ობა წარმოაჩინონ არალეგალური კრებები, ანტისახელმწი-ფოებრივი გამოსვლა-გამოთქმები, პიროვნებათა დამუშავება-გადაბირება, მთავრობის მონინაალმდეგეთა სიების შედგენა, თხოვნა-განცხადებების მირთმევა და სხვა, რათა შეიქმნას რეალური ანტისახელმწიფოებრივი მოძრაობის ილუზიები, რომ ხელისუფლებას მიეცეს ფართო მასშტაბის მკაცრი რე-პრესიების განხორციელების საშუალება; სინამდვილეში კი არ ყოფილა არავითარი არალეგალური კრება და პოლიტი-კური ორგანიზაცია. შინსახკომის აღნიშნული აგენტები (მაკ გრეგორი და ილარიონი) ხევსურეთში ადიოდნენ რელიგი-ური დღეობების დროს (წინასწარ იცოდნენ ეს თარიღები), შეერეოდნენ ამ ალტკინებულ ბრბოში და მონანილეობდნენ მრავალგვარ საქმიან და უსაგნო განსჯაში, რომელსაც ხევ-სურები მიიჩნევდნენ დროის მხიარულ, გასართობ, სტუმრე-ბისადმი მასიამოვნებელ მოვლენად, სტუმრები კი - კონ-ტრრევიოლუციონერთა არალეგალურ კრებად. ასეთი „კრება 1936 წელს ჩატარდა 4-ჯერ (წელიწადი, აღვსება, ამაღლება, ათენგენა) „ამერიკელი მაკ გრეგორისა“ და „ქართველი ილა-რიონის“ მონანილეობით. როგორი დასაჯერებელია, რომ 1936 წელს ამერიკელი ტურისტის, ჟურნალისტის 4-ჯერ ჩამოვიდა სსრ კავშირში, გაიარა მთელი ქვეყანა, ავიდა ხევსურეთში და იქ შექმნა არალეგალური, ანტისაბჭოთა ორგანიზაცია



შეიარაღებული აჯანყების მოსაწყობად; თანაც, ბინა ჰქონდა ქ. თბილისში, სადაც იმართებოდა არალეგალური შეკრებები, დაბოლოს, ოქტომბრის თვეში აქედანვე წაიყვანა ისინი შინსახკომის ციხეში. ყველაფერ ამას პლუს ის, რომ იგი (ა. ქვლივიძე) იქცა ამ უბედურთა საქმის ოფიციალურ გამომძიებლად (ამის შესახებ პატიმრებმა თავისიანებს აცნობეს ციხიდან). ხალხის აბუჩად აგდების არაადამიანური, უფრო მძაფრი ცინიზმის წარმოდგენა შეუძლებელია!

საქმის მასალებში ნახსენებია სხვა შეხვედრების რამდენიმე შემთხვევა; მაგალითად, ს. ჭალის სოფელში კვირიკათ ბათირას ეზოში. ამ სახის კრება ხევსურის ბინაზე წარმოუდგენელია, ისიც იმ დროში. ასეთი რამ ტრადიციულად გამორიცხული იყო. ეს ალბათ იქნებოდა ბათირას მიერ გადახდილი რელიგიური ღამისთევა, როცა კერძო ოჯახი სალოცავს თავისი პერსონალით მიიწვევდა სახლში (რელიგიური ტრადიციით). აქ ზეიმში მონაწილეობდნენ თემ-სოფლები და სტუმრებიც (სტუმარი ხევსურეთში ყოველთვის საპატიო პერსონა იყო). ერთი შეკრება ჩატარდა ს. ბარისახოში აპრილის თვეში ხევსურეთის ადმინისტრაციულ ცენტრში, სოფლის კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების მიზნით, რაიონული მუშაკების მონაწილეობით. სასამართლო მასალებში მითითებულია სახელმწიფოს საწინააღმდეგო გამონათქვამები „კონტრრევოლუციონერთა“ მიერ. ამ ე. წ. სახალხო შეკრებების და იქ გამოთქმულ ცალკეული ოპოზიციური აზრების გასაღებაც კონტრრევოლუციად არ იქნება გამართლებული, რადგან მათი არსი და მიზანი ხელისუფლების ზენოლის, შემოტევის მოგერიება იყო და არა ხელისუფლების მთლიანად დამხობა-შეცვლა.

სინამდვილეში, მართლაც არსებობდა ხევსურეთში ოპოზიციური განწყობილება. რაში მდგომარეობდა მისი არსი?

ხევსურული ოპოზიცია გენეტიკურად ძირითადად იყო ისტორიული ტრადიციის გაგრძელება. ბუნების ამ ლალ,

უპრეტენზიო შვილებს სწყუროდათ მხოლოდ თავისუფლება; ვინმესი და რაიმეს მიმართ ქვეშევრდომობა მათთვის მიუღებელი იყო, რადგან მთელი მათი სულიერი და ფიზიკური ძალები უნდა მოხმარებოდა ბუნების კოლოსალური წინააღმდეგობის დაძლევისთვის ბრძოლას, რომ არსებობისთვის მინიმალური პირობები შეენარჩუნებინათ. დახმარებას კი არასოდეს, არსაიდან და არავისგან ლებულობდნენ და იცოდნენ, არც მიიღებდნენ. თუ ამ საარსებო პირობების შექვეცაშეზღუდვა მოხდებოდა, მაშინ მათი არსებობაც შეწყდებოდა, ყოველ შემთხვევაში აქ, ადგილზე. ეს კი სასიცოცხლოდ არსებითი იყო მათთვის. ახლა კი არა, ეპოქის დასაწყისშივე ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს მათ ქვეყნის სულიერ და სახელისუფლებო მამებს ჯერ რწმენის (უფრო წარმართულის), შემდეგ კი სახელმწიფოებრივი წყობის ცვლილებების სფეროში. ვერაფერს გახდნენ ვერც წმ. ნინო, ვერც დიდი თამარი და მისი ათაბაგი და, რალა თქმა უნდა, ვერც ბევრად უფრო გვიან, XVII საუკუნეში არაგვის მძლავრი ერისთავები, ვერ დაადგეს მათ სულიერი და ადმინისტრაციული ბატონობის უღელი. ამის ცოდნა, ტრადიცია დიდ ძალებს მატებდა მათ გამოცდილებას. ახლა, ახალ დროში მათ მოწინააღმდეგე ძალთა კონგლომერატს დაემატა აქამდე უცნობი, უცხო ქვეყნის, რუსეთის ძალმომრეობაც და კიდევ უფრო საეჭვო გახადა თავისუფლების შენარჩუნების შესაძლებლობა. აქ ჩნდებოდა საპასუხო მწვავე რეაქციაც.

თავდაცვის ბუნებრივ ინსტინქტს საკმაოდ ნაყოფიერად კვებავდა შედარებით ახლო წარსულის გამოცდილებაც. ხევსურები თვლიდნენ, რომ კომუნისტებთან, ე. ი. რუსებთან 1922 წლის ომმა მათ გარკვეული თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა. აქამდე ვერ დანერგეს კოლექტივები, გადასახადები, კოოპერაცია და ა. შ.; მაშასადამე, თუ მტკიცედ ვიდგებით, არ მივიღებთ კომუნისტურ კანონებს,

ნესრიგს შეიძლება კვლავ შევინარჩუნოთ თავისუფლება – თვლიდნენ ისინი.

აი, 30-იანი წლების მთელი „ხევესურული კონტრევიოლუციის“ არსი.

კონტრევიოლუციური საქმიანობის, შეიარაღებული აჯანყების მზადების შესახებ ზოგადი, ხელოვნურად შეთხზული ბრალდების გარდა, გამოძიებას ჰქონდა (შინსახკომმა მოიპოვა) დანაშაულობების კონკრეტული, რეალური ფაქტებიც. ასეთებს განეკუთვნება: 1. კონტრევიოლუციონერთა 48 კაციანი სია (გუნოდოთ მას „48-ის სია“); 2. ხევესური მოსახლეობის თხოვნა აშშ მთავრობას დახმარებაზე; 3. კოლექტიურ წერილზე უარი და ზოგიერთი სხვა, უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი ბრალდებები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს კონკრეტული ფაქტები ძირითადად შინსახკომელთა პროვოცირებული, ყოველ შემთხვევაში, მათი ნაქვებითა და რჩევით იყო შექმნილი, ისინი არსებითად უნდა იყოს განხილული.

#### 48-ის სია<sup>1</sup> (იხ. გვ. 19-20).

1936 წლის ივლისში, ათენგენის დღეობისას, „ქართველმა ილარიონმა“ ლიქოკში, ჭალისსოფელში მოძრაობის ინიციატორებს შეადგენინა ანტისაბჭოთა ოპოზიციის წარმომადგენელთა სია პირაქეთ ხევესურეთის სხვადასხვა სოფლის მცხოვრებთაგან (არათანამიმდევრული ფორმით). სია დაკომპლექტდა 48 კაცით. იგი დაწერა გიორგი გაგასძე ლიქოკელმა ლერენასა და გიგუა აბიკას ძის თანდასწრებით. სიაში I ადგილზე წერია ბაბუკა ჭრელიას ძე ლიქოკელი (ავტორმა I ადგილზე ჩაწერა საკუთარი ბიძა!), ბოლო 48-ზე კი – გოგოჭური ბაბო. ამათგან ლიქოკელია 16, თუმცა მესვეურთაგან არც ერთი, ყოველ შემთხვევაში, მათგან გასამართლებული იქნა მხოლოდ 5 კაცი. ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ სია შედგენილია ზერელედ, ვარაუდით და როგორც

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 206.

ადრეც იყო აღნიშნული, მონაწილეთაგან შეუთანხმებლად. ის ილარიონის მოთხოვნით იქნა შედგენილი, როგორც ჩანს, მთვრალი ავტორის მიერ. იგი გადაეცა ილარიონს<sup>1</sup> და სასამართლოზე წარუდგინეს ბრალდებულებს ერთ-ერთ მთავარ ნივთმტკიცებად.

სია რომ შემდგენელთა ვარაუდითაა დაწერილი, მტკიცდება შემდეგი ფაქტითაც: მასში 14, 15 ნომრით ჩანერილი არიან ჩემი მამა და ბიძა, საერთოდ ცნობილი ანტისაბჭოური განწყობილებით, მაგრამ ამ შემთხვევაში მოვლენის პროვოკაციულობას მიხვედრილნი და განზე გამდგარნი. მე პირადად კარგად მახსოვს (ვიყავი 8 წლის, მოსწავლე), როგორ ტუქსავდა მამაჩემი თავისიანებს – როგორ ვერ ხვდებით ამ საშუაშე პროვოკაციასო! რა დამავიწყებს: დასვენების საათებში იგი გამოიტანდა ჩემი უფროსი ძმების მიერ სკოლიდან სახლში მოტანილ მსოფლიოს დიდ პოლიტიკურ რუკას, გაშლიდა სახლის გვერდზე მწვანე მოლზე და ჩამარცვლით კითხულობდა უშველებელ წითელ მონაკვეთზე წარწერილ „სსრკ“-ს (თან ღვარძლიანი სარკასტულობით იმეორებდა – სსრკკ!) – აბა, საქართველო რომელიაო! ვაჩვენებდით, ხევსურეთიო?! – აქ ვერ გამოჩნდებაო! – ქვე ამას ვეომებოდიოთა ჩვენ! (1922 წელს იხსენებდა); მერე რუკას მიაგდებდა და მიეცემოდა მწარე ფიქრებს. ბოლოს მოგვიბრუნებოდა (ჩვენ სამივე მოსწავლე ვიყავით) და მკაცრად მოითხოვდა, – ისწავლეთ, ისწავლეთ ყველაფერი კარგად და საფუძვლიანად!

ჰოდა, ამ ჭკუისა და განწყობის კაცი ჩაენერებოდა მემამბოხეთა სიაში?!

ამ სიის რეალური იურიდიული და პოლიტიკური ღირებულება ნულის ტოლი იყო. ამიტომაც ვერაფერში გამოიყენა იგი ადმინისტრაციამ.

მეორე და უფრო მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო თხოვნა ამერიკის მთავრობას. 1936 წლის ზაფხულში მთავარი

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 202.

კონტრრევოლუციონერი სამეული (ლერენა, გიორგი, გიგუა) მიწვეული იყვნენ ქ. თბილისში, „ამერიკელი“ მაკ გრეგორის ბინაზე (ჩანს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა ლიქოკელები ამას არ აღიარებდნენ). შეკრებას ესწრებოდა ერთი სხვა ქართველიც (არც მისი ვინაობაა დასახელებული, ცხადია, იგი იქნებოდა ილარიონი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს უბედურებიც თანდათან ხვდებოდნენ და ეუფლებოდნენ კონსპირაციის მეთოდებს და შიშიც უჩნდებოდათ). საუბრისას წამოიჭრა გარეშე დამხმარე ძალის საკითხი, იარაღის მომარაგების პრობლემა და ა. შ.

რადგან მთელი მოძრაობა „ამერიკელებთან კონტაქტით“ დაიწყო და მიმდინარეობდა, ცხადია, მოკავშირედ სწორედ ამერიკა უნდა განსაზღვრულიყო, მით უმეტეს, მხოლოდ ეს ქვეყანა მიიჩნეოდა სიძლიერით სსრკ-ის ტოლფასად, ამასთან, დაპირისპირებულადაც. დაკითხვაზე (9.1.37 წ.) ლერენამ განაცხადა კიდევც, აჯანყებას ვვარაუდობდით ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოსთან (ამერიკასთან) ომის მომენტში<sup>1</sup>. ე. ი. მათ შთააგონეს, რომ ამისთვის საჭიროა ამერიკის მთავრობისადმი თხოვნით მიმართვა და მიმართვის ფორმაც უკარნახეს. ცხადია, შუამავლობაც თავადვე იკისრეს.

აი, ეს ისტორიული დოკუმენტი:

*ამერიკის დიდ მთავრობას  
ხევსურეთის წარმომადგენლების*

## თსოვნა

ჩვენი ხევსურეთის ხალხი შენუხებული არის. ბოლშევიკები გვიკრძალავენ რჯულს<sup>2</sup>. უნდათ კოლხოზების გაკეთება და ბევრი

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 243.

<sup>2</sup> რჯული:

<sup>1</sup> სარწმუნოება, მართლმადიდებლობა.; ურჯულო – არაქრისტიანი (მაჰმადიანი).

<sup>2</sup> ხევსურული სამართალი, სასამართლო ბჭობა.

ნალოგების გამორთმევა. მოდიან ხშირად, გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენ თანახმა არა ვართ, მანამ სულ არ დავიხოცებით მთელი ხევესურეთი თანახმა არ ვიქნებით. მართალია იარაღი კი არა გვაქვს, მაგრამ ხმლითა და ხანჯლით უნდა ვიომოთ მაგრად.

ამერიკას გთხოვთ დიდი თხოვნით ძლიერი სახელმწიფო ხარო და მოგვეშველენით და დახმარება გაგვინიეთ, თორემ ცოდევა ვართ. იმედი გვაქვს, რომ მოგვეშველებით თუ გვიშველით თქვენ თუ არა ჩვენი მშველელი აღარ არი. აბა ძმებო უკანასკნელ დღეში ვართ ჩვენ.

მთელი ხევესურეთის წარმომადგენლები

1. გიგუა ლიქოკელი

2. Герена Ликокели (ღერენა ლიქოკელი)

3. გიორგი ლიქოკელი

24/VI 36 წ.

თხოვნა ამჟამად (07.09.06) გამოფენილია საქართველოს საოკუპაციო მუზეუმში; 1 პირი კი აშშ-ის პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში დევს, საქართველოს პრეზიდენტის მ. სააკაშვილის მიერ მირთმეული 2006 წლის ზაფხულში, 70 წლის დაგვიანებით, თუმცა შინაარსით დაუძველებელი.

ეს თხოვნა მაშინ „ამერიკელმა ჟურნალისტმა“ დაიტოვა ადრესატისადმი მისართმევად, წარადგინა კი, ცხადია, იქ, სადაც დაიგემა მისი შედგენა და სათანადოდ იქნა გამოყენებული გამოძიება-გასამართლებისას. სადაც ავტორების მიმართ მძიმე არტილერიის ფუნქცია შეასრულა „48-ის სიასთან“ ერთად, მოუწიათ რა პასუხის გაცემა ისეთ უხერხულ კითხვაზე, როგორიცაა – „რას იტყვით თქვენთვის წარმოდგენილი წერილობითი დოკუმენტების შესახებო? სასამართლოზე ღერენა ლიქოკელს ისლა დარჩენოდა ეთქვა – რა ვიცოდით, თუ ილარიონი მოლალატე იყო, თორემ აქ შეკოჭილს მოგიყვანდით“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 273.

„თხოვნის“ კანცელარიული ფორმა და დათარიღება (24/VI-36 ნ.) ცხადია, მრჩევლების შემოქმედებაა, ხელწერა კი ნაღდი „ლიქოკურია“. მეტად საგულისხმოა ავტორობის დადგენის ფაქტი დაკითხვებზე. მიუხედავად იმისა, რომ სამეულს ამერიკისადმი დახმარების თხოვნა არ უარუყვია ძირითადად იმიტომ, რომ ეს მართლაც მთელი ხალხის სურვილი იყო და მათ მიერ ხელმონერილი (სიმართლეს კი ხევსური, როგორც ვხედავთ, სიკვდილის შიშითაც ვერ უარყოფდა); ასეთის შიში კი მართლაც რეალური იყო. ეს გამოჩნდა დაკითხვაზე წერილის დამწერის დადგენისას. გაბედვით ვერც ლერენამ და ვერც გიგუამ ვერ იკისრეს ავტორობა, მოტივით „კარგად არ მახსოვსო“<sup>1</sup>. ხელმონერა კი არც ერთს არ უარუყვია. აქ ორი მომენტი ალსანიშნავი: „კარგად არ მახსოვსო“, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ისინი იმ მომენტში მთვრალეები იყვნენ და შეიძლება გარკვევით მართლაც არ ახსოვდათ დეტალები. ისინი ჯერ დაათვრეს მასპინძლებმა (რაც უჩვევი სასამელის – ლვინო-კონიაკის მიღებისას ადვილი საქმე იყო) და შემდეგ შეადგენინეს დოკუმენტები. მეორე გარემოება კი პასუხისმგებლობის უმძიმესი წნეხის პირველი რეალური შეგრძნება იყო – ამერიკაში გაგზავნილი ანტისახელმწიფოებრივი დოკუმენტის შინსახკომის ციხეში მჯდომი დამნაშავისთვის წარდგენა არ იქნებოდა ადვილი ასატანი. ამ მდგომარეობის თავისებურ ახსნად შეიძლება გამოდგეს ლერენას მიერ დოკუმენტზე ხელის მონერა რუსულად (რაც ჟურნალისტებისთვის ყოველთვის გასაგები არ აღმოჩნდა. იხ. გაზ. „ალია“, 133, 9-11 დეკ. 2006 ნ.). აქ გაუგებარი არაფერია, მით უმეტეს, არქივში დედანთან ერთად რუსული ასლიც ინახება, სადაც სამივე ხელმონერა სწორადაა მოცემული. თუმცა აქაც დაზუსტებას საჭიროებს I ხელმომწერის სახელი – „გოგია“ კი არა, გიგუა უნდა იყოს.

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 271.

ამ წერილიდან კიდევ ერთი ქვეტექსტური ტენდენცია შეინიშნება. ეს არის იარაღის უქონლობის მინიშნება... „მართალია, იარაღი კი არა გვაქვსო...“. შინსახკომის ემისრები აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა დოკუმენტში, „იარაღით“ აპელირებენ, რათა წერილობით წყაროში დააფიქსირონ ამერიკისათვის იარაღის მოთხოვნის ოფიციალური ფაქტი, როგორც მძიმე სახელმწიფოებრივი დანაშაულის ერთ-ერთი ელემენტი.

## კოლექტიურ წერილზე ხელმოწერის საკითხი

1936 წელს საბჭოთა ქვეყნის უზენაესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა 1937 წელს ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე გრანდიოზული ზეიმის გამართვა მთელ ქვეყანაში, დაიწყო დიდი ბელადისადმი წარმატებების მილოცვაზე ხელმოწერების შეგროვება. აბა, კომუნისტური საქართველო ხომ არ ჩამორჩებოდა სხვებს! II-III კლასების მოსწავლეებამდე მოაღწია საქართველოს მშრომელთა სახელით მწერალთა მიერ შეთხზული ჰიმნის შთამბეჭდავმა სიტყვებმა:

„... ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგე,  
გაიზარდა ის ნაყოფი, შენ რომ შენი ხელით დარგე,  
საბჭოეთის ერთა შორის სხვებთან ერთად ჩვენც ვივარგეთ,  
რადგან შენი დარიგების ერთი სიტყვაც არ დაეკარგეთ!...“

ამას სიამაყით და აღფრთოვანებით იმეორებდა დიდი და პატარა, არა მარტო მაშინ, არამედ შემდეგაც... ვფიქრობ, ამ პროპაგანდისტულ მეთოდს მცირე როლი არ მიუძღვის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში; აზრის, რომელიც შემდეგ საქმედ, მოქმედებად იქცევა. მგონი, აქ გებელსის კაზუისტიკის გახსენებაც შეიძლება... ხომ არ აჯობებდა, აღმშენებლობის გზაზე დამდგარი ქვეყნის ძალებიც დაფიქრებულიყვნენ ამ პრობლემებზე?!



... ჰოდა, ჩანს, ხევსურეთის „რეორგანიზატორებმაც“ გადანიყვიტეს ამ სოციალისტური ენთუზიაზმის დანერგვა ხევსურულ თემურ ნიადაგზე<sup>1</sup>. დაიწყეს ამ კოლექტიურ წერილზე ხელმონერების შეგროვება. შედარებით გათვითცნობიერებულმა ხევსურებმა ეს საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურ აღიარებად მიიჩნიეს და უარით უპასუხეს. ქვაბულოელთაგან (ჩვენი სოფელი) მასზე ხელი არავის მოუწერია. ამას თავკაცობდა დათვია. არც გამოაშკარავებულ ოპოზიციონერებს მოუწერიათ ხელი. შინსახკომმა ამჯერად ვერ გაბედა ამაზე სასტიკი რეაქციის გამოვლენა. ისე, დაკითხვის მასალებში ბევრგან ფიგურირებს კითხვა – „ვინ ეწეოდა ხელმონერების სანინალმდეგო აგიტაციას?“ მაგრამ რაიმე ხელჩასაჭიდი ვერ მოიპოვეს.

სხვა ბრალდებათაგან აღსანიშნავია იარაღის, განსაკუთრებით ტყვიამფრქვევების ძიება. 1922 წლის ამბებიდან შინსახკომისათვის ცნობილი იყო, რომ იმ ომში ხევსურები იყენებდნენ ტყვიამფრქვევებსაც, განსაკუთრებით ლიქოკში გამართულ ბრძოლებში. ეს იარაღი ბევრი წაართვეს ნითელ არმიასაც იმ ომში. ამის საგნობრივი დადასტურებაა წიგნში ხევსურთა ბატალიონის ფოტოზე ტყვიამფრქვევს ჩახუტებული ახალგაზრდა ხევსური.

ბრალდებულთა დაპატიმრებისას და მერეც კონფისკაცია გაუკეთეს მათ ოჯახებს და წაიღეს არა მარტო ცეცხლსასროლი, არამედ ცივი იარაღიც. მარტო დათვია ლიქოკელის ოჯახიდან წაიღეს 20-მდე დასახელების იარაღ-საჭურველი, მათ შორის ძვირადღირებული ვერცხლის ნივთები. სულ ლიქოკიდან და სხვა სოფლებიდან ჩამორთმეული იქნა ცეცხლსასროლი იარაღის 270 ერთეული<sup>2</sup>. ძალდატანებით აიძულებდნენ პატიმრებს ელიარებიანთ თავისი და სხვების მიერ

---

<sup>1</sup> ... საქმე, 221.

<sup>2</sup> ... საქმე, 219.

ნაქონი იარაღი. ასე მაგალითად, გიორგი ლიქოკელს ათქმევინეს, რომ მისი თოფი იცოდა სად იყო დამალული მამამ გაგამ<sup>1</sup>. თოფები ჩამოართვეს თავისუფლებაში მყოფ მამუკა უშიშას ძე, ბაბუკა ქრელიას ძე ლიქოკელებს და სხვებს; ტყვიამფრქვევები კი მაინც ვერ აღმოაჩინეს!

როცა ლაპარაკია იარაღზე, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ მას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვისას, როგორცაა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, თუნდაც მარტო მთავრობის მიერ ძალდატანების მოგერიების შემთხვევებში. ამიტომ „ლიქოკური კონტრრევოლუციის“ მთელს ისტორიაში მას ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი ეჭირა. ამ პოლიტიკური აქციის ორგანიზატორები, უპირველეს ყოვლისა, მისით სპეკულირებდნენ, რაც შემდეგ ბრალეულობის დამტკიცების ერთ მთავარ საშუალებად გამოადგებოდათ. ეს აისახა კიდევ მათივე აშკარა თუ შეფარული ნაქებებებით ბრალდებულთა ჩვენებებსა და სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში, როგორცაა „თხოვნა ამერიკის დიდ მთავრობას“ და სხვ.

იარაღზე მოთხოვნილება კი მართლაც დიდი იყო. განსაკუთრებით ტყვია-ნამაღზე. 1922 წლის ომის შემდეგ მასზე ხარჯი დიდი იყო (მიჰქონდა მთავრობას, გამოდიოდა მწყობრიდან, იხარჯებოდა და ა. შ.), შევსება კი – არსაიდან. მთავრობამ უმკაცრესად ჩაკეტა შემოტანის ყველა გზა.

იარაღით მანიპულირების საქმეში არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ადგილზე მისი აბსოლუტური ლიკვიდაცია, ამოღება კონტრრევოლუციის ჩახშობისას და შემდეგ ხევსურეთის საბოლოოდ განიარაღების მიზნით.

---

<sup>1</sup> ... საქმე, 252.

როგორი იყო საპატიმროში ინფორმაციის მოპოვების და პატიმართა გამოტყვის მეთოდები?

საერთოდ ხევსურის ალაპარაკება, მისგან ცნობების მიღება ყველაფერზე, მეტად ადვილი იყო. ამ შემთხვევაში მოქმედებდა მარტივი ადამიანური პრინციპი: პასუხი უნდა გასცე ადამიანის ყველა შეკითხვას, სიმართლე არ უნდა დაუმალო, რა თქმა უნდა, რაც იცი იმაზე, ტყუილის თქმა რა კაცობაა?! XX საუკუნის 30-იან წლებში ეს თვისება ჯერ კიდევ ახასიათებდა მათ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ საპატიმროში ყოველთვის სასარგებლო და შესაძლებელი აღარ იყო იგი. ამას შენ და შენი საქმე შეიძლება დალუპვამდე მიეყვანა. მაგრამ ნაუცბათევი გარდაქმნა, პრინციპების შეცვლა არცთუ ადვილი საქმე გამოდგა; ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ტრადიცია, თვისება ძვალ-რბილში იყო გამჯდარი; მეორეც, სურვილის სანინაალმდეგოს ძალით, ჯოხით გათქმევიანებდნენ. დუმილის უფლება კი აქ დემოკრატიის მიერ ჯერ არ იყო მოგონილი. მათთვის ამოქმედდა კიდევ ერთი ახალი ვერაგული ადამიანური წესი: უფროსობას, მათ შორის ადმინისტრაციასაც, უნდა დაემორჩილო.

ჩანს, წამებას ისინი ვერ უძლებდნენ: ბრძოლის ველზე მეტად ამტანნი და გაუტყხელნი, რადგან იქ ბოლო საშველი მაინც მოინახებოდა – სიკვდილი! აქ კი ამის შესაძლებლობაც არ იყო, ამიტომ პატიმრები თანამოაზრეებს ადვილად ასახელებდნენ, მით უფრო, რომ მოვლენის დამსწრე მონმეებიც – მაკ გრეგორი და ილარიონი იქვე იყვნენ. ტყუილის თქმა კი ძნელი აღმოჩნდა. წამება, ძალდატანება რომ შინსახკომის ერთი მთავარი მეთოდი იყო, გამოჩნდა სასამართლოზეც. მთავარმა ბრალდებულმა ლერენა ლიქოკელმა იქ განაცხა-

და: „გამოძიების დროს ძალას გვატანდნენ, რომ თქვით რას აკეთებდითო“<sup>1</sup>.

გამოძიება ფაქტობრივად მიმდინარეობდა 3 თვე – 1936 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან 1937 წლის იანვრის დასაწყისამდე. 23 იანვარს დაინერა საბრალმდებლო დასკვნა, 29 იანვარს იგი დაამტკიცა საქ სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა, სახუშიშროების მე-2 რანგის კომისარმა ს. გოგლიძემ. საბრალმდებლო დასკვნა შეადგინა საქმის ფაქტობრივმა გამომძიებელმა საქ. სსრ შსსკ სახელმწიფო უშიშროების III სამმართველოს მე-6 ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილემ, სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტმა ა. ქვლივიძემ, დაადასტურა III განყოფილების უფროსმა სახუშიშროების მაიორმა მხეიძემ. საბრალმდებლო დასკვნა იანვარშივე წარედგინათ პატიმრებს.

თუ რა შინაარსის, ფორმის და მეთოდების შემცველი იყო მთელი საქმის წარმოება თითოეული ბრალდებულის დაპატიმრების დღიდან სასამართლო განაჩენის გამოცხადების და აღსრულების დრომდე, ჩანს აქ წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტებიდან და მათ საფუძველზე შედგენილი წინამდებარე გამოკვლევებიდან.

რომ არაფერი ვთქვათ იმ პერიოდის საბჭოთა საკანონმდებლო ბაზის იურიდიულ დონეზე, საბჭოთა დემოკრატიის ნორმებზე, ადამიანის, პიროვნების თავისუფლების და უფლებების მდგომარეობაზე, საყოველთაოდ ცნობილი ჩეკისტური მეთოდების გადამტანმა უნიგნურმა, უთვისტომო, უქონელმა და უკვე ფიზიკურად და სულიერად გატეხილმა ადამიანებმა ძლივს მიაღწიეს სასამართლომდე. სხვათა შორის, გამოძიების პროცესში, მათი ერთ-ერთი მთავარი სურვილი იყო მალე ჩატარებულიყო სასამართლო, რათა ბოლო მოღებოდა ამ ერთი

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 272.

და იგივე უსამართლო და უსაფუძვლო ბრალდებების ლეჭვას და აღიარებათა წამებით გამოძალვას.

გამოძიების პროცესში მათ არ ჰქონდათ დამცველის მოთხოვნის უფლება, დუმილის დაცვის, პროტესტის გამოთქმის, კონტრკითხვის დასმის, მონმეების მოთხოვნის, ახლობლებთან შეხვედრის, სამედიცინო დახმარების და ა. შ. მიღების უფლება და საშუალება.

აპარეკა გიორგის ძე ლიქოკელმა მოითხოვა, რადგან ლაპარაკი (აზრების გამოთქმა სალიტერატურო ენაზე) მიჭირს: დამხმარე (დამცველი) მომიყვანეთო, დამცველი ოფიციალურად მოითხოვა გიორგი ახალას ძე ლიქოკელმაც; გიორგი გაგას ძე, ხახონ თაძიას ძე ლიქოკელებს და 70 წლის მინდია ლიქოკელს სტანჯავდათ ავადმყოფობა, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია მათი საჭიროებებისათვის.

რალა უნდა ითქვას პოლიტიკურ პატიმართა უფლებებზე, რის ხსენებაც არ იყო სსრ კავშირში, ხოლო ამ „კონტრრევოლუციონერებს“ არც გაეგონათ ეს ცნება.

ხევსურთა საქმეების ძიებისას, ყოველმხრივ ცდილობდნენ საბაბი მოენახათ ბრალის დასადებად არა მარტო ხევსურებისთვის, არამედ მეზობლების, ხევსურეთთან რაიმეთი დაკავშირებული ყველა კაცისთვის, რომ რაც შეიძლება ფართო სახე მიეცათ განზრახული რეპრესიებისათვის. გამოძიება დაჟინებით მოითხოვდა, მაგალითად, ლერენა ლიქოკელისაგან ელიარებინა ფშავის, გუდამაყრის, ხევის მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა ხევსურთა „კონტრრევოლუციური“ მოძრაობისათვის. უსახელებდნენ კონკრეტულ პიროვნებებს, მაგ., მოხვევებს: მოსეს და დათიკოს სოფ. ფანშეთიდან, მეკეხე ალექსის სნოდან<sup>1</sup>. დიდხანს უტრიალეს ვინმე ბიჩო გოდერძიანს (ყაზბეგის რ-ნი), კაცს, რომლის ნაცნობობასაც კი უარყოფდა ლერენა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეზობელი ეთნიკური

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 398.

კუთხეები მართლაც თანაუგრძნობდნენ ხევსურებს, თვითონ ჩავარდნენ 30-იან წლების შიმშილობასა და სიდუხჭირეში იქ განხორციელებული კოლექტივიზაცია-განკულაკების შედეგად და თბილი მეზობლურ-ნათესავური ურთიერთობა-დახმარება (შესაძლო) ჰქონდათ ურთიერთთან, ორივე მხარის სასახელოდ უნდა ითქვას, ერთიმეორე არ გაუციათ.

განსაკუთრებით უნდა ითქვას კაცობით და საქმეებით ხევსურთათვის კარგად ნაცნობი მოხევე ანდრო თოფაძის შესახებ. ინჟინერ ა. თოფაძეს ხალხისა და ხელისუფლების წინაშე დიდი დამსახურება მიუძღოდა, როგორც ხევსურეთის საავტომობილო გზისა და კულტურულ-ადმინისტრაციულ შენობათა მშენებლობის ხელმძღვანელს. იგი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა ადგილობრივ მოსახლეობაში, მეგობრობდა მათ მოწინავე წარმომადგენლებთან თ. ბალიაურთან, ალ. ოჩიაურთან, ჩ. ლიქოკელთან და სხვებთან, რაც ძვირად დაუჯდა. მიუხედავად იმისა, რომ მასზე ვერაფერი ათქმევინეს ვერც ერთ ხევსურს (მაგ., ალ. ოჩიაურს ამოდ აიძულებდნენ საპატიმროში ემხილებინა იგი დანაშაულში)<sup>1</sup>, ჩეკამ მას 20-წლიანი პატიმრობა-გადასახლებით აზღვევინა ღვანლი ჯილდოსა და პატივის მიგების მაგიერ. იგი ჯერ კიდევ 1931 წელს გაასამართლეს უყაირათობა-გაფლანგვისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის. მიუსაჯეს 5 წლით პატიმრობა. მაშინ, გადაურჩა რა ჩეკისტურ „სალხინებელს“, 1943 წლის დასაწყისში მოსახლეობაში სააგიტაციო-პროპაგანდისტული საქმიანობისათვის 10 წლიან „კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე“ გააგზავნა ხელახლა ცაკ-ის პოლიტიკურმა სამმართველომ (ПТУ) ციმბირში. ღვთის შენევნით ამასაც გაუძლო და დაბრუნდა 1952 წლის ბოლოს. ასეთი იყო ქვეყნის სამსახურისათვის მიღებული კომუნისტური საზღაური მრავალთა შორის ერთი მთიელი კაცისა.

---

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 234, 235.

როგორც თავიდანვე იყო ნათქვამი, 30-იანი წლების „ხევსურული კონტრრევოლუციის“ საფუძველი, მიზეზი და საბაზი იყო 1922 წლის ომი კომუნისტების წინააღმდეგ, თავისი მძიმე შედეგებით ამ უკანასკნელთა მიმართ. 36-37 წლების რეპრესიების დროს ჩეკა უპირველეს საქმედ თვლიდა იმ ამბოხების სათავეში მდგომი და თანამგრძობი პიროვნებების საქმეთა ყოველმხრივ გამორკვევას, რათა სამაგიეროს მიუზღავი არავინ გამორჩენოდათ, არც მკვდარი და არც ცოცხალი. როგორც დაპატიმრებულთა საბრალმდებლო დასკვნებიდან ვიგებთ, დამნაშავეთა ბრალდების პირველი და უმთავრესი პუნქტი იყო „1922 წლის ავანტიურაში“ მონაწილეობა და რაიმე კავშირი.

კარგად დაგეშილი მაძებრების ალლოთი გაფაციცებით ეძებდნენ ქვეყნის ცენტრალური ძალების წარმომადგენელთა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის, შალვა ქარუმიძის, ნიკო ტლაშაძის და ა. შ.) კვალს ხევსურულ საქმეებში. განსაკუთრებით უტრიალებდნენ შალვა ქარუმიძის სახელს, როგორც ხევსურთა მასობრივი შეიარაღების ერთ-ერთი ორგანიზატორისა, რადგან ამ დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თომა ბალიაური და სხვა ცნობილი მოქმედი პირნი 20-იანი წლების დამოუკიდებლობის მოძრაობისა, უკვე ცოცხალი აღარ იყვნენ. მთაში მოღვაწე ადგილობრივ თვალსაჩინო პიროვნებებს ანდრო თოფაძეს, ალექსი ოჩიაურს, გაბრიელ და ერასტი ბალიაურებს (თომას ძმებია) აიძულებდნენ რაიმე ხელჩასაჭიდი ინფორმაცია გამოეძალათ, მაგალითად, უცხოური, ემიგრანტული ლიტერატურის თომა ბალიაურამდე მიღწევის შესახებ. როგორც გოგი ოჩიაური იგონებს, ამ საქმეში „ფოსტალიონის“ გარკვეულ როლს ასრულებდა მამამისი ალექსი ოჩიაურიც, რაც, საბედნიეროდ, ჩეკისტების თვალის და ყურისთვის მიუწვდომელი დარჩა. ჩანს, ამ საქმესთან უშუალო კავშირი აქვს ინჟინერ ანდრო თოფაძის მეორე (1943

წლის) გასამართლებას და 10-წლიან პატიმრობა-გადასახლებას მოსახლეობაში ანტიკომუნისტური პროპაგანდისტული საქმიანობის ბრალდებით.

არ უნდა დაგვავიწყდეს რეაქციონერთა მოქმედების ერთი არსებითი პრინციპი:

ჯერ კიდევ XVII საუკუნეში ფრანგი მოაზროვნე ბლეზ პასკალი წერდა: „300 ინტელექტუალი მოაზროვნე მოაშორეთ საფრანგეთს და ის დეგენერატების ქვეყნად იქცევაო“. ეს თეზა ვრცელდება ყველა ქვეყანასა და ყველა ხალხზე. საუბედუროდ, ამას გრძნობდნენ და სათავისოდ კარგად იყენებდნენ ინტელექტუალიზმის მოწინააღმდეგე ძალების მესვეურნი ყველგან და ყოველთვის; მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ყოველი რეაქციული, არადემოკრატიული მმართველობის სიძულვილი საზოგადოების შეგნებული ნაწილის (ინტელიგენციის) მიმართ. ხალხი ხომ მათგან გაიგებს ხელისუფალთა მანკიერი, დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. ამიტომ, ზოგადად, ყველაზე საშიშ მტრად თვლიდნენ განათლებულ, მოწინავე ადამიანებს და ხელისუფლების სათავეში მოქცევისთანავე იწყებდნენ მათ განადგურებას, ამოძირკვას. ამით დაიწყეს ბოლშევიკებმა თავიდანვე და მთელი საუკუნე ამ პრინციპით მართავდნენ ქვეყანას, მათ შორის საქართველოშიც.

გახსენებად ღირს გებელსის გესლიანი ფრაზა – „ინტელიგენტის ხსენებაზე ხელი თავისდაუნებურად მიდის მაუზერისკენო!“

1936-1937 წლების ხევსურული რეპრესიების სინამდვილემაც დაადასტურა ამის რეალობა. შინსახკომის გეგმით თავიდანვე გათვალისწინებული იყო მაგალითად, ლიქოკის დათრგუნვა მისი ყველაზე მოწინავე ადამიანების განადგურებით. ამ თემში ასეთები იყვნენ: დათვია მგელიკას ძე, გიორგი ახალას ძე, გიორგი გაგას ძე, გიგუა აბიკას ძე, ბაბუკა და ბიძა ჭრელიას ძენი, ლერენა გიორგის ძე, მინდია



მგელას ძე, აპარეკა ბაჭუას ძე, ხეთისო კიკოლეს ძე, ზვიადა და ადადა ბაბუას ძენი და სხვა ლიქოკელები. ბარისახოს თემის მესვეურები იყვნენ აპარეკა გიორგის ძე, კუკუმაურ ბალათერას ძე არაბულები, მამუკა გაგას ძე ჭინჭარაული. სწორედ ისინი იქნენ თავიდანვე დაპატიმრებული და მერე მათი „კონტრრევოლუციური“ საქმიანობა შეითხზინილი. მხოლოდ ზოგიერთი პიროვნება, მაგალითად, კარნაულთელი ფშაველათ გიგია, ქვაბულოელი მგელა ბიძურას ძე, ჩემი აზრით, ახალი წესრიგისადმი შედარებით ლოიალური დამოკიდებულების გამო იქნენ დანდობილნი (მათ შვილები სკოლაში შეიყვანეს და აღიარებდნენ სწავლა-განათლების მნიშვნელობას).

რა მდგომარეობა იყო დანაშაულის მეორე მიმართულების (ყაჩაღურ-მეამბოხურის) მხრივ? როგორც თავიდანვე მივუთითებდით, ძირითად საქმეში უნდა გასულიყო 3 მთავარი პიროვნება (დათვია მგელიკას ძე, ზვიადა ბაბუას ძე და ადადა ბაბუას ძე ლიქოკელები), ლიქოკის თემის საგალმაოს (ქვემო) უბნის 2 მეზობელი სოფლის ქვაბულოსა და აკუშოს მცხოვრებლები. ეს სამეული, ვიცით უკვე, დაპატიმრებული იყვნენ პირველები 1936 წლის სექტემბრის 29-30 რიცხვებში მოულოდნელად, როგორც ყველაზე საშიში პიროვნებანი.

მათზე მოიპოვებოდა ოფიციალური სამხილი ანტისახელმწიფოებრივ-კონტრრევოლუციურ საქმიანობაში მონაწილეობისა. ისინი უნდა გასამართლებულიყვნენ არა პოლიტიკური, არამედ სხვა, ალბათ, სისხლის სამართლის ჩვეულებრივი (ყაჩაღობა, ძარცვა, ჩხუბი) კვალიფიკაციით. მაგრამ სირთულეს ქმნიდა დათვია ლიქოკელის განსჯის იურიდიული და პოლიტიკური ინტერესები. იგი, როგორც ხევსურული ოპოზიციის აღიარებული ლიდერი, 1922 წლის ამბოხების პირველი პირი, სახალხო გმირის რანგში მყოფი პიროვნება შინსახკომს, ცხადია, ფიზიკურად უნდა გაენადგურებინა; საქმეში არსებული დოკუმენტებით კი ამას არ იმსახურებდა.


ამიტომ მას უკანონოდ მიაკუთვნეს ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულიც.

რაც შეეხება აკუშელ ძმებს ზვიადასა და ადადას, ისინი ლიქოკის კონტრევიოლუციაში მართლაც არ მონაწილეობდნენ, ბოლო დრომდე ცხოვრობდნენ კახეთში (თელავის რაიონში), ფაქტობრივად, ვერც მოასწრებდნენ მთაში მიმდინარე მოვლენებში სერიოზულ მონაწილეობას. ამიტომ იყო, რომ მათზე კომპრომატები ჩეკამ ხევესურეთში ვერ მოიპოვა, მიუხედავად სხვა დაპატიმრებულთაგან (მაგ., ღერენა ლიქოკელისაგან) მათი კონტრევიოლუციაში (განსაკუთრებით ზვიადა ლიქოკელის) მონაწილეობის აღიარების მოთხოვნისა.


მათ შესახებ ოფიციალური დოკუმენტები, როგორც აღინიშნა კიდეც, არ აღმოჩნდა შსს არქივში. იქაური ცნობით (1-1910; 28/1-1971), ეს მასალები გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. მის არქივში კი ვერ შევძელით მათი მიგნება. ე. ი. ეს მასალები ან განადგურებულია, ან დაკარგულია ბიუროკრატიული აპარატის მიერ. ორივე შემთხვევაში ქართველებისთვის დამახასიათებელ უპასუხისმგებლო ქმედებასთან გვაქვს საქმე.

ადგილზე (ლიქოკში) არსებული სახალხო ინფორმაციით, ეს ძმები კახეთში მოქმედ ყაჩაღურ ელემენტებთან იყვნენ ამა თუ იმ სახით დაკავშირებულნი, რაც ჩანს, გახდა ერთ-ერთი მიზეზი მათი დაჩქარებული ამოსახლებისა ხევესურეთში, სადაც კვლავ აგრძელებდნენ საკმაოდ თამამ, ავანტიურისტულ ცხოვრებას.

მამასადამე, 37-იანი წლების ხევესურული რეპრესიების მეორე სფეროს (ყაჩაღურის) ობიექტური კვლევა-შეფასებისთვის საკმარისი საფუძველი ჯერ კიდევ არ არსებობს.



ს. ბარისაძე, 1970-იანი წლები.



ბეესურთა შუიარაღებულუ რაგმი ("ბატალიონი") მთაერობის სასახლესთან, ამოხების წინ, 1919 წ.

ხევსურთა სამხედრო-პოლიტიკური  
მომვანეობის ორგანიზატორები



გენერალი გიორგი მაზნიაშვილი



ქაქუცა ჩოლოყაშვილი



შალვა ქარუმიძე



სიმონ („სიმონიკა“) ბაგრატიონ-  
მუხრანელი

## რეპრესირებული ლიქოკელები



მგელიკათ დათვია



ბიენათ ლერენა



გაგათ გიგუა



აბიკათ გიგუა



ბაბუათ ზვიადა



ბაბუათ ადადა



ახალათ გიორგი



ხლუმათ მინდია



ბაჭუათ აპარეკა



ხახონი ლიქოკელი



ბაძია ლიქოკელი



ლექსო ოჩიაური



აპარეკა არაბული



კუკუმაური არაბული



ბერდია არაბული



მინდია ჭინჭარაული



ბეუიტა ქერაული

# ქვაბულოელთა ორი თაობა

## მამები



ბაძიურათ მგელიკა



დათვიათ ბიძურა

## ხვსურათის 1922 წლის ამგოხების აქტიური მონაწილანი



ძმანი თათარ (წევს ტახტზე) და ჩაჩაურ  
ლიქოკელები (ჩვენი სახლის აივანზე), 1950 წ.



ბიძურათ მგელა



## ფრიაღოსანი შვილები



პირველი სტუდენტები.  
მარჯვნიდან მარცხნივ  
სხედან: ზაქრო და გიგია;  
დგანან: გიორგი და ხეთისო  
(ალუდაური), 1943 წ.

## სკოლის კურსდამთავრებულნი



აბა ლიქოკელი



ალექსი ჭინჭარაული



გელა ლიქოკელი




უმცროსკლასელები: გიგია და ივანე ლიქოკელები. 1939 წ.

## შატილ-ანატორის მიდამოები




შატილი



ანატორი აკლდამებით

## ლიქოკის სანახეზი



ქვაბულოს მთანი მაღალნი,  
სულ მაღლა კარატე.



ლიქოკურას და არაგვის შესაყარი



კეოს გორი, ნახალე; მარჯვნივ შურის ციხის გორი.

## ქაქუცას რაზმელები



ხევსურეთის ამბოხების შემდეგ



ალექსანდრე  
სულხანიშვილი



ლევან რაზიკაშვილი




მიხა ხელაშვილი


## კარატის ჯვარის ჯვარიონნი თუხეთში



მარცხნიდან სხედან: ქრელიათ ბიძა, ძიკურათ ბაძია, ბიენათ ლერენა; დგან-  
ან: აძიართ ჩაჩაური (დროშით დასტური), ხლუმათ მინდია (ხუცესი), გაგათ  
გიგუა, ურჯუკათ აბია (დროშით), ლომნით გიგია ლიქოკელები. 1928 წ.



დროშათ საველე საბრძანისი



საკუთარ მამულში, ლიქოკის წყალზე ვანო პაპა და გიო (2 წლის) ლიქოკელები.  
ფოტო გიგია ლიქოკელისა. 1999 წ.  
უკან სიღრმეში: შელმა ლიქოკი.

## საბრალმდებლო დასკვნა. განაჩენი

ისლა დაგვრჩენია შევხვით საბრალმდებლო დასკვნისა და უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ დოკუმენტურ პუნქტებს „კონტრრევოლუციონერთა“ ბედის განსაზღვრაში.

**საბრალმდებლო დასკვნა** (კოლექტიური) 1937 წ. 29 იანვარს დაამტკიცა საქ. სსრ შინსაქსახკომმა, სახ. უშიშროების მე-2 რანგის კომისარმა ს. გოგლიძემ და მომდევნო დღეებში იგი წარედგინათ ბრალდებულებს.

საბრალმდებლო დასკვნაში **ბრალდების ფორმულა** განისაზღვრა იმის „დადგენით“, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ხევსურეთში არსებობდა სარწმუნოების წარმომადგენელთა, კულაკური ნაშთების და 1922 წლის ბანდიტურ-სააჯანყებო მოძრაობის (შალვა ქარუმიძის და ქაქუცა ჩოლოყაშვილის აგენტურის) წარმომადგენელთა კონტრრევოლუციური სააჯანყებო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ლერენა ლიქოკელი, ბერდია არაბული, გიორგი გაგას ძე ლიქოკელი, გიორგი აბიკას ძე ლიქოკელი. ჯგუფი პრაქტიკულად ამზადებდა კონტრრევოლუციურ აჯანყებას, ცდილობდა საზღვარგარეთთან კავშირის დამყარებას და იარაღის პარტიის მიღებას.

ამ საქმეში მონაწილეებს ბრალი ედებათ:

ლერენა გიორგის ძე ლიქოკელი, გიორგი გაგას ძე ლიქოკელი, გიორგი აბიკას ძე ლიქოკელი და ბერდია ბენიკას ძე არაბული მონაწილეობას ღებულობდნენ ხევსურეთში კონტრრევოლუციური აჯანყების მომზადებაში, ამისათვის აწარმოებდნენ კ/რ აგიტაციას და ცდილობდნენ საზღვარგარეთთან არალეგალური კავშირის დამყარებას. ე. ი. დანაშაულებრივ ქმედებებში საქ. სსრ სს კოდექსის 19-58 პ. 2, 58 პ. 10 და 58 პ. 11 მუხლებით;

ხახონ თაძიას ძე ლიქოკელი, გიორგი ახალას ძე ლიქოკელი, აპარეკა გიორგის ძე ლიქოკელი და ბაძია მგელას ძე ლიქოკელი დაკავშირებული იყვნენ ლერენა და

გიორგი გაგას ძე ლიქოკელებთან და ატარებდნენ კ/რ აგიტაციას მოსახლეობაში აჯანყებისკენ მონოდებით. ე. ი. დანაშაულებრივ ქმედებებში... 19-58 პ. 2, 58 პ. 10 და 58 პ. 11 მუხლებით;

აპარეკა გიორგის ძე არაბული, მამუკა გაგას ძე ჭინჭარული და კუკუმაურ-ბალათერა გიორგის ძე მონანილეობდნენ კ/რ შეკრებებში და მოუწოდებდნენ მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგობისაკენ. ე. ი. სსკ 19-59/2, 58/10 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებრივ მოქმედებებში;

დათვია მგელიკას ძე ლიქოკელი ეწეოდა კ/რ აგიტაციას და მოუწოდებდა მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის განევისაკენ, აჯანყების მომზადების მიზნით, ჰქონდა კ/რ კავშირი ღერენა გიორგის ძე ლიქოკელთან. ეწეოდა ყაჩაღობას, ახორციელებდა შეიარაღებულ თავდასხმებს ხელისუფლების წარმომადგენლებზე და ცალკეულ მოქალაქეთა ძარცვას.

ე. ი. დანაშაულებრივ ქმედებებში საქ. სსრ. სსკ 19-58/2, 58/10, 58/11 და 58/17 მუხლების შესაბამისად;

მინდია მგელას ძე ლიქოკელს კ/რ შეიარაღებული აჯანყების მომზადების მიზნით ხევსურეთში კავშირი ჰქონდა ღერენა გიორგის ძე ლიქოკელთან და სხვა ბრალდებულებთან; როგორც კულტის მსახური, თავის მდგომარეობას იყენებდა კ/რ აგიტაციისათვის; მზაკვრული მიზნით, თვალთმაქცური მეთოდებით აღაგზნებდა მოსახლეობის რელიგიურ ფანატიზმს.

ე. ი. დანაშაულებრივ ქმედებებში საქ. სსრ სსკ 19-58/2, 58/10, 58/11 და 8/58/21 მუხლების გათვალისწინებით;

ალექსი ალექსანდრეს ძე ოჩიაურს კ/რ კავშირი ჰქონდა სააჯანყებო ჯგუფთან. 1930 წლამდე დაკავშირებული იყო კ/რ არალეგალური ორგანიზაციის წევრთან თომა ბალიაურთან და იყო მისი მოღვაწეობის საქმის კურსში.



ე. ი. საქ. სსრ სსკ 58/12 მუხლის დანაშაულებრივ ქმედებებში.

საქმე გარჩეული იქნა საქ. სსრ უზენაესი სასამართლოს სპეცკოლეგიის დახურულ სხდომაზე ქ. დუშეთში, სპეცკოლეგიის თავმჯდომარის კ. თათუზოვის თავმჯდომარეობით და კოლეგიის წევრების კაჭარავასი და მონტინის მონაწილეობით. სხდომა გაიხსნა 1937 წლის 4 აპრილს; განაჩენი გამოტანილი იქნა 13-14 ივლისს. მიესაჯათ:

1. დათვია მგელიკას ძე ლიქოკელს დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაციითა.

2. ლერენა გიორგის ძე ლიქოკელს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

3. გიორგი გაგას ძე ლიქოკელს თავისუფლების აღკვეთა 10 წლით.

4. ბერდია ბენინიკას ძე არაბულს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

5. გიორგი (გიგუა) აბიკას ძე ლიქოკელს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

6. ხახონა თაძიას ძე ლიქოკელს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით.

7. მინდია მგელას ძე ლიქოკელს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

8. გიორგი ახალას ძე ლიქოკელს თავისუფლების აღკვეთა 6 წლით.

9. აპარეკა გიორგის ძე არაბულს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

10. მამუკა გაგას ძე ჭინჭარაულს თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

11. ალექსი გიორგის ძე არაბულს (კუკუმაური ბალათურა) თავისუფლების აღკვეთა 5 წლით.

12. აპარეკა გიორგის ძე ლიქოკელს თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

13. ბაძია მგელას ძე ლიქოკელი და

14. ალექსი ალექსანდრეს ძე ოჩიაური ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გამართლებულ იქნან.

განაჩენი საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება<sup>1</sup>.

რეპრესირებულთა შემდგომი ბედის ამბავი უცნობი დარჩა. ცნობილი იყო მხოლოდ ის, რომ მათგან შინ აღარავინ დაბრუნებულა. არ დაბრუნებულა 60 წლის მოხუცი, მარტოხელა, ავადმყოფობით დატანჯული აპარეკა ლიქოკელიც, რომელსაც მოსახდელი ჰქონდა მხოლოდ 1 წელი;

განაჩენის გამოცხადების შემდეგ დათვია ლიქოკელმა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად ოფიციალურად მიმართა თხოვნით ქვეყნის (სსრკ-ის) უმაღლეს სახელმწიფო და სასამართლო ორგანოებს სასჯელის კანონიერების დაკონტროლებისა და შემსუბუქების შესახებ. თხოვნაზე მას ოფიციალურად ეთქვა უარი.

ასევე უსამართლოდ და უკანონოდ იყვნენ მაშინ და ცოტა ადრეც დასჯილ-განადგურებულნი სხვა მთიელებიც, მაგ. ვაჟა-ფშაველას საყვარელი შვილი ლევანი, მოხევე ანდრო თოფაძე და სხვანი. ლევან რაზიკაშვილი ჩეკას „ტროიკის“ მიერ დახვრეტილი იქნა 1923 წელს. დანაშაულის რაიმე კონკრეტული ფაქტი მას ვერ მოუწახეს, რადგან მას ასეთი არ ჩაუდენია.

სასჯელის აღსრულების – დახვრეტის, გადასახლების, სიკვდილის, დასაფლავების დროსა და ადგილის შესახებ მათზე ვერსად მივაკვლიეთ რაიმე დოკუმენტურ მასალებს.

ამავე პერიოდში დაპატიმრებულ და 10-10 წლით გადასახლებულ აკუმულ ძმებზე ზვიადა და ადადა ლიქოკელებზე მასალები ვერც ერთ არქივში ვერ მოვიპოვეთ. ამასთან დაკავშირებით, ფაქტობრივად ვიცოდით მხოლოდ ის, რომ გადასახლებული ადადა ლიქოკელი იმყოფებოდა ხაბაროვსკის მხარეში (იხ. გვ. 61).

აქვე მინდა გამოვეხმაურო ამ ბოლო დროს პრესით

<sup>1</sup> ... საქმე, ფ. 388-391.

საქართველოში გავრცელებულ საკმაოდ სენსაციურ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს ვინმე ლიქოკელმა კუნძულ სახალინზე ხმლით შერკინებისას ამონყვიტა იაპონელი სამურაების მთელი ჯგუფი თავის მეთაურიანად (გაზ. „ალია“, 1996 წ. 7-8 ნოემბერი, გვ. 9, 139). ამის შესახებ ჩვენში არაფერი იყო ცნობილი.

თავს უფლებას ვაძლევ – გამოვთქვა ვარაუდი: ეს უნდა იყოს ხმალში და საერთოდ სამამაცო საქმეში შეუდრეკელი ვაჟკაცი ადადა ბაბუას ძე ლიქოკელი, რადგან დიდი შოთას სიტყვები რომ ვიხმართ „ეს საქმე მისეულია!“ იგი ხაბაროვსკის მხარეში გადასახლებული, სამამულო ომის ბოლო წლებში, ვფიქრობ, გაიყვანეს ფრონტზე; ხომ ცნობილია, რომ ამ ომში გაჰყავდათ პატიმრებიც ე. წ. „საჯარიმო ბატალიონებში“; სწორედ ამიტომ დარჩებოდა გაუხმაურებელი მისი გამირობის ამბავიც.

\* \* \*

ასე სავალალოდ დასრულდა ლიქოკელთა და საერთოდ ხევსურთა ოპოზიციური მოძრაობა და წინააღმდეგობა კომუნისტური ხელისუფლების მიმართ. 37-იანი წლების საბჭოური რეპრესიები საბედისწერო აღმოჩნდა არა მარტო ლიქოკელთა, არამედ თვით მთელი ხევსურეთისათვის, რადგან აქედან ჩაეყარა საძირკველი ხევსურების საკუთარი მინაწყლიდან აყრას და ხევსურეთის, როგორც გეოპოლიტიკური, საზოგადოებრივი, სახალხო ერთეულის, თუნდაც მსოფლიო მასშტაბის ეთნოგრაფიული ფენომენის, გაუქმებას (დასამარებას).

ლიქოკელთა საგანგებო რეპრესირებამ ხერხემალში გადატეხა არა მარტო მათი პოლიტიკური ოპოზიციურობა, არამედ მთელი გვარის შემდგომი ცხოვრება; დაარღვია საუკუნეთა მანძილზე შედუღებებული ეთნიკურ-ეროვნული კომპაქტურობა და აქედან დაწყებული მათი მომავალი თაობები მოაქცია საერთო საზოგადოებრივ უსახო მასაში ინდივიდებად.

## ლიქოკის ტარტიკაული

*„ვინძლო უამთა სვლამ არ აღგავოს ხსოვნაში წინაპართა ღვანლი და უსახელოდ არ მიეცეს დავინყებას საგმირონი საქმენი მათნი... ძნელად სარწმუნოა ზოგი რამ, მაგრამ არ შემიძლია არ გადმოგცეთ ის, რასაც მიყვებიან“.*

პეროდოტი

*„ბედინანიმც დაჯდების ლიქოკ ლიქოკელთ ჯარზედა, სათავეს უსხენ უფროსნი, აჩქამდებიან ჭკვაზედა, ბოლოში ახალუხლები, ხელი მიუდისთ ხმალზედა...“*

ძველი ხევსურული ჰიმნიდან

30-იანი წლების რეპრესიები ხევსურეთში, როგორც წინამდებარე გამოკვლევებიდან დავინახეთ, ძირითადად მიმართული იყო ლიქოკის თემის, ლიქოკელთა (სისვაურთა) გვარის წინააღმდეგ, მისი ანტიკომუნისტური, წმინდა პატრიოტული პოზიციებისა და ქმედებების გამო. ამ გვარის შვილებს არც შემდგომ ე. წ. სოციალისტურ ეპოქაში დაუთმიათ მონინავე პოზიციები და ასე მოიტანეს თავიანთი ისტორია დღემდე, თუმცა ის გვაროვნული, სოციალურ-პატრიარქალური ერთიანობის, კომპაქტურობის ფორმები და ნიშნები ცივილიზაციის ბუნებრივმა პროცესმა ადვილად შეინირა.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გვარის მოკლე ისტორია, მისი აღზევებისა და „დამხობის“ პერიპეტიები გავაცნოთ დაინტერესებულ საზოგადოებრიობას.

ძველი, ფართოდ ცნობილი ანდრეზის<sup>1</sup> მიხედვით, რაც ყველა ლიქოკელმა იცოდა (უნდა სცოდნოდა), გვარის სათავე მოდიოდა შუა საუკუნეების ქისტეთის (ჩეჩნეთის) სინამდვილიდან.

XV საუკუნეში (ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს XVI საუკუნის პირველი ნახევრისა) შუა ჩეჩნეთიდან (მითხოდან – მდ. არლუნის ზემო წელი), სოფ. ჭანთეთიდან მოსულა კაცი (სახელი უცნობია) ხევსურეთის მოსაზღვრე ზემო ქისტეთის სოფელ მიზუში, აქედან – ჯარეგაში და აქ დამდგარა ამანათად (მკვლელობისთვის გამორიდებული).

ამ კაცს ჰყავდა 2 შვილი – სანაგი და ნაქორი, რომლებიც უკვე ხევსურეთში გადმოვიდნენ და დამკვიდრდნენ ქართულ სოფელ ანატორში, შატილის ქვემოთ 3-4 კმ დაშორებით, ქისტეთის მოსაზღვრე თავისუფალ ადგილზე. მათი გვარი იყო სისვაური( სისვი – მწვანე). იმ დროს ქისტეთში და საერთოდ მაჰმადიანურ სამყაროში გვარები არ ფიგურირებდა, იყო მამა და შვილი („ალი“ და „მისი შვილი „მაჰმადი“ და ა. შ.).

ქისტების, ქისტებისადმი დამოკიდებულების მიმართ უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. ხევსურები ჩეჩნებსა და ინგუშებს, თავის უახლოეს ჩრდილოელ მეზობლებს, დღემდე უწოდებენ ქისტებს. ხევსურეთის ორი სასოფლო საზოგადოება, შემდგომში შატილისა და არხოტის სასოფლო საბჭოები, მდებარეობდა კავკასიონის მთავარი ქედის თხემის ჩრდილოეთის კალთებზე. მათ ესაზღვრებოდა აღმოსავლეთით (შატილს)

<sup>1</sup> ანდრეზი, ანდაზა – ანდერძის კომბინირებული გამომხატველი ცნება; ზეპირი, კანონის ძალის მორალურ-იურიდიული ნორმა. დაუშვებელი იყო მისი შეცვლა-განვითარება, დამახინჯება. ყველას უნდა დაეცვა და შეესრულებინა იგი. ამ სფეროში უზენაესი აღმასრულებელი ორგანო იყო ხევსურული რჯული.

ჩეჩნეთის, დასავლეთით (არხოტს) ინგუშეთის ხალხები. ხევსურები საერთოდ მათ ეძახდნენ ქისტებს; კერძოდ, ჩეჩნეთს მითხოს – ჩეჩნებს მითხოვლებს, ინგუშეთს ღილღოს – ინგუშებს ღილღველებს (ღლიღვი) უწოდებდნენ.

ენათმეცნიერი ალ. ჭინჭარაულის მოსაზრებით, „ქისტი“ თვით ჩეჩნეთა განმარტებით, ნიშნავდა ქრისტიანს („ქრისტი“ – ქისტი). ჩვენი ისტორიული ანალების მიხედვით, ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროიდან და შემდეგ დავით, თამარ და სხვა ძლიერი ქართველი მეფეები მეზობლური კავშირების განსამტკიცებლად და ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრების უშიშროებისათვის ყველა საშუალებით ცდილობდნენ იქ ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებას. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ვახტანგ გორგასალმა ამ მიზნით დასავლეთ საქართველოდან ჩაასახლა იქ ქართველთა ერთი ჯგუფი.

ხევსურებსა და ქისტებს შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობის (მოკავშირეობისა და მტრობის) განსაკუთრებული, სპეციფიკური ნორმები და ფორმები. ხევსურებს, მაგალითად, „კახობა“ (ყველა ბარელს კახს უწოდებდნენ) სამარცხვინოდ მიაჩნდათ, ჩანს, ხელისუფლებისადმი მორჩილების, პასიურობისა და დამთმობლობის გამო. ქისტების მიმართ დამოკიდებულება სხვაგვარი იყო. „ხევსურები და ქისტები! მთის ეს ორი უმამაცესი მეზობელი ხალხი ურთიერთისადმი მტრობისა და უზენაესი პატივისცემის უცნაური და თითქოს აუხსნელი ისტორიული ტრადიციით იყო გადაჯაჭვული“<sup>1</sup>. ხევსურთათვის დადებითი, მისაბაძი, საამაყოც იყო, ქისტების სამამაცო საქმენი. მათი სიმტკიცე, მტერთან შეურიგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდი მტრობა სწორედ ქისტებთან ჰქონდათ. ურთიერთობის ეს ფორმები ჩამოაყალიბა ისტორიულმა პირობებმა, ტერიტორიულმა სიახლოვემ, მოულოდნელი ტრაგედიის (სისხლის აღების) დროს ურთიერთდახმარების

<sup>1</sup> ივანე ლიქოკელი, დასახ. ნაშრ., გვ. 105.

(ამანათობის) ტრადიციამ. ხევსურებს უგზოობისა და სიშორის გამო კავშირი საქართველოს ბართან (კახეთი, ქართლი) ძალიან გაძნელებული ჰქონდათ. ქისტეთი კი ახლოს იყო. მსგავსი იყო დაღესტნელ ხალხთან ურთიერთობაც, რომლებსაც ზოგადად ლეკებს ეძახდნენ. ქისტურ-ლეკური წარმომავლობაც კი საამაყოდ მიაჩნდათ, ყოველ შემთხვევაში, არ მალავდნენ.

**ანატორი** მდებარეობს არღუნის (გურო – შატილის წყალი) და მიღმახევის (მუცო – არდოტის წყალი) შესაყართან, მდინარის მარცხენა სანაპირო ფერდზე. ახლა იქ ძველი ნასოფლარის ნაშთებია დარჩენილი. ამჟამად ამ ადგილზე მონყობილია შატილის სამხედრო სასაზღვრო პოსტი საქართველოს სახელმწიფო ჩრდილო სასაზღვრო ხაზზე. მდინარეთა შესაყარზე, მარჯვენა მხარეს მდებარეობს ფართოდ ცნობილი ანატორის აკლდამები. ანატორზე თხრობისას შეუძლებელია გვერდი აუარო აკლდამების საკითხს. ეს არის ხევსურეთის ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკულ-სენსაციური, უჩვეულო მოვლენა. აკლდამები განლაგებული იყო (და ახლაც არის) სოფ. ანატორის დაბლა ქალაში, მთავარი მდინარის (არღუნის) გაღმა, მარჯვენა მხარეზე, არღუნისა და მიღმა ხევის (წყლის) შესაყარ კლდოვან, სულ რაღაც 60-70 კვ. მ. ბორცვზე, კლდეში გამოკვეთილი მასობრივი, არაქრისტიანული ფორმის 3-4 სამარხი, შედარებით ფართო მოცულობის (თითოეული 20-30 კვ. მ.) სათავსი. მათ ახლა კარებიც აღარა აქვთ; თავიდან ცხადია ჰქონდათ მასიური სიბი ქვის კარები. ცხედრებს ალაგებდნენ ქვის იატაკზე და ასევე გვერდით კედლებზე სართულებად განლაგებულ ქვის თაროებზე. თუ თავისუფალი ადგილი აღარ იყო ძველი ცხედრის ნაშთებს (შიშველ ძვლებს) ერთმანეთზე აწყობდნენ და განთავისუფლებულ ადგილზე ათავსებდნენ ახალ ცხედარს. ერთ აკლდამაში შეიძლება განთავსებულიყო 100-მდე ცხედარი.

გადმოცემით, XVIII თუ XIX საუკუნეში სოფელში გაჩნდა შავი ჭირი (ჟამნი) და მთელი სოფელი იმსხვერპლა. ანდრე-ზი ამბობს, რომ ჯერ ისევ ცოცხალი მომაკვდავი თვითონ შედიოდა აკლდამაში, ითავისუფლებდა ადგილს და წებოდა სიკვდილის სარეცელზე. XX საუკუნის შუა ხანებში აკლდამაში ვხედავდით ჯერ კიდევ სახსრებში დაუშლელ მთლიან ჩონჩხებს. იყო აკვანზე გადამხობილი დედის ჩონჩხი; ცხადია, ფაქტობრივად, უკვე მკვდარი ნაშიერი ასევე მომაკვდავმა დედამ აკვნით მიიტანა საუკუნო განსასვენებელში და თვითონაც თან გაჰყვა მარადიულ გზაზე. ანდრეზის მიხედვით, ერთ დღეს 60 ხმლიანი გადმოვიდა წყალს (ე. ი. მომაკვდავი).

ეს დაუცველი ძვლები შემდგომში თანდათან დაიშალა, გაიფანტა. თავის ქალები ზოგიერთ ტურისტს, ეგზოტიკის მოყვარულ მნახველს მიჰქონდა (გახსოვთ, ჰაიდელბერგერის თასის პოეტური უკვდავყოფის აფექტი!).

განყდა მთელი მოსახლეობა და სოფელი აღიგავა მიწისპირიდან. გადარჩენილი ერთეული ოჯახები გადავიდნენ სოფ. შატილში, შთამომავლები კი ნავიდნენ ბარში. დღესაც არის შატილში სისაურთა რამდენიმე ციხე.

ჩემს ბავშვობაში ლიქოკში, კარატის ჯვარში სალოცავად მოდიოდნენ მოძმეებთან ანატორელნი (გიგური, ქურსიკა და მათი შთამომავლები).

ანატორელმა სისაურებმა აკლდამების ზემოთ, ტყიან კონცხზე თავიდანვე დააარსეს ძლიერი სალოცავი „ანატორის ჯვარი“, რომელსაც ლოცულობდნენ მთელი პირიქითელი (შატილის) ხევსურობა და ახლომახლო მცხოვრები ქისტებიც. მაშასადამე, სალოცავი იყო კომბინირებული (ქრისტიანულ-მაჰმადიანური), სადაც იკვლებოდა შესანიშნავად ცხენებიც (არაქრისტიანული). ანდრეზიც არის: „ძალა მაშინ მქონდა, როცა წყვილჩლიქიანებთან (ქრისტიანული წესით) მირგვალქაჩიანებიც (ცხენი) მენირებოდაო!“



მაშ, ანატორში, შატილის მხარეში დამკვიდრდა სისვანურ-თა ოჯახი – გვარი და იწყო ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობისა და სახელის მოპოვებისათვის მოღვაწეობა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო მათი ქისტებთან გაბედული და წარმატებული შერკინებანი. ქისტებსა და ხევსურებს ჰქონდათ მძაფრი მტრობა და დაპირისპირება, მაჰმადიანური (მომთაბარე) ტომებისთვის დამახასიათებელი დაცემა-მტაცებლობის მოგერიებისა და საპასუხო დარტყმების განხორციელების აუცილებლობის ნიადაგზე. ახალმოსახლე სისვანურები არა მარტო მამაცურად ედგნენ გვერდში თანასოფლელ ხევსურებს, არამედ თანდათან წინამძღოლებადაც იქცნენ ნაძარცვის დასაბრუნებლად და შურის საძიებლად ქისტეთში მოლაშქრე ხევსურების ჯგუფებში, როგორც იქაური ადგილგარემოს კარგად მცოდნეები. ბოლოს კი თავადაც დაიწყეს მოხალისეთა შეგროვება და წარმატებული ლაშქრობების მოწყობა მტრულ ჩრდილოეთში.

აქ ვფიქრობ, სათანადო განმარტების გარეშე ვერ გავალთ ფონს.

როგორ მოხდა, როგორ უნდა აიხსნას კერძო, პირადული ოჯახური მტრობის მიზეზით თავისი თვისტომებისგან უცხო ადგილისა და რჯულის ხალხთან საამანათოდ<sup>1</sup> წასული ბრალეული კაცი (ოჯახი) დაუძინებელ მტრად რომ ექცეს საკუთარ ტომს, თავისიანებს და უცხოტომელების ლაშქარს მოუძღოდეს თვისტომთა ამოსაწყვეტად, მით უმეტეს მაშინდელ (ფეოდალურ-პატრიარქალურ – მკვეთრ სარწმუნოებრივ დაპირისპირებათა ვითარებაში. ეს დაუჯერებელია!).

ამ გარემოებათა ახსნა შეიძლება ვიპოვოთ უფრო წინა, შორეულ ისტორიაში. ისტორიულმა ანალებმა, „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებმაც შემოგვინახა ცნობები კავკასიის

---

<sup>1</sup> ამანათი – სისხლის ალების ძველი ადათის გამო თავისი საცხოვრისიდან აყრილი ოჯახი, გვარი და სხვა ადგილზე, ტომში თავშეფარებული სიცოცხლის გადასარჩენად.

ხალხთა ინტენსიური გადაადგილების, პიროვნული და ჯგუფური იძულებითი მიგრაციის ფაქტების შესახებ; კერძოდ, ძველი კოლხეთის (მეგრულ-ჭანური) სამყაროს წარმომადგენელთა სხვა მხარეებში, მათ შორის ჩრდილოეთითაც გადაადგილებაზე. თვით ვახტანგ გორგასლის მიერაც განხორციელებულა ასეთი ფაქტი. მხოლოდ ამ ნიადაგზე გვესახება შესაძლებლად მოენახოს ახსნა ჩეჩნეთში ქართული ძირის მქონე სოფლის „ჭანეთის“ და იქ მცხოვრები ქართული გვარის „სისვაურების“ არსებობას. თუ ხევსურეთში შემოხიზნულ სისაურებს მართლაც ისტორიულად ქართული ფესვები ჰქონდათ, მაშინ ადვილი გასაგებია მათი საქციელისა და მოქმედებათა ტენდენციები ორივე მიმართულებით. რაც შეეხება სარწმუნოებრივ ბარიერებს, ის უფრო ადვილი დასაძლევია იყო. კავკასიონის თხემის გასწვრივ ქართველებთან უშუალო მეზობელ-მონათესავე ტომებში (ჯიქები, ალანები, დურძუკები, ქისტები და ა. შ.) ჯერ კიდევ თამარის ეპოქიდან მოყოლებული, ქრისტიანული რწმენა არც თუ ისე მიუღებელი და საძულველი იყო, როგორც უფრო მტკიცე, ჰუმანური, ფართოდ გავრცელებული. ქისტეთში (ჩეჩნეთ-ინგუშეთი) ჩვენ დრომდე იდგა უამრავი ციხე და საკულტო ნაგებობანი ჯვრებით და სხვა ქრისტიანული ატრიბუტებით. თვით „ანატორის ჯვარის“ დაარსების დრო, საფუძველი და მისია ამ საზიარო რწმენაცნობიერების მანიშნებელია. როგორც პროფ. ალ. ჭინჭარაული განმარტავს, თვით ჩეჩნისთვის ქართული წოდება „ქისტი“ ქრისტიანიდან მოდის.

ზემოური ჩეჩნები, მათივე განმარტებით, ქრისტიანული სარწმუნოებისანი იყვნენო.

კვლავ „ძველსა ჩვენსა სიტყვასა ზედა მოვიდეთ“, გახევსურებულ სისვაურთა შესახებ. ანატორში – შატილის მიდამოში დამკვიდრდა და გამრავლდა ნაქორი თავისი შთამომავლობით. სანაგმა კი თავის ასპარეზად ძირითადად პირაქეთი ხევსურეთი აირჩია და აქედან უკეთებდა ორგანიზებას თავის

უფრო ფართო მხედრულ ღონისძიებებს. ძმებმა უკვე შორის გაითქვეს სახელი მთელ ხევსურეთში და მტკიცე ნდობაც მოიპოვეს მტრული ტომების შემოტევათა მოგერიებისა და ქისტეთ-ლეკეთის საპასუხო დალაშქვრის საქმეში, ხევსურეთის ისეთი ძლიერი გვარებით გაერთიანებულ ლაშქართა შორის როგორც იყვნენ არაბული, ჭინჭარაული, გოგოჭური, გიგაური, სამხარაული და სხვანი, ხშირად თვითონვე რომ სარდლობდნენ.

ძნელია გაუძლო ცდუნებას და არ გაიმეორო ანდრეზისეული ლამაზი ლეგენდა ორი სანაგის მემკვიდრეობითობის საღვთო-საჯარო აღიარების შესახებ.

...მიმდინარეობს მაშინდელი ხევსურეთის უმთავრეს სალოცავში „ხთისკარობაზე“<sup>1</sup> მთავარი წლიური საღვთო დღეობა. თავი მოუყრია მთელი ხევსურეთიდან კაცსა და ქალს, მოხუცსა და ბავშვს. ღვთისმსახურების გარდა აქვე წარმოებს საკარგემოს, სანდე-საყეინოს დადგმა. ტიტულის (კაიყმის) მინიჭება, დამწყალობნება და ა. შ.; აქვე ხდებოდა ქალ-ვაჟის ურთიერთშეხვედრა-გაცნობა და თვით არჩევაც. იყო ასეთი ღია დემოკრატიული ტრადიციაც. ხატის მთავარი სინმიდეების საზარე დარბაზ-საქვების წინ, თვალსაჩინო ბორცვზე, საპატიო ადგილზე ნაბადნამოხურული წამონოლილა და ისვენებს ღონისძიების საპატიო პირი, მორიგი წარმატებული ლაშქრობიდან ახლახან დაბრუნებული სახელოვანი, კაიყმობის წლევეანდელი კანდიდატი, რომელსაც ცალი ხელი გარედან დაუდვია ნაბდის კალთაზე, გარშემო კი მთელი ბორცვი აუვისია ძვირფას ჭრელ სამოსს, მოვერცხლილ იარაღსა და სამკაულებში გამონყობილ უშქარ კრებულს. ძვირფასად მოქარგულ სადიაცო-ფაფანაგში, ვერცხლის მძიმე ყელსადებ-საყურ-ბეჭედში გამონყობილი, მზესავით ყვით-

---

<sup>1</sup> ხთისკარობა – ძველი ხევსურეთის მთავარი სალოცავი ჯვარი სოფლების ქმოსტისა და ლელისვაკის ზემოთ მდებარე ვაკეში. XX საუკუნეში აღარ ფუნქციონირებდა.

ლად მობრიალე თმით შემკობილი, მალლა აწეული თავით ამაყად მდგომი წარმოსადეგი ქალის ხელს ჯერ გაუბედავად მოწყდება 3-ოდე წლის ყმანვილი, თანდათან გაბედული ნაბიჯით მიუახლოვდება ნაბდიანს, შემართავს თავის საჩვევა (საბავშვო-სათამაშო) მშვილდს და ისარს სტყორცნის ხელზე, თან ეტყვის დედის მიერ ჩაგონებულ სიტყვებს: „სანაგის სანაგმ დაგკრა!“-ო: მთელი ხალხი გაოგნებული შეჰყურებს ამ სანახაობას... სანაგი წამოდგება, ბავშვს აიტაცებს ხელში და საზარე კოშკის წინ თავდახრილი დაიჩოქებს ცალ მუხლზე. მთავარი დეკანოზი – ხუცესი ზარს შემოჰკრავს და ომახიანად დაამწყალობნებს მამა-შვილს, რითაც ჯვარით დაადასტურებს მათს მემკვიდრეობითს კანონიერებას მთელი დამსწრე საზოგადოების ერთსულოვანი მხარდაჭერით. ამით ძალადაკარგულად იქცევა ხევსურეთში უმძიმესი ცოდვა-დანაშაული უკანონო შვილის (ნაბიჭვარის) გაჩენისა, რაც დედა-შვილის ჩაქოლვით მთავრდებოდა.

დედა კი იყო ერთ-ერთი წარჩინებული გვარის გიგაურთა მესვეურის ქალიშვილი.

სანაგი ამ მოვლენის შემდეგ დამკვიდრდა პირაქეთ ხევსურეთში ცოლეურთა ადგილ-გარემოში. გიგაურების გვარი მაშინ ცხოვრობდა და მფლობელობდა ქვემო ხევსურეთში, საარაგოზე (გველეთ-დათვის-სახილე სოფლებში). ამ დროისათვის (XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე) ძველი ფხოვი ფაქტობრივად უკვე გაყოფილია ცალ-ცალკე ნაწილებად, ორწყლიდან ზევით, მარცხნივ ხევსურეთია, მარჯვნივ – ფშავი, ხევსურეთის და ფშავის არაგვთა ხეობებში. სანაგმა თავისი დაფუძნება დააკანონა გიგაურთა მთავარ სალოცავში, გველეთის ჯვარში ხარ-ქვაბით<sup>1</sup> საძმოდ შეყრიო.

<sup>1</sup> ხარ-ქვაბით შეყრა, უზენაესი საღვთო კანონით, რომელიმე თემის, გვარის მიერ ახალი მოძმეების, ხიზნების და ა. შ. მიღება საყმოდ, ჯვარში სამხვეწრო ხარის დაკვლით, ქვაბი ლუდით, სხვა ძღვენის შეწირვით, რა თქმა უნდა, ორივე მხარის თანხმობით.

ცხოვრება თავისი ჩვეული გზით მიდიოდა. ხნავდნენ, თესდნენ, საქონელს ამრავლებდნენ, სტუმარს და მტერს სათანადოდ უძღვებოდნენ. უმთავრესი მაინც მხედრული ლაშქრობები იყო. სანაგი მეორე იზრდებოდა და აგრეთვე დაკანონებული ადათებით, ვაჟკაცდებოდა. გახდა უკვე 15 წლის, კვლავ ანდრეზმა მოიტანა ჩვენამდე ახალი სიუჟეტი:

„შიო ვარ სამხარაული, სკამს ვიჯედ ახოვლისასა,  
ქალს ვაძლევ სანაგის შვილსა, ყმანვილს ხუთმეტის წლისასა,  
არც არას ქალი სწუნობდა ნაბიჭვარს დუსურბნისასა“.

სამხარაულების საკმაოდ ცნობილი, მრავალრიცხოვანი ფხოვეური გვარი მაშინ ცხოვრობდა გაღმა ლიქოკის<sup>1</sup> სოფ. აკუშოში. შიო კი, მარადიული მიგრაციის კანონით, არაგვის მეორე ხეობის სოფელ ახოში (დღევანდელი ბარისახო) გადასული ჩანს. მომდევნო პერიოდში სამხარაულების გვარმა საერთოდ დაუთმო თავისი ადგილი სისაურებს, ალბათ, ქალღისწულის შთამომავლებს, თვითონ კი ბარში გადასახლდა. ადგილი შესაძლებელია ძალდატანებასაც ჰქონოდა ადგილი. სხვათა შორის, სისაურები და სხვებიც გამრავლების კვალობაზე ადგილებს გამონახავდნენ (შედარებით თავისუფალს), აკეთებდნენ ახოებს და სუსტების შეზღუდვით სხვებსაც ართმევდნენ; ასე განდევნეს მათ შემდგომში სოფ. კეოდან (ქვაბულოელთა უბანია, საზამთრო აგარაკი) ფიცხელაურების გვარი დიპლომატიური მეთოდის გამოყენებით, ჩვენი უძველესი კოპალას სალოცავი კარატის წვერიდან სინათლის ანთე-

---

<sup>1</sup> სალიქოკო თემის განსახლების არეალი ძირითადად ერთი მდინარის (ლიქოკურას) ხეობაში მდებარეობდა. იგი იყოფოდა შაღმა (ზემო) და გაღმა (ქვემო) ლიქოკად. პირველში შედიოდა სოფლები აჭე, ჭალაის სოფელი, ბაქჩვილო, მეორეში – კარნაულთა, ქვაბულო, მალრანი, აკუშო და კიმხი. ეს ორი უკანასკნელი მეორე – კუშურას ხეობაში მდებარეობდა. ლიქოკის თემში სულ 50-60 ოჯახი შედიოდა.

ბას გიშლისთო, ერთიანად ამოგწყვეტთო. ასევე განიდევენენ ლიქოკიდან გელდიაურები (სოფ. აჭეში დღესაც არის დიდი მამული „გულდიაურის“ სახელით), ამლალის შთამომავლობა ტინთიდან და ა. შ.

ახოში ფეხმოკიდებულმა გველეთელ გიგაურებთან ძმად შეყრილმა სანაგმა და მისმა შთამომავლობამ შემდგომში თანდათან იწყო მდ. არაგვის ქვემო წელზე, ძირითადად მარცხენა მხარეს ქალებისა და მათა ტყე-ველიანი ფერდობების დაჭერა-ათვისება, ცხადია, მოქიშპეთა წინააღმდეგობის დაძლევის გზით, რაც ჩვენ დრომდეც (XX საუკუნის დასაწყისამდე) გრძელდებოდა. ამ რიგის დრამატულ და თვითმხატვრულ ეპიზოდებსაც გვანვდის კვლავ ჩვენი ნეტარხსენებული ანდრეზი:

სანაგის შთამომავლობას საუკუნეთა შემდეგაც ჰქონდა ადგილების თაობაზე გაუთავებელი დავა სხვა გვარებთან და თვით „მოდმე“ გიგაურებთანაც.

გიგაურთა იმდროინდელ ბელადს გიგა გიგაურს არაფრით არ უნდოდა ვინმესთვის დაენებებინა მათი ადგილის მოპირდაპირე, არაგვის მარცხენა სანაპიროს ნყალ-ჭალა და ქალაისთავი. არაგვის მარცხენა მხარეს კი სისაურები ეუფლებოდნენ თვით ორწყლამდე. სისაურთა გვარს მაშინ (ალბათ, XVIII საუკუნეში) თავკაცობდა აგრეთვე სახელიანი ვაჟი ოჩონა. გიგასა და ოჩონას შერკინებისა და ორთაბრძოლის ქრონიკებმაც მოაღწია ჩვენამდე. აი, ერთი მათგანი: დანიშნულია მათი „ხმლით გასწორების“ (დუელის) დრო და ადგილი გიგაურთის ველზე (გველეთ-დათვისის ქალის განაპირა ბორცვი არაგვის პირზე). მოხდა ისე, რომ ასპარეზზე დანიშნულ დროზე ადრე გამოცხადდა გიგაური და შეინიღბა ბუჩქებში. ფრთხილობდნენ, ფხიზლად ზვერავდნენ ურთიერთს საშიშ მტერთან შეხვედრის წინ. ზუსტ დროზე მოსულ ოჩონას უცებ როჭო ამოუფრინდა წინ ბუჩქებიდან, თუმცა ვერ გაასწრო, ელვასავით ამოწვდილმა სისაურის მახვილმა მას

თავი ჰაერში ნაჰკვეთა! ამის დამნაზღაურებელი გიგაურმა გონიერებას მოუხმომ და საფარიდან აღარ გამოსულა. ხევსურეთის ისტორიამ კი ერთი რიგითი სისხლიანი აქტი აიცდინა ამით. ამ მეთოდებით დაიჭირეს ლიქოკელმა სისაურებმა ფსითხტინთ-ტინთის ძირი. თუმცა თვით XX საუკუნეშიც ჰქონდათ ამ ნიადაგზე სისხლიანი გარჩევები ლიქოკელებსა და დათვის-გველეთელ არაბულებს, გიგაურთა ისტორიული სამფლობლოს ახალ მემკვიდრეებს. გველეთელი ივანეურთ ხთისია ხმლით დაესხა თავს ჭალაში (ტინთის ძირს) დამკვიდრებულ მამა-შვილს მგელიკას და დათვიას. რის დროსაც გვარიანად დაჩეხეს ერთურთი ხთისიამ და დათვიამ.

ამავე საქმის გაგრძელებად ჩანს ერთ-ერთ პურობაზე შერკინებამდე მისული დათვისელი ცნობილი ვაჟკაცის ადიონათ სადარასი და ჯერ კიდევ პირშიშველა აძიათ თათარის შეჯახების წინა მომენტი. სადარას ამაყი რეპლიკის – „ტინთის პატრონი აქ გახლავთ არაბულიო!“ პასუხად ქვაბულოელმა თათარმა იშიშველა ახალგამართული დაშნა და თუ არა ხევსურული სახლის დაბალი ჭერი, რაზეც წვერი მოუკრა გულფიცხი ახალგაზრდის დაშნამ, აქაც საკმაო სისხლი დაიღვრებოდა. სადარას კი ამ ამბის დამსწრე ერთ-ერთი უფროსი ჭინჭარაულის ნიშნის მომგებმა სიტყვებმა: „აღარ ყოფილა ტინთი შენი, პატრონი გამოსჩენიაო!“ ხელი ააღებინა სარისკო ავანტიურაზე. იყო სხვა მსგავსი მომენტებიც.

ამ საშიში კატაკლიზმების საერთო შედეგი ის იყო, რომ ლიქოკელებმა საბოლოოდ დაიმკვიდრეს მდ. არაგვის მარცხენა ქვემო წელი საირმიადან ონყლამდე.

აი, ასე იკვლევდნენ ხევსურეთში სისაურები გზებს და იმკვიდრებდნენ სასიცოცხლო ადგილ-გარემოს. ეს ეხება XVI-XVII და მომდევნო სისხლიან საუკუნეებს.

სანაგის სანაგი მამაზე უფრო ძლიერი და ავტორიტეტული მეომარია. მან მრავალი ლაშქრობა მოაწყო როგორც ჩრდილოკავკასიელი მოძალადეების მიმართ, ისე ქართველ

ფეოდალთა წინააღმდეგ. მას ლაშქრის შესაკრებ-მოსამზადებელი ბაზებიც კი გამოყოფილ-დამკვიდრებული ჰქონდა, როგორცაა „სანაგის საჯარე“, „სანაგის წყალნი“ მთა ნახალეს კალთებზე და სხვაგანაც.

ბარისახოში დამკვიდრებულმა სანაგის სანაგმა და მისმა უშუალო შთამომავლობამ აქვე, თავისი ეზო-კარის გვერდზე მდებარე კლდის ბაქანზე დააარსა საკუთარი (საგვარეულო) სალოცავი „კოპალა“-„იახსარის“ საგვარაუდო თანამოძმე, რომელსაც დაარქვეს „ხმალა“. „ხმალა“ უნოდეს ხმლისა და მახვილის რაინდებმა სისაურებმა თავიანთ სალოცავსაც, იმ დროისა და ვითარების შესაბამისი ამაყი სახელი, ისევე როგორც მოპირდაპირე (არაგვის მარცხენა მხარეს) ფრიალო კლდის თავზე აშენებულ მტკიცე ციხესიმაგრეს – „შურის ციხე“. სხვათა შორის, „შურის ციხე“ საუკუნეთა მანძილზე მყარად იდგა ლიქოკის შესავალში და ფეხს არ ადგმევინებდა ხეობაში ისეთი მძვინვარე ფეოდალის მოლაშქრეებსაც კი, როგორც ზურაბ არაგვის ერისთავის აზნაურები იყვნენ, რაც ნეტარხსენებული აკაკი შანიძის ხევსურული პოეზიის მრავალი შედევრით დასტურდება.

„ხმალა“ – „შურის ციხის“ ფენომენი მიგვანიშნებს ხმლის კულტის ძალამოსილებაზე ხევსურეთში და თვით იმ ლეგენდის ალბათობაზეც, რომლის მიხედვით, ფართოდ სახელგანთქმული ხევსურული „ფრანგული“ და ჯვრიანი სამოსიც თავდაპირველად შემოიტანა საგანგებოდ თუ შემთხვევით აქ შემოსულმა ჯვაროსანმა რაინდმა, თორემ ძნელი დასაჯერებელია ემბლემა „ჯვარის“ ასე მტკიცედ დანერგვა წარმართ ხევსურებში. ისე, „ფრანგულიც“, რომ შემდგომში „დავით ფერულთან“, „გორდასთან“ და სხვა ქართულ ხმლებთან ერთად ხევსურული წარმოებისა და მოხმარების ფართო იარაღად იქცა?!

თავის მხრივ, „ხმალა“ მალე მთელი ქვემო ხევსურეთის რწმენის საფუძვლად გადაიქცა და შემდგომში, როცა შთამო-



მავლობის ნაწილი ბარისკენ დაიძრა, მისი ნიში – ფილიალები თან გაიყოლა და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე გაამწესა, როგორც მაგალითად, სისაურთა განაყარმა შტომ გუშარაშვილებმა არაგვის ქვემო ნელზე სოფ. თვალიეში თავიანთ მთაზე ზენამხარში (თიანეთისკენ გადასასვლელ ქედზე) დააფუძნეს ძლიერი სალოცავი „ხმალა“, რომელიც დღემდე აქტიურად ფუნქციონირებს არა მარტო გუშარაშვილებისთვის.

როგორც წიგნში წარმოდგენილი სისაურების (ლიქოკელების) საგვარტომო გენიალოგიური სქემიდან ჩანს, ქვემო ხევსურეთში დამკვიდრებული სისაურების გვარი სულ მალე (რამდენიმე თაობაში) უკვე მრავალრიცხოვან საგვარეულო ოჯახად გადაიქცა და, ბუნებრივია, ბარისახოს და თუნდაც გველეთის ვიწროებში ველარ დაეტეოდა და ახალი სასიცოცხლო სივრცის მოპოვება დასჭირდებოდა. მათ გეზი აიღეს შედარებით მეჩხერად დასახლებულ ლიქოკის ხეობისაკენ.

ლიქოკი, ლოქოკის ხეობა; საიდან მოდის, რასთანაა დაკავშირებული ეს ტერმინი? ზოგიერთთა აზრით, იგი ჩეჩნური წარმოშობის ტერმინია – „ლაუქოკ“ – კლდის ძირი (ენათმეცნიერი ალ. ჭინჭარაული). ამ ტერმინის სასარგებლოდ მეტყველებს მისი გეოგრაფიის ფიზიკური მახასიათებელი. ჯერ ერთი, ხეობის შესასვლელი, კარი („ლიქოკის წყლის წვერი“) შურის ციხისა და ხმალაის კლდეების მტკიცე ჭიშკართაა შეკრული. ეს ჭიშკარი, აშკარაა, არაგვის მსახვრალი ენერგიითაა გამოკვეთილი საუკუნეთა მანძილზე, ზუსტად იმ კონტექსტში ბრძენი ვაჟა რომ ამბობს: „კლდეს შეზღუდა ხეობა, სადაც მდინარე დიოდა“-ო... და წარმოიქმნა თავისუფალი შესასვლელი ხეობის სიღრმეში. იქ კი, კვლავ მეორე ქვის კარია შაღმა ლიქოკის შესასვლელში: მარცხნიდან ლომელთანის მაღალი მყარი კლდე, რომელიც ლიქოკურას (მდინარის) ფუძემდე ეშვება და მოპირდაპირე, მარჯვენა მხარეს, ასევე მდინარემდე ჩამოშვებული შავეკვიშის გორის კლდოვანი ფლატე, რომელზედაც „კიბეს“ სახელით ცნობილ კლდეში გა-

მოკვეთილი საცალფეხო ბილიკი – ქვა-კიბე ხელით გაუჭრი-  
ათ ლიქოკის პირველ მოსახლეებს. აი, სწორედ ეს ადგილია  
ძველმა ხევსურულმა ძარღვიანმა ლექსმა რომ უკვდავყო  
ჩემი მამაცი წინაპრების მიერ ზურაბ ერისთავის ლიქოკის  
ხეობის სიღრმიდან ოტებული ლაშქრის მწარე ხვედრი: „კიბეს  
ჩანურეს ლაშქარი, რო საკალმახე წყალიო!..“ ამ კარიბჭესთან  
მისვლამდე კი უნდა გადალახა საშიში ტარტიკაული.

(ამდენი კლდოვანი კარები მგონი იძლევა უფლებას ადგი-  
ლისათვის ეწოდებინათ საერთოდ „კლდის ძირი თუ ფეხი“).

ზოგიერთის მოსაზრებას კვლავ ჯვაროსნებთან მივყა-  
ვართ: ხომ არ იყო ის აქ შემოხეტებული ევროპელი რაინდი  
„ლიქოკის“ გვარისა, დღესაც რომ ატარებს ცნობილი და-  
სავლეთელი მწერალი შტეფან ლიქოკი. ეს სინამდვილეა თუ  
ფანტაზია მომავალ მკვლევართა გასარკვევი საკითხია.

ლიქოკი ისტორიულად (გეოგრაფია) მდებარეობს ქვემო  
ხევსურეთში, ე. წ. საარაგვოს რეგიონში (თანამედროვეებს  
რომ უყვართ თქმა). იგი შედგება ორი ხეობისაგან, რომლებიც  
მოქცეულია ხევსურეთისა და ფშავის მაღალი მთა-ქედების  
შუა. სოფლები ძირითადად განფენილია ამ მთების კალთებზე,  
ტყე-ველიან ზონაში, უფრო ჭალებთან სიახლოვეს. პირველი,  
მთავარი არის ლიქოკის ხეობა, ლიქოკისწყალი (ლიქოკურა),  
იგი ერთვის მდ. არაგვს ზედ ბარისახოს ძირზე და პერპენ-  
დიკულარის ფორმით მიიმართება სათავისაკენ, აჭის თავის,  
საქარის ქედისაკენ, საიდანაც გამოედინაბა და 10-12 კმ გავ-  
ლის შემდეგ ჩაედინება არაგვში, გზაზე შეიერთებს უამრავ  
ხევებს, განსაკუთრებით მარცხენა (ჩრდილის) მხრიდან (ბა-  
ქჩვილოს, ბეთენის, ბექურათ ახოს, ჭილჭათ ახოს, ხმელაგო-  
რის, ქვაბულოს ხევები). აქ განლაგებულია ლიქოკის მთავა-  
რი 6 სოფელი: აჭე (ორი უბნით), ჭალაის სოფელი, ბაქჩვილო,  
კარნაულთა, ქვაბულო და მალრანი. ამ ხეობის უმთავრეს თა-  
ვისებურებას და ღირსებას წარმოადგენს მინერალური წყლე-  
ბის (ვეძების) სიუხვე. აქ 20-მდე სხვადასხვა ხარისხისა და

შედგენილობის ვეძაა; განსაკუთრებით ზემო წელზე. როგორც მცოდნეები (ჩვენი უფროსები) აღნიშნავენ, ერთი მათგანი, ბასხაჯაურთის ხორხში მდებარე, გემოვნებით ბორჯომს არ ჩამოუვარდებაო. მათი აზრი კი სარწმუნოა, რადგანაც ერთი მათგანი ბაბუკა ჭრელიას ძე ლიქოკელი თვით ბორჯომის წყლის აღმომჩენი იყო. პირადად მე ბევრჯერ მომისმენია, „საღდათში ნამყოფმა როგორ „მახელა“ ტყეში ვეძის მიტალა<sup>1</sup>, დააგუბა, დაანმიდავა, დალია, ისიამოვნა უგემრიელესი ვეძით და „ბაკლაშკაით“ თავის აფიცრებასაც მიართვა, თან აუხსნა ყველაფერი – „რა და როგორ“. ასე გაიკვლია გზა ადამიანებისაკენ სახელოვანმა „ბორჯომმა“. მისმა ძმისწულმა გიორგი (გიგუა) გაგას ძე ლიქოკელმა („ლიქოკური კონტრრევოლუციის“ ერთ-ერთმა ლიდერმა) „48-ის სიაში“ პირველ ადგილზე ჩაწერა ბიძა ბაბუკა. ახლა ძნელი სათქმელია, კოპალამ, ილბალმა, ასაკმა უშველა მაშინ პაპა ბაბუკას ამ ფოლადის უანგიანი ძელივით გამართულ, ფოლადივითვე მტკიცე უბედო (უშვილო) კაცს, თუ ჩეკისტთაგანს აღმოაჩნდა რომელიმეს შეგნება და ადამიანური სული – იქნებ „ბორჯომის ფაქტის“ გათვალისწინებითაც, იგი „ჩეკისტურ სალხინებელს“ რომ გადაარჩინა.

მეორე, აკუშოს ხეობა, მდებარეობს პირველის პარალელურად, აღმოსავლეთით კარატისა და მისი მოპირდაპირე ფშავის (უძილაურთა-ცაბაურთის) ქედებს შორის. აქ განთავსებულია ლიქოკის თემის სამი სოფელი: აკუშო, კიმხი და ბულალაურთა. ეს უკანასკნელი ხევსურ-ფშაველთა საზიარო სოფელია. ისინი განლაგებული არიან კარატის ქედის აღმოსავლეთ – პირმზითის კალთებზე და ითვლებიან ფშავის მოსაზღვრე სოფლებად. მდ. აკუშურას მარცხენა მხარეს უკვე ფშავია.

---

<sup>1</sup> მიტალა – მინერ. წყალი გამოსასვლელი მიწის ზედაპირზე ტოვებს მკვეთრ ნითელ ფერს.

ლიქოკის, ამ მცირე ფართობის მქონე გეოგრაფიულ-ისტორიული მახასიათებლებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ მის თავდაცვით-საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობებს. ჩვენი კვლევისა და ინტერესების სფეროს განეკუთვნება აქ სისაურთა გვარის დამკვიდრებისა და ცხოვრების ეპოქა XVI-XIX საუკუნეები, რომლებიც საქართველოს ისტორიაში საერთოდ ცნობილია, როგორც ძნელბედობისა და მტერთა გამუდმებული თავდასხმების ეპოქა. ცხადია, ამ ტერიტორიის მცხოვრებთა მთავარი საზრუნავიც თავდაცვა იყო. ამიტომაც ციხე-კოშკების, გალავნების, თხრილებისა და ა. შ. სიმრავლე და სიმტკიცე. თუ მირიანისა და თამარ მეფისდროინდელი ერისთავებისა და ათაბაგების წარმართ ფხოველებზე შემოტევები ჩრდილოეთიდან უკვე შორეულ ისტორიად ქცეულიყო, ამ მხარის მოუსვენარი მეზობლების ქისტურ-ვანახურ-დიდოელ მეკობრეთა მუდმივი ყაჩაღური თავდასხმები და სამხრეთიდან ქართული ფეოდალიზმის შემოტევები, კერძოდ არაგვის ერისთავთა ძალმომრეობითი ლაშქრობები XVII საუკუნეში მოითხოვდა მაგარი ციხეების მშენებლობას. ხეობის სათავეში არსებულ სოფელ აჭეში, მის უბანთა შორის მდებარე მადაქვილოს გორზე იდგა სახელგანთქმული მადაქვილოს ციხე, ზურაბ ერისთავის ლაშქარმაც რომ ვერ აიღო. „მადაქვილოს გორ ციხეი ტარივით ესწებისაო“, რომ უმღერა მეისტორიე მთქმელმა და არც ციხის დარანში მსხდომნი ციხისთავის გელდიაურის ქალიშვილი – შუქო და თამარი დაივიწყა, თავი რომ შესწირეს მტერს მამა-ძმების გადასარჩენად. ციხე იცავდა სოფ. ბაქჩვილის მცხოვრებლებსაც. ქვაბულო-მადრან-აკუშის მოსახლეობა თავს იცავდა ამ სოფლების თავზე მდებარე მთაზე – ქუდნისლაზე მდგომი ციტადელი სამი ციხით, გარშემო ფართო და ღრმა თხრილით.

„მე წინავ გითხარ ზურაბო, კაცი ვერა ხარ ჭკვიანი,  
აკუშოს რად მიხვიდოდი ჯვარი ხყავ დავლათიანი,  
ახლოს მახკიდავ ქუდნისლა, შასაძახნებლად ტიალი,

მაღე მაუვლენ ლიქოკით მუხლიან-ამლათიანნი...“

...ბარე აქვე გავაგრძელებ ამ დრამის ფინალსაც...

„აკუშოს ლაშქარ დაეცა, ხმა ლიქოკ ჩავარდებოდა, საფეხვნოს ნასხდომ ვაჟებსა ქარ მუხლებს შაუჯდებოდა, სომეხასა და მინდოდას ნინ ვერვინ დაუდგებოდა, ბულნაცარ ამოდოდა, შუ ფარი არ ედებოდა, აკუშოს ღელეს შამახდეს, ხართ უღელ დაედებოდა...“

და მიიღეს მონანილეობა ზურაბის აზნაურების შემუსვრაში. ხმა კი სწორედ ბულნაცრის (ჩემი სოფლის ქვაბულოს ძველი სახელია) მიდამოებიდან „ჩავარდებოდა“ გადახნებით შალმა (ზემო) ლიქოკისაკენ. ხეობის გაღმა-გამოღმა ფერდობებზე განლაგებულ სოფლებს რამდენიმე „საძახებელა“ სპეციალური ადგილი ჰქონდა დაწესებული ექსტრემალურ ვითარებაში ინფორმაციის მისაწოდებლად. ჩვენი სოფლის ზევით ერთ მაღალ მთას სამზირთანაც ჰქვია... ხოლო სისვაურების აქ დასახლებამდე, ვინ იცის, რა ერქვა იმ სოფელს, რომლის ბოლ-ნაცარიც აქ მოიხსენიება (ბულნაცრის კვალს, ძველ ნასახლარ ხოლებს ვხედავდით ჩვენს მამულებში, რომლებშიც ნახშირის კომბულებს (მსხვილ ნატეხებს) ვპოულობდით. „ნეტა რან კაცნ იდგეს აქ მაშინ?“ იტყოდა ხოლმე მამაჩემი, სათიბ-სამკალზე დადლილები რომ ვისვენებდით ამ ხოლებში მდგარი უზარმაზარი ნიფლების ჩრდილში, მაგალითად, ნაჭრევიანში“ (ჩვენი სოფლის უბანია). ეს სახელიც ბევრი ფიქრის აღმძვრელია. ყველაზე ღრმა და მტანჯველი ფიქრების საფუძველი კი ბოლ-ნაცრად ქცევაა ქვაბულოსიც ე. წ. მშვიდობიან პერიოდში, სადაც ნახევარი საუკუნის წინანდელ 10 ხმაურიანი ოჯახიდან ღღეს მხოლოდ ერთი სახლილა დგას და ისიც არამუდმივი მცხოვრებით. როგორი ასატანია, ჩემი დიდი სახლის ყორეთა სამანქანე გზაზე ჩამონაშალს ვეხები, ხელში ვიღებ ქვებს, რომლებსაც უთვალავჯერ შევხებივარ მთელი სხეულით ჩემი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ დროს,

ბავშვობა-ყრმობის უამს. თითქოს თითოეულ მათგანს ვიცნობ! შეგიძლია მკითხველო ამ გრძნობის განცდა-გაგება?!

... აკუშოს კარს ჩრდილოეთიდან მტკიცედ იცავდა აგრეთვე ჯერ კიდევ ძველი ფხოვის საერთო კომბინირებული კოპალას სალოცავი და ციხებურჯი, ციხე-გორი. ციხე-გორობას დღემდე ლოცულობენ ერთად ლიქოკელნი და ფშავლები ათენგენობის დღესასწაულზე.

რაც შეეხება საკულტო-სარწმუნოებრივ შენობა-ნაგებობებს და ფუძე-სალოცავებს, ისინი, როგორც წესი, ყველა სოფელში იყო განლაგებული, თუმცა არაერთნაირი ძალისა და მნიშვნელობისა. ლიქოკში დომინირებდა კარატის ჯვარი. მისი მთავარი ჯვარ-ფუძე მდებარეობდა ჭალაის სოფელში (საზარე კოშკი-დარბაზი – საქვაბე, ფართო ქვის გალავნით შემოვლებული კერივი). მასში შესვლა დედროვანსა და უწმინდურებს (ნაჯალაფარი და სხვ.) ეკრძალებოდა. კარატის ჯვარი თავიდან იყო წარმართული სალოცავი კოპალა – დევკერპთა და ყველა სახის ქვეცრიელთა მმუსვრელი. ლალი-ლახტიანი, გმირი კოპალა (ასე მოიხსენიებოდა ხუცობა-სადიდებელში. ჩანს, მისი კულტი მოდიოდა წარმართობისწინა მზის თაყვანისცემის არსიდან. სამლოცველო განთავსებული იყო ლიქოკის ყველაზე მაღალი მთის უდელოს წვერზე (დღეს იქ დადგმულია ტელეანძა). აქ მთელი ლიქოკიდან და ხევსურეთის მაღალი ადგილებიდან ყველა ადამიანი შეჰყურებს როგორ დაეფინება ყოველ დილით ცხოველმყოფელი მზის ოქროსფერი სხივები ყველაზე ადრე. საოცარია, ღმერთს – ყველაფრის შემოქმედს ადამიანთათვის საგანგებოდ რომ შეუქმნია უმაღლესი მთის მწვერვალის კიდურზე 15-20 მეტრის სიმაღლის კონცხი. ამდენივე კვ მ ფართისა სამლოცველო კოშკის (საზარე, დროშათ დასაბძანებელი და შიგ სასანთლე შუკუნი ორივე მხრივ ღია) ასაშენებლად. ძნელია წარმოიდგინო უფრო დიადი რამ, ვიდრე საზარე კოშკის წინ ვერცხლის მდიდრული ყელსადებით, ვერცხლისვე

ყავარჯნით, ხელში მძიმედ შეჭურვილი ბაჯალლო ვერცხლის შავი ლუდით ავსილი სახუცო თასით ორი ხელით ძლივს რომ უჭირავს უძვირფასეს სამოსში გამონყობილ მკადრე ხუცესს, გვარში და თემში უალრესად პატივცემულ ასაკოვან კაცს (ჩემ დროს ჭრელიათ ბიძა იყო იგი) და ინყებს კომკის ზარისა და ლიქოკის ყველა სალოცავის დასტურთა მიერ აჟღერებული დროშების გამაბრუებელ ზრიალში: „დიდება მზესა და მზის მყოლ ანგელოზთ! დიდება დღეს დღესინდელსა და ძალს ღთისას!..“ და გუგუნებს სხვა ნმინდანთა და ანგელოზთა სადიდებელი. აღუნერელია გამალოცვისას, სალამო უამს კომკის შუკუნში ანთებულ ერთად შეკრულ, მრავალი სანთლის ალს რომ გამოსტყორცნის ნიავი და ცეცხლში გაახვევს მთელ კომკს და თვალდათვალ ხედავ, როგორ ინვის და იბუგება ცეცხლის გეენაში ყველა ავსული და უნმინდური.

ყველა ლიქოკელმა, განსაკუთრებით ახალგაზრდამ, ჩვენმა შთამომავლებმა ერთხელ მაინც უნდა იხილონ ეს საოცრება, თუ კიდევ შესაძლებელია დღეს. ეს ხდება კარატობა დღეს, ივლისის 20 რიცხვში.

\* \* \*

სისვაურთა დამკვიდრება ლიქოკში ასე ხდება.

სანაგი II-ის (ვუნოდოთ ასე) შთამომავალთაგან (მეორე თუ მესამე თაობა) ცნობილია სამი ძმა – ხუტი, ლივი და დათვია. სწორედ მათ და მათმა მემკვიდრეებმა შეაღწიეს ლიქოკში. პირველი ძმის შთამომავალთაგან (ნებიერულნი) დღეისათვის აღარავინ ჩანს – „ამასწყდეს!“ ლივი და დათვია კი იქცნენ თავის მხრივ საკმაოდ რიცხვმრავალ და ცნობილ ქვეგვარების „ჩალხურთა“ და „ხახიკაურების“ მამამთავრებად. ჩალხურები საბოლოოდ დამკვიდრდნენ სოფლებში ბაქჩვილოსა და კარნაულთაში. მათ ქვეყნის ისტორიას მისცეს საკმაოდ ბევრი ცნობილი სახელი. ეს იყო პირველყოვლისა ჩრდილოელ გად-

ამთიელ მეკობრეთა წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო გმირი აბა ჩალხური, თავისი ცნობილი „ბანარაულით“. ამავე გვარის შთამომავალი იყო ჩვენი წიგნის პირველი ნაწილის მთავარი პერსონა ლერენა ლიქოკელი. მათი შთამომავლები დღეს თითქმის აღარავინ ცხოვრობს ლიქოკში. ისინი გაიფანტნენ თელავის, დედოფლისწყაროს, ახმეტის, თიანეთის, დუშეთის რაიონების სხვადასხვა სოფლებში და ნებით თუ უნებლიედ ეგუებიან ცხოვრების ახლებურ პირობებს. შეიძლება აქვე ვთქვათ ორიოდ სიტყვა ამ „გაფანტულ“ შთამომავალთა შესახებაც.

**„ხელი გაიკრა აბამა ჩალხურიშვილმა ხმალსაო,  
განათდა „ბანარაული“ ცა წმიდად უცემს თვალსაო,  
კვერდს უდგას სახლისკაცები, ფშაველა უჭერს მხარსაო!..“**

უყვარდა ფანდურზე ლექსობა ჩვენს ძია გიგიას თავის წინაპარზე (გარდაიცვალა 50-იანი წლების ბოლოს). იგი სიყვარულით და რუდუნებით უვლიდა და ინახავდა ამ სახელოვან ხმალს და ასე დაუტოვა იგი შვილსა და შვილიშვილებს, როგორც უძვირფასესი სამემკვიდრეო რელიკვია. შვილმა გელა გიგიას ძე ლიქოკელმა უფრო ღირსეული ადგილი მიუჩინა მას. იგი სათანადო სერთიფიკატით უსასყიდლოდ გადასცა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, სადაც ინახება დღემდე.

თვითონ გელა ლოქოკელი, ჩემი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული ხევისური, ინტელექტუალი, იურისტი, პოეტი, იუმორისტი, ცნობილი თამადა და ა. შ. მუშაობდა სხვადასხვა რაიონში პროკურორად... მან ერთ-ერთმა პირველმა განწყვიტა გაბედულად პატრიარქალურ-კონსერვატიული ჩაკეტილობის მძიმე ჯაჭვი და საკმაოდ შეძლებული ოჯახის ერთადერთი ვაჟი წავიდა სკოლაში, რაც 30-იანი წლების დასაწყისში არ იყო იოლი საქმე. მოსწავლეობის პერიოდშივე აქვეყნებდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, მ/შ „კომუნისტშიც“ მაღალმხატვრულ ლექსებს. ახლაც, მძიმე ოჯახური ტრაგედიის გადამტანი (დაელუპა ორი ახალგაზრდა ვაჟი), 85 წლისა



ვაჟკაცურად უმკლავდება დღევანდელი ცხოვრების სიდუხჭირეს და მეუღლესთან ერთად ზრდის შვილიშვილებს.

სახელოვან ლიქოკელთა შთამომავლებზე საუბრისას არა გვაქვს უფლება დავივინყოთ იმ სამი ლიქოკელი ვაჟკაცის სახელი, საქართველოში ყველაზე პატარა გვარიშვილებმა, თავი რომ შესწირეს სამშობლოს დამოუკიდებლობასა და ერთიანობას აფხაზეთის ომში. ესენი არიან ძმები ზურაბ და გურამ ლიქოკელები, იმავე ჩალხურთა ნაშიერები და გოდერძი გიგუას ძე ლიქოკელი. მათ ხომ სხვა თანამებრძოლებთან ერთად წინასწარვე იცოდნენ, იქ რომ მიდიოდნენ, ამ მოსალოდნელი ფინალის შესახებ. ერის ისტორიაში სხვა ცნობილ წინამორბედებთან ერთად თითოეულ მათგანს ჰქვია „თავდადებული“. სწორედ ასე იქმნება ერის ნამდვილი ისტორია.

აქვე ვიტყვი, ჩალხურთა გარდა ლიქოკელების სხვა ცნობილ საქმეთა გამოც, თელავის მუზეუმშივე ინახება (ყოველ შემთხვევაში, XX საუკუნის 60-იან წლებამდე ასე იყო) მეორე, არანაკლებ ცნობილი ლიქოკელის, ძალლიკა ხიმიკაურის ხმალი, რომელიც ძალლიკამ მეფე ერეკლეს (მისივე თხოვნით) დაუთმო (გაუცვალა სხვა ხმალსა და თოფში) – „შენ უფრო ხშირად მაგინვეს მისი ხმარებაო!“.

იმავე საუკუნის 40-იან წლებში ჯერ კიდევ ინახებოდა სოფ. მისახში ლაგაზა ხოშარაულის სახლში ლეგენდარული წინაპრის ნადირა ხოშარაულის ხმლის ნატეხი, რომელიც ბახტრიონში 1659 წელს თათრის ხანის კარვის აკაფვისას გაუტყდა ხევსურთა ლაშქრის თავკაცს, რაზეც მოგვითხრობს ბებერი, მართლაც „გამზრდელი ლექსი“:

**„ხმალი ნადირას გაუტყდა, ხევსურნ, სხვა გამუცვლიანო,  
ნადირაის ხმლის ნატეხნი კარავის ბოძსთან ხყრიანო..!“**

სად არის ახლა ამ სახელოვანი ისტორიული ხმლის ნაშთი? სათანადოდ და სწორად არ არის ჯერ კიდევ შეფასებული ნა-

<sup>1</sup> ეს ამბები სათანადოდ აქვს აღწერილი ცნობილ პედაგოგს, ფილოლოგ გიორგი ლიქოკელს თავის სადიპლომო ნაშრომში, ჯერ კიდევ 40-იან წლებში.

დირას პიროვნება და საქმენი. დიდი დაუდევრობა და გულ-გრილობა გვაქვს გამოჩენილი ამ ისტორიული რელიკვიების დაცვა-შეგროვებასა და შეფასებაში არა მარტო თანამედებობრივად და კვალიფიკაციით ვალდებულ პერსონალს, არამედ თითოეულ ჩვენგანსაც.

დავუბრუნდეთ იმ თავდაპირველი სამი ძმის ისტორიას. ახოდან, მაშ, ისინი გადავიდნენ ლიქოკის ხეობაში და დამკვიდრდნენ ჭალაის სოფელში, შუბანში, ყველაზე კარგ, ნაყოფიერ უბანში, თავისუფალ მიწაზე. ეტყობა, აქ მაინცა და მაინც არ წამოჰყვათ ძველი სალოცავი „ხმალა“ და მოდგმის გამრავლების კვალობაზე ცხოვრების წესმა მოითხოვა რწმენისა და სულიერი სანყისის ახალი საფუძველი და, აი, „შუბანის მთავარი სახლის ქაზდარში (მინის იატაკზე) ამოვიდა იფნის ნერგი, რომელსაც თან გველიც ამოჰყვა“ – უტყუარი ნიშანი, რომ ადგილი ჯვარმა დაიჭირა და მცხოვრებლები უნდა აყრილიყვნენ. შემდეგ თანდათან ძლიერდება აქაური სალოცავი „კოპალა“ და ნელ-ნელა იქცევა ძლევა მოსილ „კარატის ჯვარად“.

ძნელი დასაჯერებელია ანდრეზის ზოგიერთი ინტერპრეტატორის ვერსია, რომ მათ აქ თათრული წარმოშობის ბაშხაჯაურთა (თავშიშველთა) გვარი დახვდა. ვფიქრობ, ეს გვიან წარმოშობილი სუროგატი – თქმულებაა. იყო ასეთების რეციდივებიც. ნამდვილი ანდრეზი ამბობს, რომ ბაშხაჯაურნი წარმოიშვნენ ომში ტყვედ წამოყვანილი თათრისაგან, რომელიც შეინყალეს – „ნუ მომკლავთ ძიმა ვარო“ – შეძახილის გამო. დაარქვეს მას „ძიმა“ – და მისი ცხრა ძე, (ცხადია, ცოლიც შერთეს) „ძიმისძენი“ ზურაბ ერისათვის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ: „საკვამატვილოს გადმადგეს ძიმისძენი ცხრანიო“. ეს, ცხადია, XVII საუკუნეა. სანაგის შთამომავლობა კი აქ XVI საუკუნიდან ჩანს.

1568 წელს მათ ხომ მუხრანში ილაშქრეს<sup>1</sup>. „ძიმა“ მოყვანილი უნდა იყოს ან ბახტრიონიდან (1659) ან ცოტა ადრე ყიზილბაშებთან რომელიღაც ბრძოლიდან. და მეორეც, თუ სისაურთა მოსვლამდე აქ იყვნენ, შუბანი, როგორც უკეთესი, რატომ მათ არ ეჭირათ.

შუბანიდან ოტებული ხალხი საცხოვრებლად ავიდა აჭეში. ეს იყო ძირითადად მესამე ძმის დათვისას მონაგარი. იგი დაუსიძვედა აქ და მთელ ხევსურეთში ცნობილ ბრძენკაცს მამუკა გელდიაურს, რომლის შესახებაც გვეუბნება კვლავ სათანადო ანდრეზი-ლექსი:

**„ჰკითხვედეს გელდიაურსა ანდრეზსა წინა-წინასა,  
ჯერ ჭკვას გამურჩევს მამუკა, არ გამგონისად რკინასა“.**

დათვისას შვილისა თუ შვილიშვილის ხახიკის შთამომავლობამ სწორედ აქედან გააგრძელა თავისი არსებობა-მოღვაწეობა. სოფ. აჭე იყოფა 2 უბნად: ბაცე და სატრედე. მათ შუა გორზეა მამული, რომელსაც დღესაც ჰქვია „გელდიაური“. საუბედუროდ, კახეთში, ზემო ხოდაშენში (ალბათ „ფხოვთაშენში“) მცხოვრებმა გელდიაშვილებმა ამის შესახებ დღეს აღარაფერი იციან. ეს ის მომენტი, როდესაც ადამიანები ივიწყებენ საკუთარ ისტორიას, რაზედაც ასე სწუხდა დიდი ილია. თქვენი ნებართვით, ჩემო მკითხველო, აქ ერთ პირად მემუარულ დეტალს ჩავურთავ. 1956 თუ 1957 წელია, თქვენი მონა-მორჩილი ამ სიტყვების ავტორი დგას თელავის რაიკომის მდივნის ამხ. ზ. გელდიაშვილის წინაშე სამუშაო ადგილის მთხოვნელი...

---

<sup>1</sup> მუხრანში სანაგის სანაგმა სანაგის საჯარეში, ლიქოკის მთაში შეგროვილი გიგაურ-სამხარაულის (დედულთა და ცოლეურთა) გაერთიანებული ჯარით ილაშქრა (როგორც მისმა ხმითმატირალმა დაატირა). ეს მოხდა 1568 წელს, როგორც მოიხსენიებს „ქართლის ცხოვრება“ და თედო ყორდანის „ქრონიკები“. ამ ბრძოლაში ფხოველებმა მოჰკლეს თვით მუხრანბატონი აშოთან ბაგრატიონი.

- კი მაგრამ, რალა მაინცდამაინც თელავის რაიონი ამოირჩიეთ სამუშაოდ, ხომ ხედავთ, რომ არაფერი ადგილი არა გვაქვს.

- ცხოვრებამ მოიტანა ისე, რომ ოჯახი აქ მოხვდა საცხოვრებლად; შიმშილით ხომ არ დავხოცავ მოხუც დედ-მამას. მე ხომ რაიმე თანამდებობას არ ვითხოვ.

- სად ხევსურეთი და სად თელავი, ეს ხალხი გაგაგიჟებს კაცს!

- პატივცემულო ზაალ, თქვენ იცით, რომ ლიქოკში დღესაც არის დიდი მამული „გელდიაური“?

მდივანს მიწისფერი დაედო სახეზე. არა მგონია ამ შეხსენებას ოპტიმისტური გრძნობები აღეძრა მის გულში. სინდისი არ მაძლევს უფლებას არ დავასრულო ეს პირადული გადახვევა. ყველა მდივანი ამ სტილისა და პრინციპების არ იყო, არც მაშინ. მალე მისმა შემცვლელმა სამუშაოც მომცა და თვით თანამდებობაც გამომინახა; მისი გვარი კი იყო ასათაშვილი...

დათვიას შთამომავლობა კი ასე ვითარდებოდა. მისი შვილი თუ შვილიშვილი იყო ხახიკი, რომელსაც აგრეთვე ჰყავდა 3 შვილი: ხუნჩალე, ხახონი და ოჩონა. ხუნჩალეურნი გაიშალნენ შალმა ლიქოკში ბლარა-ხიმისკაურ-ჭილჭა-დადლა-სუმბატა-ობოლა-ბულეჯანურთა ქვეგვარებად (მამიშვილობა), რომელთაგან ზოგი ამონყდა, ზოგი კი მიმოიფანტა აქეთ-იქეთ. ასევე იყო ოჩონას შთამომავლობაშიც. მათგან დღემდე არსებობენ ხელა - გეჯუდანანი ზოგი მთაში, ზოგი ბარში. მათგანი იყო ლიქოკური „კონტრრევოლუციის“ ერთ-ერთი მთავარი (დერენას შემდეგ) ლიდერი გიორგი (გიგუა) გაგას ძე ლიქოკელი; შთამომავლები ამჟამად ცხოვრობენ ძირითადად თიანეთის რაიონში. წინაპარი კი სწორედ ის ოჩონაა, აფრენილ როჭოს ხმლით რომ წარჰკვეთა თავი ჰაერში!

სისვართა (შემდეგ „სისაურთა“) ლიქოკში დამკვიდრების და გამრავლების შედეგად, როგორც ვხედავთ, დაიწყო

მათი ახალ გვარად გარდაქმნა და დანვრილერთეულება, ქვეგვარებად დაყოფა, საერთო საქვეყნო თავისებურებათა შესაბამისად. ვგონებ, ზედმეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვით ხევსურული გვარების გაჩენა-განვითარებასაც შევეხოთ საერთოდ.

XX საუკუნეში ხევსურეთში ძირითადად იყო ათეულზე ცოტა მეტი გვარი: არაბული, ჭინჭარაული, გოგოჭური, ნიკლაური, ლიქოკელი, გიგაური, ფიცხელაური, ალუდაური, ქეთელაური, ბურდული, ზვიადაური და კიდევ რამდენიმე უფრო მცირერიცხოვანი გვარი, რომელთა საცხოვრებელი არეალი თითო სოფლით შემოიფარგლებოდა. მათი სახელდება და წარმომავლობა უპირატესად ადგილობრივი ავტოქთონური შინაარსისაა, ადგილისა და ადამიანის სახელიდან მომდინარეობს. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეხება ქვეგვარებს (მამიშვილობას), რაიმეთი გამორჩეული პიროვნების სახელით სამი რომ დამკვიდრდა.

3 ძირითადი გვარის (არაბული, ჭინჭარაული, გოგოჭური) მახასიათებელი იყო რიცხვმრავლობა. თითოეული მათგანი მოიცავდა რამდენიმე სოფელს ან თემსაც. გენეტიკურის გარდა, მათი ერთიანობის საფუძველი ზოგჯერ იყო სარწმუნოებრივი ნიშანიც. ქრისტიანი კი ყველა იყო, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში, მაგ., მიგრანტი საცხოვრებლად არჩეული ადგილის სალოცავს ეყმებოდა და გვარსაც ამ ყმათას ღებულობდა. გვაროვნული კუთვნილების მთავარი საფუძველი ეს იყო. ქრისტიანობა კი აქ დამყნობილი იყო წარმართულ მრავალღმერთიანობაზე, თემურ სალოცავებზე. მათ იცოდნენ, რომ ერთი წინაპრიდან არ მოდიოდნენ, თუმცა მათშიც ვრცელდებოდა ის საერთო მთავარი პრიმიტიული ლეგენდა: „ყოფილან სამნი ძმანი არაბა, ჯინჭარა და გოგოჭა...“ (ქართოს, ჰაოს და კავკაზოსის ანალოგი), რაც XX საუკუნეში აღარავის სჯეროდა.

მრავალი ლოკალური გვარისა და თემის გამაერთიანებელი არაბულების საერთო გვარი, ძნელი დასაჯერებელია, რომ „არაბთან“ რაიმე კავშირში არ იყოს. ხომ იყო ძველი ხევსურული ანდრეზი გუდელას (ქვემო ბარისახო) არაბეთის ლაშქრის დგომის შესახებ. ამ მოსაზრებას ხელს უწყობს ორი სხვა არსებითი ნიშანიც: პირველი – გამრავლების ძლიერი, არაქრისტიანული ტენდენცია და მეორე – კანის ფერი. მეღია ფერ-ხორცის არაბული არ მინახავს, ხოლო სახილოელი, ოხერხეველი, ხიტალიონი და ა. შ. კაცნი ნაღდი არაბული ანატომიისანი იყვნენ.

ჭინჭარაული კი ნაღდად ქართული ჯინჭარიდან მოდის. სახელი „ჯინჭარა“ ჩვენ დროსაც ერქვა კაცს. მაშ, პირველი ჯინჭარა გახდა ამ გვარის მამამთავარი. მერე კი ამ გვარშიც მრავალი ქვეგვარები გაჩნდა პირაქეთ და პირიქით ხევსურეთში (აზუზ-ბერლოჭანანი, უჭკუანი, ყვირილაურნი, კოკოთიყანი და ა. შ.).

გოგოჭური, ძველი ფხოვური გვარია, რასაც ატარებდა XX საუკუნემდე ორივე ნაწილი ორად გაყოფილი ფხოვისა. ვაჟა-ფშაველაც ხომ წერდა – „ძირად გოგოჭურები ვართ“. დღემდე ჰქვია „გოგოჭურთა“ სოფ. ჩარგლის თავს – თხილიანთ ვაკეს. XIX საუკუნიდან კი მას მხოლოდ ხევსურები ატარებენ მთისა და ბარის სოფლებში (ჭორმეშავი, ბუჩუკურთა, გურო-გიორნმიდა თეთრწყლები – თელავის რაიონი და სხვ.). ბევრმა ფშაველმა (მაგ., ცაბაურთელმა გოგნელაშვილებმა) დღესაც იცის, რომ გოგოჭურთა შთამომავალია. თვით გვარის ეტიმოლოგია – ორი სანყისი: გოგო და ჭორი (ჭური) სარწმუნო ურთიერთკავშირშია. ძველად ქართულში „გოგო“ იყო გასათხოვარი ქალი, რომელთან ჭორიც (ჭოლ-საძრახავი) დიდ სიახლოვეს იყო, განსაკუთრებით ფშაურ სინამდვილეში. ნიშანდობლივია, რომ გვარს ეს „სამკაული“ გადაჰყვა ხევსურეთის სათავე სოფელში „ჭორმეშავშიც“. ისე, ამ გვარის შვილებს მექალთანეობა ჩვენს დროშიც ახასიათებდათ.

დანარჩენი გვარების უმეტესობა, როგორც სისაური (ლიქოკელი), ქისტაური, ფიცხელაური და ა. შ. ლოკალურობით ხასიათდებოდა, ერთი სოფლის ან თემის კუთვნილება იყო. ისინი ან ძველის განშტოება ან მიგრირებული არიან, რომელთაც დაეკარგათ საგვარტომო ანდრეზი და მინა-წყლის დაცვისა და სარწმუნოებრივი სამლოცველოების საერთო ინტერესების საფუძველზე მკვიდრდებოდნენ.

ხევსურული გვარების ერთი ძირითადი მახასიათებელი ის იყო, რომ, ჩვეულებრივ ყოველდღიურობაში, აზროვნებასა და საუბარში დიდი გვარები საერთოდ არ ფიგურირებდა, არც კი ახსენებდნენ. მთავარი იყო მამიშვილობა (ქვეგვარი) და მამა-შვილობა: კაკავანი, ბარისახვანი, ფაშურნი... არაბულთა გვარში; უჭკუანი, ხაშიანი, ფანდურანი... ჭინჭარაულებში; მეხარიანი, მისურაულნი, ქულინი... გოგოჭურებში; ხახონაურნი, ჩალხურნი, ობოლანი... სისაურებში და ა. შ.

პიროვნების, პერსონის აღნიშვნას კი პირდაპირ მამა-შვილობით მოიხსენიებდნენ და არა სახელ-გვარით: მგელათ გიორგი, გიორგით იმედა და ა. შ. ერთი მამიშვილობა დაახლოებით 7-8 თაობას აერთიანებდა, მერე კვლავ იშლებოდა (იყოფოდა). სისხლით ნათესაობაც (სახლისკაცობა-ბიძაშვილობა) ამ ქრონოლოგიას ემორჩილებოდა. ამის იქით, მაგალითად, დასაშვები იყო სისხლის შერევა... (ცოლ-ქმრობა). ერთ თაობას მამა ეწოდებოდა. მამიშვილობა (ქვეგვარი) დაახლოებით 3 საუკუნეს სძლებდა. „მეშვიდეს მამას ორთ“ – იტყოდა ხევსური. ამის იქით წინაპართა სახელების ცოდნაც სავალდებულოდ აღარ ითვლებოდა. ასე მაგალითად, სისაური XVI საუკუნიდან XX საუკუნეში იქცა ლიქოკელად. იგი შედგებოდა შემდეგი ქვეგვარებისაგან: ჩალხურნი, ხახონაურნი, ხუნჩალეურნი, ხელა-გეჯუდანანი, ბაშხაჯურნი (არასისაურნი).

ზოგი ქვეგვარი იყოფოდა კიდევ რამდენიმე მცირე მამიშვილობად, ზოგი კი სულაც წყვეტდა არსებობას, „ამასწყდებოდა“; ასე მაგალითად, ხუნჩალესაგან (ხუნჩალეურნი)

მოდინ ბლარანი, ხიმკაურნი, ჭილჭანი, ობოლანი, დადლა-სუმბატანი, მაგიერანი, კურეტნი და სხვ. ბულეჯანურნი კი XX საუკუნისთვის გათავებულნი იყვნენ. ხახონაურნი გაიყვნენ: გამიხარდინი, შუქიაურნი, უპერანგონი (მე-4 თაობის „უპერანგი“ ვარ მე) და ა. შ.

\* \* \*

გამრავლდა ლიქოკში (ჭალაის სოფელში) დამკვიდრებული სანაგის შთამომავლობა და, ცხადია, ეს ვინრო ადგილი (ჭალა) ველარ დაიტევდა. სამი ძმიდან ერთ-ერთს – დათვიას ცოლად ჰყავდა ზემო სოფელ აჭეში (გელდიაურში) მცხოვრები უკვე ნახსენები მამუკა გელდიაურის ქალიშვილი და მისმა შთამომავლობამ სოფ. აჭეს სხვა უბნებიც – ბაცე და სატრედე დაიჭირა. დათვიას ძმების, ხუტის და ლივის შთამომავლები ჭალაშივე და მის მეზობელ ბაქჩვილოში დამკვიდრდნენ. ბაქჩვილოდან გამრავლებულ ჩალხურთა ნანილი სოფ. კარნაულთაში ასახლდა.

დათვიას შვილის ხახიკის გამრავლებული შთამომავლობა კი თანდათან იკავებს ლიქოკის ტერიტორიის სხვა შედარებით თავისუფალ ადგილებს. ახალი ადგილების ათვისება ხდებოდა ძირითადად ტყის მასივების ახოებად გაკაფვის გზით (ობოლათ ახო, უპერანგოთ ახო, ფსითხ-ტინთის, მათი ჭალების და ა. შ.). ხდებოდა მეზობელი ტომების ერთეული (სუსტი) წარმომადგენლების ძალით განდევნაც. ასე განდევნეს ტინთის უბნიდან ფშაველი ამლალი ხახიკმა და მისმა შვილებმა. თანდათან ათვისებულ იქნა ლიქოკისა და აკუშოს ხეობათა ადგილები: კამურთა (ბლარანი), კეო-ქვაბულო (ხახონაურნი), ქვაბულოს ჩრდილი (ჭილჭანი, ბექურანი), ხმელაგორა-სახრინა (მაგიერა-პასუხანი), მალრანი (დადლა-სუმბატანი), აკუშო (მაგიერა, პასუხა, კურეტთაგან (ზურაბ ერისთავის მიერ სამხარაულთა განდევნის შემდეგ), კიმიხი (გეჯუდანანი) და ა. შ.



ახალი ადგილების დაკავებისას, ჩანს, არ ერიდებოდნენ თავისებურ დიპლომატიასაც მაგ., „ჯვარის ძალის“ გამოყენებას. მოგვიანებით, XIX საუკუნეში, ხახონაურებმა სოფ. კეოდან აიძულეს აქ მოსახლე ფიცხელაურები აყრილიყვნენ – „კარატის ჯვარი და ავი შუბნურიც არ გიხდენსთო“ – უკიუნიებდნენ ჯვარის მკადრე-ქადაგნი – სახლებში სანათურის ანთებასაც კი და აუცილებლად ამოგწყვეტსთო!“ – ისინიც მთლიანად აიყარნენ.

ასეთი და სხვა მსგავსი მიზეზებით იყრებოდნენ ხევსურეთიდან და მიდიოდნენ სხვაგან იგივე ჭინჭარაულები, სისაურები, ნიკლაურები და სხვა გვარებისა და ოჯახების წარმომადგენლები, მიუხედავად იმისა, რომ აქ იმ პირობებში ცხოვრება უფრო მიმზიდველი, თავისუფალი იყო.

სისაურთა საერთო გვარის ყველაზე მრავალრიცხოვანი მოდგმის მეთაური იყო ხახიკი. მისგან მოდიან ხუნჩალეურნი, ხახონაურნი, ხელა-გეჯუდანანი. ამათ შორის, თავის მხრივ, უფრო გამრავლდა ხუნჩალეს შთამომავლობა (ბლარანი, ხიმიკაურნი, ჭილჭანი, დადლა-სუმბატანი, ობოლანი, ბულეჯანურნი); ისინი თანდათან განაწილდნენ შალმა და გაღმა (ქვემო) ლიქოკის მთელ ტერიტორიაზე. მათ ბევრი ცნობილი სახელი მისცეს არაგვის ერისთავების, მუხრანბატონების, ბახტრიონის, ასპინძის, კრწანისის, ნიახურას და სხვა შინაურის თუ გარეშე მტრის წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს, თვით რუსული იმპერიული და კომუნისტური ძალმომრეობის პერიოდშიც. შორს წაგვიყვანდა მათი სახელების თვით ჩამოთვლაც კი (ჩაბაკის ივანეური, ბულეჯან და სუმბატა ლოხაურისძენი, მინდოდა და სომეხა, ბლარათ ძაღლიკა და მისი გაჟეკაურა, ჭილჭათ კვირიკა და ა. შ.).

ხახიკის ერთ-ერთი შტო იყო ხელა-გეჯუდანათა შთამომავლობა. რომელთაგან თუნდაც ორი წარმომადგენლის დასახელებაც კმარა. ერთი მათგანია ძველთაგან უკვე მოხ-

სენიებული ოჩონა (ხახიკის შვილი თუ შვილიშვილი); ხოლო მეორედ დავასახელებთ კომუნისტური ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების თვალსაჩინო წარმომადგენელს გიორგი (გიგუა) გაგას ძე ლოქოკელს, რომელზეც იმდენია ნათქვამი ჩვენი წიგნის პირველ ნაწილში, რომ მეტი აღარაა საჭირო.

\* \* \*

ახლა კი ხახონისა და მისი მონაგარის შესახებ. ქვეგვარები, ე. წ. მამიშვილობა ფიგურირებდა (იხსენიებოდა) ძირითადად ხევსურეთში. ყოველი ხევსური ამაცობდა თავისი მამიშვილობით. ჩვენი ქვეგვარი ხახონაური მოდიოდა ხახონ ხახიკის ძის – ხახიკის ხახონის სახელიდან. კარატის ჯვარის (ლიქოკური კოპალას) ჯვარიონნი ყოველ ათენგენობას მოილოცავდნენ თუშეთში გამწესებულ თავის ფილიალებს (თამარ მეფის დროიდან ფხოვიდან იქ მიგრირებულთა მიერ თან წაღებულს). კავკასიონის მთის თხემის გაყოლებით ეს შორი მოგზაურობები არ იყო უხიფათო. ასეთი სამლოცველო-სალაშქრო მსვლელობის დროს ლიქოკელთა ჯვარიონთ, 12 კაცს, XVIII საუკუნეში გზაზე, მთა ბორბალოს რაიონში, ნაროვანში თავს დაესხა ქისტური ლაშქარი (60 მეომარი). გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელშიც საბოლოოდ გაიმარჯვეს ლიქოკელებმა. ბრძოლაში თავი გამოიჩინა სწორედ მედროშე-დასტურმა ხახონმა, მოკლა ქისტების მეთაური, ლანგ ისთიბარი, თუმცა თავიც დადო. ბრძოლის დროს მან დროშა ტარით დაარჭო ბრძოლის ადგილზე, თან დაარისხა, „ვინც ამას გადმასცილებს სამტროდ სამ დღეზე მეტი არ იცოცხლოსო“. ესაა ფაქტობრივი სასაზღვრო სამანი ხევსურეთსა (საქართველოს) და ჩეჩნეთს შორის. შემდეგ აქ ქვის სამანი (კოშკიც) ჩადგეს. ხახონი იქვე იქნა დასაფლავებულიც. მას მანამდეც ჰქონდა

საგმირო საქმეები ჩადენილი. ისტორიულმა მეხოტბემ კი სათანადო ჰიმნი დაგვიტოვა ამ ფაქტზე:

**„ომია ნაროვანზედა, სისხლსა წვიმს, ზეთი დარია,  
ომობენ ხახიკაურნი პირშიშველანი ყმანია...“**

სიკედელსა ხახონისასა წყინობს კარატის ჯვარია...“ და ა. შ. ხახიკის ხახონი ცნობილი ისტორიული პიროვნებაა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ადრეულ ასაკშივე დაიღუპა მტერთან ბრძოლაში, გახდა ლიქოკელთა ერთ-ერთი მძლავრი და მრავალრიცხოვანი შთამომავლობის მამამთავარი. ისინი (ხახონაურნი – ჩემი საკუთარი ქვეგვარი – ი. ლ.), ჩანს, XVII საუკუნის დასაწყისიდანვე განანილდნენ ზემო და ქვემო ლიქოკის ტერიტორიაზე. აჭეში (ბაცეს) დამკვიდრდა ერთი შტო გამიხარდინი: თოთიას, ძიკურას, ბაძიას, ბაჭყის და მათი შთამომავლების სახით, მეორე შტო (ხახუნანი) გამოსახლდა ქვემო ლიქოკში (კეო-ქვაბულოში) და აქ შრომით, მოხერხებით და ძალის გამოყენებითაც თანდათან აითვისა და დაიმკვიდრა სასიცოცხლო სივრცე. შემდეგ, XIX საუკუნისთვის ისინი კიდევ გაიყვნენ ორ მამისშვილობად „შუქიასძენი“ და „უპერანგონი“. რადგან პერანგი გულთან, მართლაც ახლოა, გავზედავ და საკუთარ სისხლ-ხორცზე უფრო დაწვრილებით ვიტყვი.

ხახიკის ხახონიდან მოყოლებული (ჭირს დაზუსტება), რამდენიმე თაობა, ყოველ შემთხვევაში ორ-ორი ხახონი და ხახუნა (ჩანს სქემაშიც) მრავლდებოდნენ და დარჩა ქვრივი დიაცი შუქია (ქმრის ვინაობა უცნობია) ორი ვაჟით. გადარჩა ერთი, რომელსაც ერქვა შუნა. ამ ძმებმა მიიღეს სახელწოდება „შუქიასძენი“. ეს XIX საუკუნეა. შუნას ჰყავს ორი შვილი – ბაძიურა და დათვია. ცხოვრობდნენ უკვე ს. ქვაბულოში. პირველი, მთელი საუკუნე მოდის თითო შვილზე (ვაჟზე): მგელიკა, დათვია; მეორეს კი ორი ვაჟი ჰყავს – თოთია და ბიძურა; მათ კი – კვლავ თითო: ბაბუნა (ე. ი. დათვია, ტრადიციულად შვილიშვილს ერქმეოდა ბაბუნის – სულის სახელი) და მგელა. XX საუკუნეში კი დათვიას ორი შვილი (სულხანი და ჩალხა)

ბაბუას – ერთი (შიშია), მგელას – ორი (გიორგი და აბა). მათ, თავის მხრივ, ჰყავთ შვილები და შვილიშვილები.

ახლა უშუალოდ ჩემი ოჯახის სიცოცხლის ხე: II ხახუ-ადან იონამდე მოდის თითო გამოშვებით (ჩემდა სამარცხვინოდ, ვერ აღვადგინე) დათვია და იონა (იონანე). მისი შვილია მამუკა (იყო მამაცი, მოჩხუბარი კაცი და ერთ-ერთ ჩხუბში მთლად შემოეხა რა ტანზე პერანგი, გვიბოძა „უპერანგოთა“ ზედნოდება. მისი შვილი აძია კი იყო მშვიდი („ბერავა-კაცა“ – ასე იტყოდა მამაჩემი). თავი იმით ჩაწერა ისტორიაში, რომ ჰყავდა სამი ვაჟი (იშვიათობა ჩვენ გვარში) და ერთხელაც „ოხშამზედ გადმეატანნეს მამუკაისშვილს შინაო, ცალ ხელში დაშრა ხინკალი, ცალ ხელში სისვი რკინაო“. იყო ხევსურეთში ღამე სახლში მტრის მოულოდნელი თავდასხმის ტრადიცია. მას კი, იმ „ბერავა“ პაპაჩემს ხინკალიც ვერ გააგდებინეს ხელიდან, ისე ერკინებოდა რამდენიმე თავდამსხმელს! მისი შვილები: თოთია, თათარი, ჩაჩაური, მიუხედავად იმისა, რომ თოთიანი ამასწყდეს“, ეს ორი საკმაოდ რიცხვმრავალი მოდგმის მესვეური გახდა. თათარს ვყავდით სამი ვაჟი: მამუკა, გიგია, ივანე; ჩაჩაურსაც – სამი: ზაქრო, გიორგი, მინდია. მიუხედავად იმისა, რომ ძმა – შინშებს ორი (გიგია და მინდია) უძეოდ გამოგვაკლდა, შვიდი ხმლიანი მაინც გავურიეთ ლიქოკელთა ჯარს. ახლა მათ მონაგარს არ იკითხავთ? ღმერთსამც ნუ ებევერებიან!

ჩვენი განაყარი მესამე შტო, გამიხარდის შთამომავლობა, საცხოვრებლად დარჩა ს. აჭეში და XX საუკუნის ბოლომდე მომრავლდნენ აგრეთვე სამ შტოდ: პირველი – კიკოლეთ ხთისო, გივი; მეორე – ძიკურა-ხოლიგა და ბაძია, გიორგი ბაძიას ძე და ვაჟა გიორგის ძე; მესამე – ბაძია, ხთისია თავისი სამი შვილით: ბაბუა, ბიძურა და ლაგაზა, რომელთაც აგრეთვე ჰყავთ თითო მემკვიდრე. მომრავლდნენ, მაგრამ ისე, რომ ამ დროისათვის აჭეში და თვით ლიქოკშიც არც ერთი აღარ ცხოვრობს. გაიფანტნენ ახლომახლო რაიონებში.

\* \* \*

სხვა ლიქოკელ სისაურთა მოდგმისაგან ერთი განშტოებაა კიდევ მნიშვნელოვანი. ეს არის „ობოლათა“, მოდგმა. ჩვენთვის ცნობილი მათი წინაპარია ჟულაკი (ალბათ, XVIII ს.). მას დარჩა თათარი – „ობოლა ვაჟა“ (აქედან „ობოლანი“) და დაეხედა რიცხვნაკლებობა. თათარს ჰყავდა შვილი ჯარია, მას კი, თავის მხრივ, ორი: ჯარია და ახალა. ამ უკანასკნელს მალევე ამოუწყდა ძმა-ბიძაშვილთა შთამომავლობა და მთელი საუკუნე „გადიოდეს ერთ კაცზე“: ახალა, გიორგი, ნადირა, დათო. ნადირამ კი, როგორც ერთ-ერთმა ჭკვიანმა და მტკიცე ლიქოკელმა, გადანყვიტა, გვეყო ამდენი ობლობა და შეარჩია ჯერ ცოლი და მერე რძალი ხელკაციათა გვარებიდან (ქეთულაურები და არაბულები), იცოცხლა მანამდე (გარდაიცვალა 85 წლისა), სანამ არ მოესწრო ხუთ შვილიშვილს, რომელთაგან ოთხი ვაჟია (უშიშა, კახა, გიორგი, მამუკა დავითის ძენი) და არ მიეცა ამაყი განცხადების გაკეთების უფლება: „უკვე აღარა ვართ ობოლანი, ახლა მრავალნი ვართ!“-ო. ნეტავ ნადირასავით ყველა ქართველი ხვდებოდეს, რომ სულაც არაა სახუმარო ტენდენცია ეს სენტენცია!

\* \* \*

ასე მოვიდა ჩვენი მრავალ ჭირ-ვარამგადანაყარი მოდგმა XX საუკუნემდე და მიიღო კიდევ ახალი გვარ-წოდება „ლიქოკელი“.

ამ ძნელ გზაზე მან მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩანერა ერის ისტორიაში. თუ პირველ ხანებში წინაპრებს ინდივიდუალური (პიროვნული) საგმირო-სამამაცო საქმეების შესრულება უხდებოდათ გარეშე და შინაურ მომხდურთა მოგერიებისას ან თვითონაც დავლაზე გასვლისას ხევსურთა

საერთო ლაშქრის ორგანიზატორ-მეთაურები იყვნენ, მომდევნო საუკუნეებში (XVII-XVIII) საკმაოდ ძლიერ, მრავალრიცხოვან გვარად გადაქცევის შემდეგ იგი, ყოველ შემთხვევაში, მისი რაზმები, სისტემატურად მონაწილეობდნენ არა მარტო სათემო-სატომო ლაშქრობებშიც, არამედ საქვეყნო, ისტორიულ ბრძოლებში, მეფეთა ომებში. მათზე ცნობები შემოგვინახა არა მარტო ხალხურმა გადმოცემებმა, ლექს-სიმღერებმა, არამედ ცნობილმა წერილობითმა ისტორიულმა ქრონიკებმა.

არის ასეთი უძველესი ხევისურული ლექსი:

**„შენ იქ ვერ ახოლ ცუდაო,  
სადაც ჯიხვ დაოს რქიანი,  
მოხეს სისვაურთ დანალევს,  
ვაჟ უნდა წრიაპიანი...“**

ეს ქრონიკა ასახავს ხევისურეთისა და ქისტეთის საზღვარზე, კავკასიონის მაღალ მოხის მთაზე სისვაურთა მცირე და ქისტების უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფების შეჯახების ფაქტს. ხევისურები ამონყვეტილან, მაგრამ ლექსის სენტენცია მათ სიმამაცეს ამჟღავნებს.

XVI საუკუნის (1561 წ.) ისტორიულ ფაქტს გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“ ფხოველთა მცხეთა-მუხრანის მიდამოებში თარეშის შესახებ. ამასვე ეხმიანება ხევისური დიაცის ხმით ნატირალი:

**„ახოს წაიქცნეს ალვის ხენიო,  
სანაგის სანაგმ დაიძინაო,  
გიგაურ-სამხარაულის ლაშქარს  
ვინალ შავიყრიდაო,  
ან მუხრანს ვინალ გაღბერევდაო“...**

ამ შემთხვევაში სანაგის ფხოველმა (იგივე ხევისურმა) მოლაშქრეებმა ქართლის ერთ-ერთ ძლიერ ფეოდალს აშოთან მუხრანბატონს (ბაგრატიონს) შეუტიეს, ალბათ, ვალის გადახდევენების მიზნით, და სძლიეს კიდეც. ამ ბრძოლაში დაეცა

აშოთან ბაგრატიის ძე. ხევსურები დიდი ნადავლით გაბრუნდნენ. ე. ი. თვით მუხრანის ველზეც დათარეშობდნენ ისინი...

არა მგონია ვცდებოდე ლექსის – „მედ ყივჩალ შავიყარენით სამზღვარსა მუხრანისასა...“ და მისეული ფაქტის ხევსურულთან ასოციაციაზე ფიქრისას.

მეტად მდიდარია ხევსურული გადმოცემები და ფოლკლორი ნუგზარ და ზურაბ არაგვის ერისთავთა უთვალავი სისხლისმღვრელი თავდასხმების გმირული მოგერიების შესახებ XVII საუკუნეში. თვით ლიქოკში რამდენჯერმე ილაშქრა ზურაბ ერისთავმა დიდი მსხვერპლის და მარცხის საფასურად...

**„დაჯე, დაგვეხსენ ზურაბო, ნარჩომნ ვართ შენის  
ხმლისანი,  
თორ ჩვენაც გვეპოვებიან ხოჯეგნი მალლის მთისანი,  
მაგვივლენ პირიქითელნი ნაპირის ადგილისანი,  
მამუკას ქალუნდაურსა შუქნ მახყვებიან მზისანი,  
ბეგენ-გორ ჩამაენივა, ყმან ჩაჭრნა ზურაბისანი.“**

არაგვის ერისთავებთან შერკინებას ქრონოლოგიურად (XVII ს.) მოსდევს ბახტრიონის გმირული ეპოპეა მასში მონაწილე სისვურებით და სათანადო ჰიმნი ექსპრომტებით:

**„ხმალი ნადირას გაუტყდა,  
ხევსურნ სხვას გამუცვლიანო,  
ნადირაის ხმლის ნატეხნი  
კარავის ბოძთან ხყრიანო...“**

XVII-XVIII საუკუნეებში ლიქოკელები და საერთოდ ხევსურები საქვეყნო ლაშქრობებში მიდიოდნენ ჯგუფურად, მტკიცე რაზმებად შეკრულნი სალოცავი ხატების პერსონალითა და დროშებით (ზარი-ბორაყებით) აღჭურვილნი. ლიქოკელებს მიუძღოდათ მებრძოლი კარატის ჯვარის დროშა – დევების მმუსვრელი ლალი ლახტიანი გმირი კოპალას ძალისა და მადლის სიმბოლო. გაჟეკაურა ერქვა ამ ბორაყს.

თანდათან ძლიერი და წარმომადგენლობითი ხდება ლიქოკელ სისვანურთა რაზმები მეფე ერეკლეს ლაშქრობებში ასპინძაში (1750 წ.), კრწანისში (1795 წ.) და თითქმის ყოველწლიურ ლეკ-ჩეჩენთა თავდასხმებში. მათ წინამძღოლობენ ისეთი სახელოვანი გმირები, როგორც იყვნენ ძალლიკა ხიმიკაური, აბა ჩალხური, ძმები სუმბატა და ბულეჯან ლოხაურის ძენი.

როგორც ცნობილია, კრწანისის ომის დროს ხევსურნი ორ ნაკადად (ცხენოსანნი და ქვეითნი) ეახლნენ ერეკლეს. აჭიონი ლოხაურის შვილნიც დანაწილდნენ ამ ჯგუფებში. პირველ ჯგუფში იბრძოდა ცხენოსანი ბულეჯანი და გახლდათ ერთ-ერთი 300 არაგველთაგანი. სუმბატა კი 2-3 დღის შემდეგ უწინვალთან მუსრავს სხვა თანამოძმეებთან ერთად ალა მაჰმად ხანისეულ მადევარ რაზმს. შემდეგ იგი სათანადო ლექსით დასტირის დაღუპული ძმის ბედს და მოიხსენიებს მის უპატრონოდ დარჩენილ ცხენს, რომელმაც პატრონის ძებნაში ქალაქიდან ლიქოკამდე უმხედროდ გაიკვლია გზა.

ამ ამბებთან მჭიდრო კავშირშია ერეკლეს მუდმივი მცველი შვიდეულიდან ერთ-ერთის, ძალლიკა ხიმიკაურის ხმლის ისტორია და მისი ურთიერთობა ერეკლე მეფესთან.

არანაკლებ სასახელო და დრამატული იყო ლიქოკელთა მონაწილეობა XIX-XX საუკუნეების პატრიოტულ ბატალიებში. XIX ს-ში ლიქოკელთა ძლიერი რაზმი მონაწილეობდა ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლეს ძე) რუსებთან ბრძოლებში, განსაკუთრებით ნიახურას (კახეთში 1812 წ.) ომში. აქ ლიქოკელებს მეთაურობდა კარატის ჯვარის დასტური ბლარა ხახიკაური გაყეკაურათი მხარზე და ხმლით ხელში. საუბედუროდ, ქართველები დამარცხდნენ, ბლარა დაეცა ბრძოლის ველზე, გაყეკაურა კი დაიკარგა. ამ ფაქტს საგანგებოდ მოიხსენიებდნენ ღვთისმსახურების დროს კარატის ჯვარში და მიიჩნევდნენ ლიქოკის უბედურების ნიშნად.



XX საუკუნეში კი (1922 წ.) ლიქოკელთა ყველა ხმლიანმა მოყმემ (თვით 17-18 წლის ყმანვილებმა) თავგანწირული ომი გადაიხადა რუსი კომუნისტების წინააღმდეგ, განსაკუთრებით აკუშოს ბრძოლის დროს (ამის შესახებ დანვრილებით შეგიძლიათ იხილოთ ჩემს წიგნში „ხევსურები და ქაქუცა“, 2006 წ.).

\* \* \*

კვლავ „სიტყვასა ჩვენსა მოვიდეთ...“

გვარი, „ლიქოკელი“ როგორც ვხედავთ, ადგილის (ტერიტორიის) სახელიდან მომდინარეობს. იყო ტერიტორია ლიქოკი, მთელი ხეობა აჭე-ხახმატის გამყოფი საქარის ქედიდან სოფ. ბარისახოს ძირზე გამავალ მდინარე არაგვამდე, თავისებური ქვაბული ხევსურეთის თვალსაჩინო მთებით კარატე (აღმოსავლეთით) – ნახალეთი (ჩრდ. დასავლეთით) შემოზღუდული. აქ დამკვიდრდა ძლიერი კომპაქტური მოდგმა, რომელმაც სრულიად დამსახურებულად მიიღო ეს გვარიც, წარმოიშვა ახალი, ლიქოკის თემიც. მან თანდათან დაიკავა მეზობელი აკუშოს ხეობაც; იქცა ფშავის ბუნებრივ მოსაზღვრე მეზობლად. მაშასადამე, მან დაიჭირა, როგორც იტყვიან, მთელი მთა-ბარი საირმიადან (ლულის ძირი) ორწყლამდე.

ახალი გვარის წარმოშობას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი XX საუკუნეში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ. 30-იანი წლებიდან ხევსურეთშიც იწყო ფეხის მოკიდება ახალმა ცივილიზაციამ, მართალია, კომუნისტურმა, მაგრამ წინა ეროვნული კულტურის ფესვებზე დაფუძნებულმა. ბარისახოში ჯერ გაიხსნა დანყებითი ტიპის სასწავლებელი, 1935 წლიდან კი – საშუალო სკოლა. შეგნებულმა ხევსურებმა გაბედულად ნაიყვანეს სკოლაში შვილები. ამ საქმეშიც ერთ-ერთი პირველები და მრავალრიცხოვანნიც იყვნენ ლიქოკელები. მათ ბავშვებს რაიმე ან-

კეტირებისა და დოკუმენტაციის გარეშე პირდაპირ წერდნენ სიებში „ლიქოკელი“ (რა დამავინწყებს ჩემი ცხოვრების პირველ ბედნიერ დღეს, როდესაც სკოლის პირველმა დირექტორმა, ღრმად პატივცემულმა გაბრიელ ბალიაურმა პირველი ქათქათა ქალაღდის, სანერი საშუალებების, ფერადი სახატავი ფანქრების, სურათებიანი წიგნების დამნახავს ამისრულა მრავალი უძილო ღამისა და ღმერთისადმი ხვეწნის ნატვრა და 6 წლისა ჩამრიცხა 0 კლასში. რა დამავინწყებს, თუ რა ხალისით და სიამაყით ვპასუხობდი ყველას, რომ ვსწავლობ 0 კლასში, ან იმას თუ, რა არაქათგამოცლილი და გამოთაყვანებული მივედი პირველი დღის საღამოს სახლში, ათობით აბეზარი, მოზრდილი ბიჭის დამცინავ კითხვაზე „რა გვარის ხარო?“ – სათითაო პასუხით – „ლიქოკელი-ო“ – (ვლაპარაკობდი ნელა, ტკეპნია – ჩამარცვლით, სასაცილოდ)).

სასკოლო ჟურნალებიდან გვარი, ბუნებრივია, შემდეგ გადაგვყვა დანარჩენ პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტებშიც. ყური და ცნობიერებაც შეეჩვია ახალ ტრანსკრიპციას და გავხდით ლიქოკელები. ჯერ კიდევ ძველი ხევსურული ზეპირი მეტყველებაც ხომ ასე გვინოდებდა. გვარს ძველი ფორმით „სისაური“ 50-იან წლებში ატარებდნენ მხოლოდ ლიქოკიდან სხვაგან (ბარში) გადასული ჩვენი თანამოძმენი; დღეს კი მათი ნაშიერნიც ლიქოკელები არიან, გარდა იმათი, რომელთა წინაპარნი საუკუნეთა წინ წავიდნენ ისტორიული სამშობლოდან და შთამომავლებმა კი ანდრეზიც დაივიწყეს, რაც, არა მგონია, სასურველი იყოს.

ლიქოკელთა გვარის აღზევება დაიწყო XVI საუკუნიდან, როდესაც სანაგის სანაგი, მისი სანათესაო გიგაურ-სამხარაულთა გვარების და სხვა აქტიურ ხევსურთა გაერთიანებულმა მხედრობამ იწყო ძლევამოსილი ლაშქრობების მონყობა მუსლიმანური ჩრდილოეთის და ძალმომრე ქართველი ფეოდალური მამულების წინააღმდეგ მათივე აგრესიის საპასუხოდ და აღსაკვეთად. ამ დამსახურებათა ჩამოთვლით

დაიტირა ხევსურის ხმით მატირალმა დიაცმა სანაგი შემდგომში, მისი სიცოცხლის დასასრულს. ცალკე უნდა აღინიშნოს ლიქოკის ჯვარ-სალოცავების როლი და ადგილი ხევსურთა საერთო სულიერებაში. XVI-XVII საუკუნეების დევ-კერპთა მმუსვრელი ლალი, ლახტიანი გმირი კოპალა და იახსარი XVIII-XIX საუკუნეებში იქცნენ საერთო უძლეველ „კარატის ჯვარად“. მას ერთადერთს მიენიჭა უფრის (ავი სულების) დაჭერილის დაკოჭვით განთავისუფლების და ტრაგიკულად დაღუპულის სულის გამოსხნის ფუნქცია.

გვარი მტკიცედ მკვიდრდებოდა ადგილზე, მრავლდებოდა, იკრებდა სარწმუნოებრივ ძალამოსილებას, ხდებოდა ხევსურეთის ერთ-ერთ ნამყვან სამხედრო-სოციალურ ძალად. ლიქოკელთა უფროსები კაცთკითხულ კაცებად იქცნენ, ვაჟები კი კრძალვისა და მიბაძვის საგნად – „ბედინანიმც დაჯდების ლიქოკ-ლიქოკელთ ჯარზედა, სათავეს უსხენ უფროსნი, აჩქამდებიან ჭკვაზედა, ბოლოში ახალ-უხლები, ხელი მიუდისთ ხმალზედა...“.

ხევსურეთში ჩნდება და მკვიდრდება ცნებები: „ლიქოკელთ უთქომ“, „ლიქოკელნ მავიდეს!“, „ლიქოკურ ფერხისული“, „ლიქოკურ სათამაშო“, საპატიო და პრესტიჟული ხდება ლიქოკ-ქალის გათხოვება და იქაური რძალი. სარისკო კი ლიქოკელთა ქალის დანუნება, რადგან ლიქოკის სალოცავი (კარატის ჯვარი) არავის აპატიებს ამას! ტრაგიკულად დაღუპულთა „სულთმასხმაც“<sup>1</sup> ხომ მისი ფუნქციაა!

სისაურების ლიქოკის ტერიტორიაზე დამკვიდრების შემდეგ, შეიძლება ითქვას, ეს გვარი პირაქეთ ხევსურეთში მთავარ საბრძოლო ძალად იქცა. ამის დასტურია ციხესიმაგრეთა სიმრავლე. თუ მანამდე მათი მთავარი ფორპოსტი იყო ხმალა-შურისციხის საღვთო-თავდაცვითი ციტადელი, ლიქოკის ხეობაში მათ ააშენეს ისეთი შეუვალი ციხეები, როგორიც

<sup>1</sup> სულთმასხმა – ქრისტიანული ჯვარის მიერ სულის გამოსხნა ჯოჯოხეთიდან.

იყო მადაქვილოს ციხე სოფ. აჭეში, ბაქჩვილოს (ჩალხურთა) ციხე, ქუდნისლის სამციხიანი კომპლექსი და ძველი ფხოვური ციხე-გორის სიმაგრე-სამლოცველო, რომელსაც ერთნაირი ნაყოფიერებით იყენებდნენ ახალ დროშიც ფშაველ-ხევსურნი აკუმოს ხეობაში. მთელ პირაქეთ ხევსურეთში არ იყო ამ რაოდენობისა და სიმტკიცის ციხე-კოშკები.

ამით აიხსნება, რომ არა მარტო აქ, მთიანეთში, არამედ მთელ საქართველოშიც XVI-XX საუკუნეებში თითქმის ყველა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენაში უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა ლიქოკის ჯვარი და კაცი. ამის შესახებ უხვად მოგვეპოვება ხალხური გადმოცემები, ანდრეზები, ლექს-სიმღერები და თვით ოფიციალური დოკუმენტური მასალები. ყველაზე მდიდარი მონაცემებია არაგვის ერისთავთა (ნუგზარის, ზურაბის) ამაოხრებელი ლაშქრობების ირგვლივ ფშავ-ხევსურეთში და სამჯერ საკუთრივ ლიქოკში, XVII საუკუნის პირველ ნახევარში. ლიქოკელები იყვნენ ბახტრიონის (1659 წ.), ასპინძის, კრწანისის, ნიახურას, შამილის ომების ცნობილი მონაწილენი სხვა ხევსურებთან ერთად და, რა თქმა უნდა, უამრავ ოს-ინგუშ-ლეკ მეკობრე-მტაცებელთა მოგერიება-სადამსჯელო ბრძოლებში. დღემდე ახსოვს ხევსურთა შთამომავლობას (და არა მარტო ხევსურთა) ამ ომებში თავგამოჩენილი გმირების სახელები: ორივე სანაგი, მამუკა გელდიაური, ჩაბაკის ივანეური, სუმბატ და ბულეჯან ლოხაურის ძენი, ხახიკის ხახონი, აბა ჩალხური, ძალლიკა ხიმიკაური, ბლარათ ძალლიკა (გაჟეკაურას მედროშე) და ა. შ.

რადგან უკვე მოხსენიებულ ანდრეზ-ექსპრომტებში პირველ ადგილზე დგას ჭკვა-სიბრძნე („ჯერ ჭკვას გამურჩევს მამუკა... „სათავეს უსხენ უფროსნი, აჩქამდებიან ჭკვაზედა“... და სხვ.). ეს ნიშნავს იმას, რომ გვარის სიძლიერე, სიმტკიცე, მძიმეწონიანობა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნებოდა და იქმნებოდა სიბრძნეზე, გონიერებაზე დაყრდნობით, ჭირთა თმენით, ნებისყოფის წრთობით, იოლი წარმატების არძებნით;

თანამედროვე ტერმინით რომ გამოვხატოთ, პოლიტიკური ნების გამომუშავება-გატარების უნარის ქონით.

მრავალრიცხოვანობით რომ არ გავამსუბუქო სერიოზული სათქმელი, აქ მხოლოდ ორ კაცს დავასახელებ. ესენი იყვნენ დათვით გიორგი და ბაძიურათ მგელიკა. დათვით გიორგი (ალბათ, XVIII საუკუნე), როგორც იტყოდნენ ჩვენი უფროსები, ცოდნითა და თავდაჭერილობით, მორწმუნეობითა და თავმდაბლობით, ქალ-ზალსა და სუსტისა და ბეჩავისადმი მხარდაჭერით გამორჩეული კაცი ყოფილა. მასთან მიდიოდა ყველა ჭკვისა და რჩევის საკითხავად. სასმელში და დედროვანში თავშეკავებით გამორჩეული, მის სიტყვას, პრინციპებს სწავლობდნენ, იხსომებდნენ და იცავდნენ თაობები, რა თქმა უნდა, უფროსების მოთხოვნით.

ბაძიურათ მგელიკა (XIX-XX სს-ების მიჯნა) საქართველოს ისტორიაში (განსაკუთრებით მედიცინის) ფართოდ ცნობილი პიროვნებაა. ლურსმნის თვითნაკეთი ხვენითა და ხის ხმალიკით რომ აკეთებდა თავის ქალის ტრეპანაციას და ადგილობრივი ბალახებისაგან თავისი ხელით დამზადებული წამლებით არჩენდა ნაჭრევიანებს. ამაზე მეტს არ ვიტყვი, უჩვენოდაც ბევრია ნათქვამი...

იგი იყო უნიკალური ადამიანი, ბრძენკაცი. არა მარტო ძველი ამბების (ანდრეზების) უბადლო მცოდნე, არამედ მათი აქტიური გამავრცელებელი, მასწავლებელი. უმცროსებს პირდაპირ ავალდებულებდა: „იყურიდით (ისმენდით), დაისწავლიდით და სხვებსაც ასწავლიდით, არა დაიცვილათ (დაივინყოთ)“.

იგი არ იწონებდა თავისი შვილის დათვის (სამი დის ერთადერთი ძმა) ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებას: სამი მთავრობა გამოვიცვალეთ (ნიკოლოზი, მენშევიკები, ბოლშევიკები) სამივეს გადაუდგა. მაშ, როგორი მთავრობაა უნდა? – იტყოდა ხოლმე. აქ ღმერთი იყოს მამა-შვილის პოზიციათა განმსჯელი! მამა-შვილობაშიც – გამოავლინა უნიკალურობა:

დათვიამ თავი დაანება უფროს ცოლ-შვილს ისე, რომ მზექალი ფეხმძიმედ იყო მეორე ბავშვზე. ყაჩაღმა ტყიდან შემოთვალა: „მააშორეთ სახლიდან, ბიჭი არ გაატანოთ. მეორე თუ ქალი ეყოლება, რაც უნდა ის უყოს, თუნდაც წყალში გადააგდოს!“

მგელიკა პაპამ მშვენივრად იცოდა იმ ჩვენი დიდი ბრძენის შეგონება – „რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა!“. გონებამ კი უკარნახა წასულიყო სახლიდან (ქვაბულიდან), წაეყვანა უფროსი რძალიც შვილებით (მეორე სწორედ ქალი-ნათულა გაჩნდა), აეშენებინა ახალი სახლი ტინთის ძირს ჭალაში, არაგვისპირზე, 7-8 კმ-ზე ქვაბულოდან. აქ ადგილსაც დაიმკვიდრებდა, რომელსაც ელამუნებოდნენ არაგვისგალმა არაბულები და ბავშვებსაც თავისუფლად აღზრდიდნენ, რაშიც სრული იმედი ჰქონდა დიდი ნებისყოფის და ენერჯის მქონე რძლის, უჭკუათ გოგოთურის (მეორე ცნობილი ხევსურის) ქალის მზექალისა. ეს იმედები მთლიანად გამართლდა. დათვიამ კი მეორე ცოლი მოიყვანა და კიდევ ორი შვილი (ქალ-ვაჟი) შემატა თავის გვარს, ვიდრე კომუნისტები მოუღებდნენ ბოლოს.

მგელიკას ბრძენკაცობა დასტურდება კიდევ ერთი, ამ კონკრეტულ საქმეთაგან განსხვავებული, ინტელექტუალური სფეროს ნამოღვაწარით. ჩემთვის ცნობილია მისი 3 ზეპირი ნოველა, იუმორესკა. ამ მცირემცოდნე კაცმა (დარწმუნებით შემოძლია ვთქვა, მას არც ნიკო ლორთქიფანიძის და არც დავით კლდიაშვილის მოთხრობები ჰქონდა წაკითხული) წინამორბედის გარეშე შეძლო არა მარტო სრულიად ნორმალური ლიტერატურული ნაწარმოებების, არამედ თვით ჟანრის შექმნაც.

ორი მათგანი დასცინის მოძველებული ხევსურული ადათის – სწორფრობის ინსტიტუტს და მის საჩოთირო ნიუანსებს, მესამე კი ბატონ-მოჯამაგირეთა დამამცირებელ ურთიერთობებს, ფართლის (ჩითის) ტანისამოსის უღირსობებს უსვამს ხაზს (ფსევდოცივილიზაციის გაკილვა).

როგორ ცხოვრობდა ლიქოკელთა გვარი XX საუკუნეში? 20-იან წლებში მის 8 სოფელში (აჭე, ქალის სოფელი, ბაქჩვილო, კარნაულთა, ქვაბულო, მალრანი, აკუმო, კიმხი) ცხოვრობდა დაახლოებით 250 კაცი. ამ წლებში დაიწყო თითო-ოროლა მოსახლეთა ბარში ჩასახლება. შედარებით კომპაქტურად ჩასახლდნენ (მომდევნო წლებში) თელავის რაიონის თეთრწყლებში (სალების უბანში), თიანეთის რაიონის ს. ჯიჯეთში და ზენამხარში ან შარახევში.

ძირითადი მოსახლეობა რჩებოდა ლიქოკის ხეობაში და აგრძელებდა ტრადიციულ ყოფა-ცხოვრებასა და მეურნეობას. მათ სხვა ხევსურებთან ერთად ნაკლებად ეხებოდა საქართველოში 1921 წელს დაწყებული ახალი სოციალური (საბჭოთა) წესწყობილება, რაც გამონვეული იყო სისტემისადმი ხალხის მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულებით. როგორც წიგნის პირველ ნაწილში იყო აღნიშნული, ხევსურეთმა სერიოზული თავდაცვითი ომით გაუნია წინააღმდეგობა კომუნისტურ ანექსიას 1922 წლის ზაფხულში. გარდა ამისა, სერიოზული სიახლეების დანერგვა გაძნელებული იყო მხარის დიდი მანძილით დაშორებით, ბუნებრივ-კლიმატური, საკომუნიკაციო და სხვა სიძნელებით.

შესამჩნევი ცვლილებები დაიწყო მხოლოდ 30-იანი წლებიდან. ამის საფუძველი გახდა საავტომობილო გზის გაყვანა, ფოსტა-ტელეგრაფის მოწყობა, ადმინისტრაციულ უწყებათა დაწესება (სათანადო შენობებით), თვით ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდროელექტროსადგურის აშენება და ა. შ. განსაკუთრებულ მოვლენად იქცა საშუალო სკოლა-ინტერნატის გახსნა და მოზარდი თაობის მასობრივი ჩაბმა სწავლა-განათლებაში. ამ სფეროში კი ლიქოკელები პირველობას ნამდვილად არავის უთმობდნენ. სიახლეებისადმი, საერთოდ ცივილიზაციისკენ ლტოლვა მათ გენეტიკურად მოსდგამდათ.

ყველა სხვა თემთან და გვართან შედარებით ყველაზე მეტი იყო მათ შორის ნასაღდათარი (10-მდე კაცი). იყვნენ XIX საუკუნის 90-იან წლებში ბაჩანა რაზიკაშვილის მიერ გახსნილი სკოლის ყოფილი შეგირდები, ხოლო ქვაბულოელ ბაბუა ლიქოკელს დამთავრებული ჰქონდა სასულიერო სასწავლებელი. იგი იყო ერთ-ერთი პირველი დიაკვანი და მღვდელიც ფშავ-ხევსურეთში. ლიქოკელებში დიდი იყო წიგნისადმი მისწრაფება. 30-იან წლებში თითქმის ყველა ოჯახში მოიპოვებოდა ექიმ გ. თედორაძის წიგნი „5 წელი ფშავ-ხევსურეთში“, აკ. შანიძის „ხევსურული პოეზია“, ეთნოგრაფ ს. მაკალათიას „ხევსურეთი“. მგელა ლიქოკელის ოჯახში ჰქონდათ დ. გურამიშვილის „დავითიანი“, ვაჟა-ფშაველას ლექსები და სხვ., თათარ ლიქოკელის ოჯახში კი ს. ქვარიანის „საქართველოს ისტორია“ და ა. შ.

შემდეგ შეიქმნა საკმაოდ მდიდარი სასკოლო ბიბლიოთეკა, სადაც კომუნისტური შინაარსის წიგნებთან ერთად მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებსაც შეიძლება გაცნობოდი, ანდრია სალოსის, ეფრემ ვერდის მოძღვრებათა ირგვლივ ფიქრები და წარმოდგენები თანდათან შეცვალა ფრანგ განმანათლებელთა, ამერიკელ დამოუკიდებლობის დეკლარანტთა, პოცტ-დამის, ჰელსინკის და სხვა საერთაშორისო დეკლარაციათა კონცეფციებმა და გრძელდება დღემდე ჩვენი გონებისა და წარმოდგენების ტრანსფორმაცია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გლობალიზმით შეცვლის პირობებში, მსოფლიოს უდიდესი ერებისა და სახელმწიფოების მიერ მცირე ქვეყნებისა და ხალხების გადასახსნელის (ასიმილაციის) მიზნით და შინაარსით.

რამდენი ერი და მცირერიცხოვანი ხალხები გაქრნენ მსოფლიო ისტორიის სისხლიან გზაზე სუსტების ხსნისა და დახმარების ლოზუნგების ბურუსით გაბრუებულნი. რამდენი იმპერია და პოლიტიკური წყობილება შეიცვალა თავისი იდეოლოგიური სისტემებით ამ დროის განმავლობაში,



უცვლელი რჩებოდა მუდამ გაბატონებულთა კრედო – გაემართლებინა, გაეფართოებინა თავისი ბატონობა.

ნეტა რა მოგელის შენ, ღვთისმშობლის ნილხვედრილო ჩემო ბედკრულო სამშობლოვ!?

ამასთან უშუალო კავშირში იყო მომდევნო პერიოდში ეთნოგრაფების (ნ. მაკალათია, გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე) ფოლკლორისტიკების გახშირებული ექსპედიციები სწორედ მოწინავე ლიქოკელებთან საკონსულტაციოდ. ამას განაპირობებდა როგორც ტერიტორიული სიახლოვე სკოლასთან, ისე მშობელთა (მოზრდილი მოსახლეობის) პოლიტიკურ-კულტურული სიმნიფე და ინფორმირებულობა. მათი უმრავლესობა ხვდებოდა, რომ კომუნისტური იდეების, რეჟიმის ავკარგინობის გარკვევა მხოლოდ კარგი განათლების მიღებით მოხერხდებოდა. ახლო სოფლების, მაგალითად, ჩვენი ქვაბულოს ყველა ბავშვი (ბიჭები) ვსწავლობდით და დავამთავრეთ საშუალო სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ გზაზე მძიმე, მეორე მსოფლიო ომმა მოგვისწრო. მათმა უმრავლესობამ სწავლა გააგრძელა შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში. აქვე ვიტყვი, პატარა ლიქოკს უკვე 40-იან წლებში ჰყავდა 6 სტუდენტი და ა. შ.

ყველაფერი ამის საერთო შედეგი კი ის იყო, რომ ლიქოკი გახდა ინტელექტუალური სფეროს წამყვანი უბანი. მისი შვილები გახდნენ ადგილზე, ფშავ-ხევსურეთში და ბარის სოფლებშიც საკმაოდ ცნობილი სპეციალისტები (პედაგოგები, იურისტები, ტექნიკური და თვით სამხედრო სამსახურის) პასუხისმგებელი მუშაკები.

ეს პლედაა, აღზრდილი კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩარჩოებში, სოციალისტური სინამდვილის პირობებში მცხოვრები და მოღვაწე, კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებელი და ეროვნული ინტერესების უარყოფელია?! ფორმალურად ვითომ კი – ლიქოკის 30-იანი წლების კონტრრევოლუცია და კომუნისტური რეპრესიები ისეთ პატარა

ქვაბულში, როგორიც ლიქოკის ხეობაა?! სიტყვებით რა ადვილად სათქმელია, არა!?

მგონი მივადექით საკუთარ ტარტიკაულს!<sup>1</sup>

შეიძლება გარე მდგომისათვის ძნელი გასაგები იყოს, მაგრამ არსის შუაგულში მყოფისთვის სრულიად ბუნებრივი იყო ელემენტარული არსებობის, სხვებთან თანასწორობის და დამოუკიდებლობის უფლებების, რომ აღარაფერი ვთქვათ ბედნიერების, აყვავება-გაფურჩქვნის იმ კომუნისტური იდეალების რწმენა, რომლებსაც ასე ხალისით და საგულდაგულოდ ვეუფლებოდით სასწავლებელთა თეორიულ-საპროგრამო მოძღვრებებში. პიროვნების, ოჯახის, ერის, კლასის, მთლიანად საზოგადოების განვითარების შესაძლებლობები საყოველთაო მშვიდობის პირობებში სრულიად რეალურ და აუცილებელ კატეგორიებად მიგვაჩნდა ნორმალურ საზოგადოებაში; ხოლო უუფლებობა, უთანასწორობა, ექსპლოატაცია, ძალადობა, სილატაკე, ყოველგვარი სოციალური და პოლიტიკური უსამართლობა – უკანონობად და დაუშვებლად. და როცა პრაქტიკულ ცხოვრებაში ამ სოციალურ-პოლიტიკურ რეციდივებს მაინც ვამჩნევდით და ვანყდებოდით, ვთვლიდით, რომ ეს იყო ცალკეულ პიროვნებათა, ფუნქციონერთა შეცდომები, დარღვევა-ნაკლოვანებანი და ჩვენებურად ვებრ-

---

<sup>1</sup> ტარტიკაული – კლდე ლიქოკის პირმზითში, რომელზედაც გადიოდა ბილიკი გაღმა ლიქოკიდან შაღმა ლიქოკისკენ. დაკანონებული იყო – მასზე გავლისას მაქსიმალურად უნდა გადახრილიყავი ზედა მხარეს, რათა თვალი აგერიდებინა 400-500 მეტრიანი ფლატე-უფსკრულისათვის, რომ პირდაპირ ლიქოკურაში არ მოგედინა ჩქაფანი. რა თქმა უნდა, იყო ამისი პრეცედენტებიც (მოგვისმენია!). მასზე ცხენდაცხენ გადავლა გამორიცხული იყო სივიწროვისა და გადავარდნის საშიშროების გამო. საფიქრალია, რომ ხეობაში შემსვლელთათვის (მტრისთვის) საგანგებო დაბრკოლებად იყო გამიზნული ეს კლდე-კიბირჭი. მის სიახლოვეს ჩასაფრებულ 2-3 კაცს მთელი ლაშქრის ამონყვეტა შეეძლო მარტო ისრითაც კი!

ძოდით კიდევაც მათ. სხვა საკითხია, რამდენად შედეგიანი იყო ეს ბრძოლა.

როგორი იყო ჩვენი პოზიცია ლიქოკელ კონტრრევოლუციონერთა მიმართ?!

ჩვენ თაობას ეს არ სჯეროდა. ის ხედებოდა, რომ მასში ხელისუფლების დივერსია იყო ჩადებული, რაც, თავის მხრივ, 22 წლის აჯანყების მიზეზებითა და შედეგებით იყო განპირობებული. ის აჯანყება კი ნამდვილად სამართლიან მოვლენად მიგვაჩნდა, როგორც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. არ გვჯეროდა, რომ 35-36 წლებში ლიქოკი და ხევსურები საერთოდ სსრკ-ის წინააღმდეგ რაიმე სერიოზულ პოლიტიკურ ქმედებას განახორციელებდნენ და არც საჭიროდ მიგვაჩნდა ასეთი მაშინ, იმ პირობებში. სწორად ვთვლიდით სილატაკეში, უდიდეს გაჭირებაში, ჩამორჩენილობაში მყოფი ხალხის სანინააღმდეგო რეაქციას ადმინისტრაციის ძალადობრივ მეთოდებზე, ელემენტარული საარსებო პირობების მაქსიმალური შეზღუდვის გამო. ვთვლიდით, რომ ხელისუფლებას აუცილებლად უნდა მიეცა შელავათი, რათა ამ ხალხს აქვე, ადგილზე, მთაში გაეგრძელებინა ცხოვრება. ეს არა მარტო ბუნებისა და ბედისაგან განწირული მოსახლეობის გადარჩენისთვის იყო საჭირო, არამედ ქვეყნისთვისაც. რაც დღევანდელობამ მთლიანად დაადასტურა. ამ ხალხს დასჯა-დაშინება კი არა – დახმარება სჭირდებოდა. ეს კი იმ ხელისუფლების გონებაჩლუნგ ფუნქციონერთა და მართლა ანტისახელმწიფოებრივ მტრულ ელემენტთა მიზნებში და გეგმებში არ შედიოდა.

XX საუკუნეში, განსაკუთრებით 30-იანი წლების შემდეგ, ლიქოკში, ისევე, როგორც მთელ ხევსურეთში, მისი ქვეყნის საერთო ცხოვრების წრე-ბრუნვაში სოციალურ-კულტურულ საკომუნიკაციო მიმოქცევაში ასე თუ ისე ჩართვის გამო არ შეიძლებოდა ყველაფერი ძველებურად არქაულ-პატრიარქალურად დარჩენილიყო. ქვეყანაში ცხოვრების წესი არ-

სებითად იცვლებოდა, კულტურის დონე მაღლდებოდა, ბართან კავშირი მყარდებოდა. ამ პერიოდისათვის გააქტიურდა მიგრაციული პროცესები. ხევსური, მართალია ყოყმანით, დაბრკოლებებით გასცდა საკუთარ ისტორიული კარჩაკეტილობის ფარგლებს.

ამ პერიოდში, 30-40-იანი წლების მიჯნაზე ლიქოკში მოსახლეობის რიცხოვნობამ მთელი მისი ისტორიის მანძილზე აპოგეას მიაღწია. მოსახლეობა 8 სოფელში ოჯახები (საშუალოდ) ნანილდებოდა შემდეგნაირად:

აჭეში (ორი უბნით: ბაცე და სატრედე) – 11 ოჯახი 55 მცხოვრებით, ჭალაის სოფელში (ბაშხაჯაურთა) – 7 ოჯახი 28 მცხოვრებით, ბაქჩვილო – 6 ოჯახი 24 მცხოვრებით, კარნაულთა – 6 ოჯახი 24 მცხოვრებით, ქვაბულო – 11 ოჯახი 55 მცხოვრებით, მალრანი – 5 ოჯახი 20 მცხოვრებით, აკუშო – 14 ოჯახი 56 მცხოვრებით, კიმხი – 6 ოჯახი 24 მცხოვრებით. მაშასადამე, სულ 66 ოჯახი 286 მცხოვრებით. მეტი გარკვეულობისათვის: იყო 1 მეორადი სოფელ-კეოც, ქვაბულოს საზამთრო-საბოსლო სოფელი 7 ნახევრად მკვიდრი საცხოვრებელი სახლით, მოსახლეობა კი იგივე ქვაბულოელები იყვნენ; და ფშაველ-ხევსურთა საზიარო სოფელი ბულაულთა, აკუშოს ხეობის სათავეში, სადაც სულ 3 ლიქოკელი ოჯახი ცხოვრობდა, ისიც 40-იანი წლებიდან.

კიდევ უფრო შემჭიდროვდა ლიქოკის მოსახლეობა 40-იანი წლების დასაწყისიდან, რაც II მსოფლიო ომით იყო განპირობებული. რამდენიმე ბარში (თელავი, მცხეთა) გადასული ოჯახი უკანვე დაუბრუნდა თავის მშობლიურ სოფელს. ამავე პერიოდში შეინიშნებოდა სოციალური ცხოვრების გარკვეული კონსერვატიზაცია, ძველი, პატრიარქალური ადათ-წესების (სისხლის აღება და სხვ.) გააქტიურება.

40-იანი წლები, განსაკუთრებით ომის შემდგომი პერიოდი, მთელი ხევსურეთის მასშტაბით ხასიათდებოდა ახალი თაობის გაბედული-შეტევით ძველი, დრომოჭმული ადათებისა და

რუტინისადმი. ძველი კი ადვილად არ თმობდა პოზიციებს. თავი იჩინა საკმაოდ მკვეთრმა დაპირისპირებამ ერთი ასაკის თაობის ორ – განათლების სხვადასხვა დონის მქონე ნაწილს შორის. ძველის დამცველი უნიგნური (ეუნოდოთ მას ეს ნამდვილი სახელი) თაობა ცდილობდა ახლების თვალსაზრისი და პოზიციები, ნამდვილად ეროვნული, კაცური, მორალური ტრადიციების შეცვლა-დამახინჯებად წარმოესახა. საერთო ცივილურ, ეროვნულ-სულიერ ღირებულებებს ისინი ურევდნენ კომკავშირულ-კომუნისტურ მანიკერებებში, განათლების დაბალი დონის და, აქედან გამომდინარე, ეგოიზმის გამო და ეწინააღმდეგებოდნენ ისეთი მოძველებული ადათების შეცვლა-დაძლევის მოთხოვნებს, როგორცაა სამრელოობა, ველურ ფორმებში მშობიარობა, ქალისუმძრახობა, სწორფრობა, ქალის ტვირთი, უუფლებობა და სხვა. ანდა, თუ რაიმეს შეცვლას მოინდომებდნენ, ვარდებოდნენ მეორე უკიდურესობაში, ამას აკეთებდნენ ნაჩქარევად, უხეშად და გამომწვევად, სიახლის სახელით, რითაც სწორედ ამ სიახლეს უტყდებოდა სახელი.

დაპირისპირება ორ ბანაკს შორის არაიშვიათად მთავრდებოდა სავაეალო შედეგებით. ჩვენ მეზობელ სოფელში რძლად მოიყვნეს არაბულების (ბაცალიგოს თემის) ქალი. გაიმართა ტრადიციული, დიდი ქორწილი. ასეთ საერთო ლხინში ლიქოკში მტკიცე იყო სათემო ტრადიცია ახალგაზრდობის მასობრივი მოპატიუებისა. ლიქოკელებს კი ჰქონდათ საკუთარი (სხვებისაგან განსხვავებული) სამუხიკო მოტივები: „ლიქოკური სათამაშო“ (საცეკვაო დაკვრა), ლიქოკური ფერხული (სიმღერა). ქორწილში ძირითადად „ნასწავლმა“ და მოსწავლე ლიქოკელებმა გამართეს აქტიური ცეკვა-თამაში, სიმღერები. ე. ი. თაოსნობდნენ ლხინში (შეიძლება აჭარბებდნენ კიდევ!). ეს ვერ აიტანეს ახალზღვის მყოლებმა (მაცრებმა), გაიმართა სასტიკი შუღლი, ძირითადად ლაჯიებით და სერიოზულად დააზიანეს ორივე მხარეს ერთმანეთი; კიდევ კარგი, რომ,

ტრადიციით, ხანჯლები წინასწარ ჰქონდათ ჩამორთმეული, თორემ დასახიჩრება მაშინ გენახათ. თუმცა მტრობა მერეც გაგრძელდა, უკვე ხანჯლებით და ერთმანეთის დაჭრით.

ასეთივე შუღლი მოხდა ჩვენს სოფელ ქვაბულოში, ჩვენსა და გიგაურებს შორის, რაც ბოლოს აგრეთვე სერიოზული ჭრილობებით დამთავრდა.

დაპირისპირება ძველსა და ახალს შორის თავს იჩენდა თვით ისეთ სფეროში, როგორცაა სწავლა-განათლება, სკოლა. 30-იანი წლების ბოლოდან ხევსურეთის სოფლებში მასობრივად გაიხსნა დაწყებითი სკოლები. ამას ხალხი გაგებით და მოწონებით შეხვდა. მასწავლებლებს სათანადო (მორალურ) პატივსაც სცემდნენ. მაგრამ ცოტა სხვანაირად შეხვდნენ ამ საქმეს ზოგან, როდესაც სკოლებში ხევსური მასწავლებლები გამოჩნდნენ. მათგან მათმა ტოლებმა (სკოლაგაუფლებმა) მოითხოვეს ყველა ხევსურული ადათ-წესის შესრულება, მაგ., შუღლში აყოლა. ხშირად აწყობდნენ უღირს პროვოკაციებს. სავალალოდ ასეთი რამ გადახდენია თავს ამ სიტყვების ავტორსაც. ამ საქმეში ერთი გარემოება უნდა აღინიშნოს აუცილებლად: ჩხუბისთავეები იყვნენ მხოლოდ ახალგაზრდები. სოფლის უფროსი თაობა მათ სათანადოდ გამობდა და პასუხსაც სთხოვდა. ისიც სათქმელია, რომ არც „ნასწავლები“ იყვნენ მთლად მართლები, მათ ხანჯალი საბოლოოდ ვერ გადააგდეს (ეს ადვილი არ აღმოჩნდა, იმავე ტრადიციების გამო) და ხშირად უწევდათ კალმისათვის მისი „შეშველება“... და მართლდებოდა მგლოვიარე დედის ის ნატირალი, „რომ ვეფხვი არ იყო ჯაბანი, არც ჩემ შვილ დახვდა ჭკვიანი“-ო.

და მიდიოდა ცხოვრება ასე თუ ისე ნორმალურ კალაპოტში. ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანა უფრო სწრაფი ნაბიჯებით წავიდა წინ ეკონომიკის სფეროში. შესაბამისად, თითქოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობაც სტაბილური ხდება. ფაქტობრივად, კვლავ გრძელდებოდა ხევსურეთის დამოუკიდებელი, თავისუფალი არსებობა. მთელი მოსახლეობა, დიდი და პატარა, ქალი და კაცი დღე-ღამის გასწორებით უმძიმეს ფიზიკურ ინდივიდუალურ საოჯახო შრომაში იყო ჩაბმული. შრომის უმძიმესი პირობების და მწირი შემოსავლის მიუხედავად, ხევსურები, მათ შორის ლიქოკელებიც, ბედს არ უჩიოდნენ, რადგან მთავრობა მაინც-დამაინც არაფერში ავიწროვებდა, გადასახადებს არ იხდიდნენ, კოლექტივიზაცია და განკულაკება არ განხორციელებულა. მძიმე შრომა და კულტურული ჩამორჩენილობა ასატანი იყო სოციალურ-პოლიტიკური თავისუფლების სანაცვლოდ. პირად, შეუზღუდავ მფლობელობაში ჰქონდათ მიწა, ნყალი, ტყე, ჰაერი და თავს ბედნიერად თვლიდნენ. ლიქოკში, ისევე როგორც სხვაგანაც, მთავარი სიძნელე ყოფა-ცხოვრების სიმძიმე იყო, მცირე და მწირმინიანობა. მართალია, სოფლებს შორის ბუნებრივ და შრომის პირობებში იყო მცირე სხვაობა (მაგ., ლიქოკში აჭე და აკუშო შედარებით უკეთეს პირობებში იყო), მაგრამ, საერთო ჯამში, ეს ბევრს არაფერს ცვლიდა.

სიდუხჭირის მთავარი მიზეზი იყო მცირემინიანობა. სახნავ-სათესი ფართობები პირად (კერძო) საკუთრებაში ჰქონდათ ოჯახებს, რაც კატეგორიულად ზღუდავდა მოსახლეობის (ოჯახების) რიცხვობრივ გამრავლებას. კუთვნილი მიწის ფართობი მხოლოდ ერთ ოჯახს აკმაყოფილებდა, ისიც მინიმალურად. ადგილზე გაფართოების შესაძლებლობა კი გამორიცხული იყო. მიწები მაქსიმალურად იყო ადრევე ათვისებული ახლების (ნანაყი) სახით (ტყეების გაჩეხვით). ტყის „დანაყვა“

ხორციელდებოდა საოცარი გონიერებითა და სიფრთხილით. აბსოლუტურად გამორიცხული იყო გამენწყურიანება. მინა ბუნებრივად იყო ქვიშნარი, ე. ი. უაღრესად მწირი, მოსავალი მოჰყავდათ ხელოვნური სასუქის შეტანით („შანეხვით“). ადამიანის შრომის 3/4 იხარჯებოდა ხვნა-თესვაზე და მაინც ოჯახს თითქმის ყოველ წელს სჭირდებოდა 1 ძროხის საფასური მარცვლეულის (სიმინდი, ხორბალი) ყიდვა.

ასე გრძელდებოდა 50-იან წლებამდე, ვიდრე ცხოვრების სოციალისტური წესი არ გამოავლენდა აშკარა მანკიერებებს, განსაკუთრებით მეურნეობის სფეროში, სასურსათო საქონლის წარმოებაში. რაც გამონვეული იყო კერძო საკუთრების აკრძალვის, საზოგადოებრივი საკუთრების მასობრივი დანერგვის გამოისობით. მთელ ქვეყანაში ადამიანები საზოგადოებრივ საკუთრებას თავისად არ თვლიდნენ, არც იცავდნენ და ყოველ შესაძლო ვითარებაში საკუთარ სახლში მიეზიდებოდნენ მას. ვერ დაინერგა საზოგადოებრივი შრომით დაინტერესება, ადამიანის შრომის ბუნებრივი სტიმულირება, რადგან პირად ქონებრივ კეთილდღეობას ვერ უზრუნველყოფდა იგი. მით უფრო, რომ გამდიდრებისკენ ლტოლვა იურიდიულადაც აკრძალული იყო. მეორე მხრივ, დაგროვებისკენ ლტოლვა – შრომის ნაყოფიერების ზრდის ეს ბუნებრივი პირობა რეალიზაციის აშკარა შესაძლებლობას აძლევდა ადამიანთა მეორე (მცირე) ჯგუფს, ვისაც უშუალოდ ხელი მიუწვდებოდა წარმოებულ პროდუქციაზე. ეს იყო სანარმოს უშუალო ხელმძღვანელი პერსონალი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სანყოფის, ფერმის გამგე, ბრიგადირი, მოანგარიშე...), მაქინაციების, ქურდობის, ქრთამის და სხვა უკანონობათა გზით მათი გამდიდრება დიდი უმრავლესობის გაღარიბებას იწვევდა, აქედან კი – სოციალური დაპირისპირება და წარმოების სტაგნაცია. სათანადო შედეგს ვეღარ იძლეოდა შიმველი ადმინისტრირება და მასების დაშინება. ამ პერიოდში, მაგალითად, მექრთამეობაზე სიკვდილით დასჯაც კი იქნა



შემოღებული, მაგრამ ამით ოდნავაც არ შემცირდა იგი. არ გაამართლა შრომის საფასურის იაკობინურმა მეთოდებმაც, ხელმძღვანელ მუშაკთა, განსაკუთრებით პარტიულ აპარატში შედარებით დაბალმა ხელფასმა, ე. წ. გათანაბრების მეთოდმა. არავინ დაფიქრებულა, რატომ უარყვეს იმავე ფრანგებმა ყველაზე ადრე რევოლუციები, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რატომ დაემორჩილნენ ისინი სამ კვირაში ფაშისტებს თითქმის უომრად. ადამიანებს არ უყვართ სხვათა მაგალითების გამოყენება! მით უფრო მაშინ, როცა საზოგადოება მიზნობრივ-პროპაგანდისტულ სანყისებზეა აგებული... კმარა ფილოსოფია, დავეზრუნდეთ ხევსურეთის ლიქოკს.

მაშ ასე, 50-იანი წლების დასაწყისისათვის იყო გზაც, სკოლებიც, სასოფლო საბჭოებით (ბარისახოს, ბაცალიგოს, შატილის, არხოტის) და ა. შ., მაგრამ არ იყო სოციალიზმი არც ეკონომიკაში და არც ცნობიერებაში. კვლავ თავისუფალი და დამოუკიდებელი რჩებოდა ეს ჯიუტი და გაუტყეხელი ხალხი. მთავრობაც ხედავდა, რომ მთიელთათვის მძლავრი საყრდენი იყო მიუდგომელი გარემო და მკაცრი ბუნება, რაც, მეორე მხრივ, მათივე სიდუხჭირის მიზეზიც იყო და ხელისუფლებაში წარმოიშვა ბუნებისაგან დაჩაგრული მშრომელების „გადარჩენის“ კონცეფცია – ხევსური მოსახლეობის ბარად ჩამოსახლების გეგმა (გეგმიური მიგრაცია).

ცოტა ვინმე თუ აღმოჩნდა მაშინ ამ ორსახიანი იანუსის სწორად შემცნობი. ის, რაც დღევანდელი ფინიშის ხაზიდან ასე ნათლად ჩანს, მაშინ ბურუსით იყო მოცული. ცხადი იყო, რომ ხევსურებს მართლაც უჭირდათ. საჭირო კი იყო ფართო სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები. გუშინდელი უმძიმესი ომით დაზარალებულ ქვეყანას სჭირდებოდა დიდძალი მუშახელი როგორც მინდვრებზე, ისე სამრეწველო ფრონტზე (ახალი ინდუსტრიული ქალაქი რუსთავი, უამრავი ახალი სამრეწველო საწარმო დედაქალაქში, მშენებლობებზე და ა. შ.) ხევსურეთში კი ეს უაღრესად ბეჯითი მუშახელი საკმაოდ

მრავლად იყო. მთავრობას ხელთ ჰქონდა ძლიერი მოტივაცია. „ხომ დაგიცავით და გადაგარჩინეთ უმძიმესი ომის მსახვრალი ხელისაგან (სამამულო ომის დროს ხევსურები უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებით მართლაც გათავისუფლებული იყვნენ ჯარში განწევისაგან), ახლაც გიხსნით მუდმივი გასაჭირისგან და ყოველმხრივ დაგეხმარებით თავი დააღწიოთ ამ ჯოჯოხეთს, მეტი რალა გინდათ!“ (ისე, ძნელი სათქმელია, ხევსურთა ჯარისგან გათავისუფლება მათზე ზრუნვით თუ უნდობლობით იყო ნაკარნახევი კავკასიონზე ცხარე ბრძოლების უამს. რაც მთავარია, მათგან რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის განწევის შიში აღარ ჰქონდა ხელისუფლებას. 36-37 წლებში რეპრესიებით ლიქოკის ხერხემალი გადამტვრეული იყო. დანარჩენი ხევსურეთიც ვერაფერს გაბედავდა.

50-იანი წლებიდან ხელისუფლებამ დაიწყო ხევსურეთში კოლმეურნეობათა შემოღება და სხვა პარალელურ შეზღუდვათა განხორციელება. სახნავ-სათესი მიწების გაერთიანება (კერძო მფლობელობის გაუქმება), მუშა საქონლის – ხარის აკრძალვა, გადასახადების დაწესება და ა. შ. – აქ არსებობის ყველა წყაროს გადაკეტვას ნიშნავდა, მით უმეტეს, რომ კოლმეურნეობა (ერთი მთელ ხევსურეთში) ვერ შეიქმნა. მასში გაერთიანებული საქონელი შემდეგ სხვა კოლმეურნეობებს (ფშავის, დუშეთის და ა. შ.) გადასცეს, ვითომც კოლმეურნეობათა გამსხვილების მოტივით. მთები (საძოვარ-სათიბი) კი ბარის კოლმეურნეობათა საკუთრებად გამოცხადდა (მაგ., არხილოს კალოსი – სადაც დაიწყო ხევსურთა მასობრივი ჩასახლება). ეს ყველაფერი კეთდებოდა პარალელურად, რათა მთაში ცხოვრების ყველა გზა გადაკეტილიყო. ამაზე უფრო უგუნური და ვერაგული აჯაფსანდალის გამოგონება შეუძლებელი იყო.

ყველაზე სწორი, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ნაბიჯი იქნებოდა ხევსური მოსახლეობის ადგილზე პურით (მარცვლეულით) მომარაგების მოგვარება. ეს იყო ბუნე-

ბის მთავარი ნაკლი. შრომის 3/4 იხარჯებოდა ხვნა-თესვაზე. ყანების (საყანე მიწებს აქ ყანები ერქვა) სათიბ-საძოვრად გადაქცევა მესაქონლეობას სულ მცირე 2-ჯერ მაინც გაზრდიდა. ამ შემოსავლის ნახევარი სრულიად თავისუფლად დააკმაყოფილებდა მარცვლეულის მომარაგებაზე განუულ ხარჯებს. სახელმწიფოს უნდა მოეგვარებინა სატრანსპორტო პრობლემაც. ქვეყანა მიიღებდა მეცხოველეობის დიდძალ, იაფ პროდუქტს. ამ პერიოდში თბილისის (და სხვა ქალაქებისაც) ბაზრებში ისედაც ძირითადად იყიდებოდა ხევსურული ერბო და ხორცი. ალბათ, გადარჩებოდა მსოფლიოში აღიარებული „ხევსურული ძროხის“ და მემძროხეობის კულტურაც. ხევსურები მემძროხეობის (მსხვილფეხა საქონლის) ვირტუოზები იყვნენ (მარტო ამის დაკარგვა რად უღირს ქვეყანას, ისევე როგორც „თუში მეცხვარისა“).

ხევსურეთში მინათმოქმედების ძირითად დარგად და სასაქონლო პროდუქციად შეიძლება დარჩენილიყო კარტოფილი, მისი შეუდარებელი მოსავლიანობისა და ხარისხის გამო (არ გადავრჩებოდით თურქულ გერბიციდებს?!). მიახლოებითი გაანგარიშებით, სასაქონლო კარტოფილი, მთლიანად აანაზღაურებდა მარცვლეულის ხარჯებს. საჭირო იყო მხოლოდ გაცვლის (ვაჭრობის) ორგანიზება, რაც მთავრობას უნდა ეკისრა. მაგრამ მთავრობა ამას აკეთებს მხოლოდ მაშინ, როცა ხალხზე ზრუნავს. ზრუნავს კი ოდესმე იგი ხალხზე?! საკითხავი, აი ეს არის!

დადგა ხევსურეთის ყოფნა-არყოფნის გადამწყვეტი უამი! მაშინ რესპუბლიკის ხელმძღვანელ წრეებში, თვით მეცნიერთა შორის მხარს უჭერდნენ ხევსურთა ბარად მასობრივი ჩამოსახლების იდეას. ადგილზე აქტიური, ამბიციური (მცირემცოდნე) ახალგაზრდობა ენთუზიაზმით შეხვდა ამ წამოწყებას და თავად წაუძღვა დანარჩენ ხევსურთ, პურის ბელლის – შირაქის ველზე – კერძოდ, არხილოს კალოში დამკვიდრებისათვის მსვლელობას. გასაგებია, პურზე მარად მოშიმშილე ხალხის განწყობა!

ჩვენი თაობა (სტუდენტები ვიყავით მაშინ), საერთოდ, მხარს უჭერდა აგრეთვე ამ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს, მით უმეტეს, ჩვენი კუმირის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის (უნივერსიტეტის რექტორი, მისი ძმა კი იყო მთავრობის თავმჯდომარე) მოწოდებისა და მხარდაჭერის ვითარებაში. მაგრამ მაშინვე ვხვდებოდით, რომ ეს უნდა განხორციელებულიყო მიზანშეწონილობისა და ნებაყოფლობის პრინციპით. აუცილებელი იყო ჭარბი მოსახლეობისაგან ხევსურეთის განტვირთვადი ინდივიდუალური მიგრაცია მაინც მიმდინარეობდა აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, თიანეთის, თელავის, საგარეჯოს, ახმეტის, დუშეთის (ყველაზე მცირედ) რაიონებში, მაგრამ დიდი დაბრკოლებებით და მცირე მასშტაბებით, მოსახლეობის ხელმოკლეობისა და მთის მიზიდულობის გამო, ზოგადი ვარაუდით, ნორმალური იქნებოდა მოსახლეობის ნახევრის გაყვანა, ძირითადად ახალგაზრდა მსურველი ოჯახების ბაზაზე. უფროსი თაობის წარმომადგენლებს მეტად უჭირდათ მშობლიური კლდეების მიტოვება. ბევრმა თავიც მოიკლა მაშინ. გარკვეული რაოდენობა მოსახლეობისა უნდა დარჩენილიყო ადგილზე, მთაში, რათა ხევსურეთი არ მომკვდარიყო საერთოდ. ასეთი იყო ჩვენი სურვილი და პოზიცია მაშინ. მაგრამ სუსტი იყო ჩვენი საზოგადოებრივი წონა და სიტყვის

ძალა, რომ რაიმე არსებითი ზეგავლენა მოეხდინა მთავრობის განზრახვაზე. ეს განზრახვა კი ყველა ხევსურის აუცილებელ გასახლებად იქცა, ამასთან, ადმინისტრაციული ზომების გამოყენებით და 50-იანი წლების ბოლოს ხევსურეთი დაიცავდა ხევსურებისაგან.

ნუთუ ისეთი რთული გასააზრებელი იყო ხევსურეთის და საერთოდ მთელი მთიანეთის (ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი და ა. შ.) დაცარიელების სავალალო შედეგები ქვეყნის სვე-ბედში, რაც ასე ნათელია დღეს ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის? არა, რა თქმა უნდა! მაგრამ საქმე სწორედ საღად მოაზროვნე ადამიანთა დაყენებაა ქვეყნის საქვსთან. აი, ეს პრობლემაა იმ თავიდან ამ ბოლომდე გადასაჭრელი! მაშინდელ მესაჭეთა ბევრი წარმომადგენელი შემდეგ გულწრფელად ნანობდა და „მამაცურად იღწვოდა“ ხევსურეთის ასაღორძინებლად; არსებითი კი არაფერი გაკეთებულა და არც დღეს კეთდება. განა ასეთი ადვილია მკვდრის გაცოცხლება ან საერთოდ შესაძლებელია ეს?! დღეს არსებითად ხევსურები აღარ არიან იქ! და ამბობენ, ახლა იგეგმება ხევსურეთის ტერიტორიის გაუქმების – გაყიდვის ნაბიჯები; დღეს უკვე მთელ ხევსურეთში გაუქმებულია ადმინისტრაციული თვითმმართველობის ორგანოები და თითქმის სკოლებიც. მისახედი, აი, ეს არის დღეს!!!

\* \* \*

როგორ წარიმართა ლიქოკელთა ბედი, რითი დამთავრდა მათთვის XX საუკუნე? დღეს ეს საკითხი უკვე გარკვეულია. მათ აიღეს კი, მაგრამ ვერ დაიმკვიდრეს ტარტიკაული, მასზე გადაიჩეხნენ! დამარცხდნენ კომუნისტებთან ჭიდილში.

ლიქოკი, როგორც მონოლითური, შეკრული, მებრძოლ-მოშულლარი და მოზიემე, თავისი ბედის წარმმართველი ძალა

დაემორჩილა მთელ ხევსურეთთან ერთად ქვეყნის საერთო ბედს, სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას. დანაწევრდა, გაიფანტა და სავალალოდ დაღმავალი გზით დაეშვა, როგორც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების (ყოველგვარი გაგებით) გარკვეული ფორპოსტი. ველარავინ იხილოს ან ინატროს ლიქოკელთ ჯარზე დაჯდომა და ველარცავინ სიმღერა გაიგონოს:

**„ომია ნაროვანზედა სისხლსა წვიმს ზეთი დარია,  
ომობენ ხახიაკურნი, პირშიშველანი ყმანია!..“**

დღეს გაუქმებულია ლიქოკის ყველა სოფელი. არავითარი მეურნეობა იქ აღარ არსებობს, გარდა 2-3 ოჯახის ნარჩენების მიერ 4-5 სული საქონლის ყოლისა, რაც ბავშვების გამოსაკვებად საჭირო პროდუქციასაც ძლივს იძლევა. ახლა იქ (ძირითადად ბარისახოში) არის სულ 10 ოჯახი 30-მდე მცხოვრებით.

დაღვრემილი დაჰყურებს მაღალი კარატის წვერიდან ლალი-ლახტიანი გმირი კოპალა თავის საყმოს მიერ მიტოვებულ მთა-ბარს, უცრემლოდ რომ ვერ ახერხებენ დამშვიდობებას იქ სტუმრად რამდენიმე დღით ასული ლიქოკელები (ვინც იქ გაჩნდნენ და გაიზარდნენ). მათი შვილები კი, თუმცა ამბობენ, „მახსოვს ვისი გვარისაც ვარო!“, მაგრამ საეჭვოა ბოლომდე თუ გაჰყვებათ ეს მტანჯველი განცდა?

ლიქოკის აღორძინება, დაწყებული XVI საუკუნიდან გრძელდებოდა XX საუკუნის 30-იან წლებამდე. მთელ ამ პერიოდში ეს მინა-წყალი დაიმკვირდეს მთლიანად სისაურებმა, იქცნენ ლიქოკელებად და საკმაო სასახელო ფურცელიც ჩანერეს ერის ისტორიაში. მოვიხსენიებ ბოლო პერიოდში ლიქოკში მცხოვრებ მთავარ ლიქოკელებს, სოფლების მიხედვით, რომლებიც არა მარტო ლიქოკში და თვით ხევსურეთში, არამედ მათ ფარგლებს გარეთაც იყვნენ კაი ყმები და ცნობილი პიროვნებანი. ესენია:

**აჭეში:** ახალათ გიორგი, ჯარიათ ბიძურა, აბიკათ გიგუა, ნუნუათ სუმბატა, კიკოლეთ ხთისო, ბაძიათ ხთისია, ძიკურაის

შვილნი ხოლიგა და ბაძია, ჭრელიაისშვილნი ბაბუკა, გაგა და ბიძა, ბლარათ ძალლიკა და გიგი, ბლარიკათ გიორგი;

**ჭალაის სოფელში:** ხლუმათ მინდია, თაძიათ ხახონი, ლომნით გიგია, იმედეთ გიგია;

**ბაქჩვილოში:** ჯახათ ბაბუა, თოთუათ ბენინიკა, ბიენაისშვილნი ლერენა, ბენინური, ხთისო, მგელა, ომათ ხთისია;

**კარნაულთაში:** ფშაველათ გიგია, მამუკათ ხთისო, უშიშათ მამუკა, ბადაის შვილნი გიგია და ხთისო, თოთიათ ხახონა;

**ქვაბულოში:** ბაძიურაის შვილნი მგელიკა, ჭრელა და ბაბო, მგელიკათ დათვია, ბიძურათ მგელა, თოთიათ ბაბუა, აძიის შვილნი თათარ და ჩაჩური, შუათ გიორგი, ბაბოთ გიორგი, ინათ ივანე, გიგიათ ატურა;

**მალრანში:** გამახელათ ხთისო, მამუკათ აბიკა, კოლოთ გაგა;

**აკუშოში:** ნიქაის შვილნი ლაგაზა და აბიკა, აპარეკაის შვილნი გაგურა, ხახონა, ბათირა, მგელიათ ადუა, ბაბუაის შვილნი ზვიადა და ადადა, ბაჭუაის შვილნი ვეფხვია და აპარეკა, იმედათ იმედა, გორგათ ჩალხი, ბენიათ ბერდია, თოთიათ ბორძა, უნათ თორელი;

**კიმხში:** მზევინართ მამუკა, ველიკაურთ თოთიის შვილნი გიორგი და ივანე, ქოთილათ გიორგი, გიორგით ალექსა და იმედა (ქისტნი);

**ბულალაერთაში:** გაგაის შვილნი გიორგი, ბაჭყურა, ბაბუა და ნიკო.

მათი შვილები ჩვენი თაობაა, 20-30-იან წლებში დაბადებულები. მათზე აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს არის სწორედ ტარტიკაულზე გადაჩეხილთა თაობა, „გადაჩეხილთა“, რადგან მათგან ლიქოკში თითქმის აღარავინ დარჩა, მათგანაც ვერავინ აღმოჩნდა მოხეს<sup>1</sup> ამსვლელი, ჟამთა სვლისა და ცვლის გამო...

<sup>1</sup> მოხე – მაღალი მთა-კლდე ჩეჩნეთ-ხევსურეთის საზღვარზე, ანატორის სიახლოვეს.

„შენ იქ ვერ ახოლ ცუდაო, სად ჯიხვი დაეას რქიანი,  
მოხეს სისვაურთ დანაღვეს, ვაჟ უნდა წრიაპიანი“...

ტარტიკაული გახდა მათი ბედისწერა. ან უნდა დარჩენილიყვნენ წინაპართა თემურ-პატრიარქალურ სამყაროში ქვეყნის, ხევსურეთის დამოუკიდებლობის, განკერძოებულობის სინამდვილეში, რაც ცხადია, მათს უმიზნო მსხვერპლშენირვას გამოიწვევდა; ან უნდა დაეყარათ ფარ-ხმალი და ჩამდგარიყვნენ ახლის, სოციალისტური მშენებლობის ფერხულში, რაც ტარტიკაულზე გადაჩეხვას ნიშნავდა; ამის მიუხედავად, წინაპრებზე ნაკლები ვაჟები (მამყივლეები) არც ესენი იყვნენ.

უფლება არა მაქვს მათი სახელებიც არ მოვიხსენიო, რადგან უმრავლესობა დღესაც ცოცხლობს და აგრძელებს გვარიშვილობას. აჭიონთაგან გიორგით ნადირა და მისი ძე დათო (4 ვაჟის მამა) ცხოვრობენ ბარისახოში; ბიძათ გიორგი და ბაძიათ გიორგი – დუშეთში; გაგათ გიგუაის შვილ-შვილიშვილები – თიანეთში, ხთისოთ გივი – რუსთავში, ძაღლიკათ ირაკლი – თბილისში; გაგათ მიხეილის შვილები თოთია, გიგო, ივანე – თეთრწყლებში (თელავის რ.), ივანეთ თაძია და ტარიელი – თელავსა და თეთრწყლებში; ბაძიათ ხთისიას შვილები ბაბუა, ბიძურა, ლაგაზავილებით – დუშეთის რაიონში – თავისი შთამომავლებით. ბაქჩვილო-კარწეულელთა შთამომავლობა ძირითადად გაიფანტა კახეთის (დედოფლისწყარო, თელავის, თიანეთის) რაიონებში. ცოტა ვინმე გადარჩა აკუშო-კიმხის მცხოვრებთაგან, რომლებიც სახლობენ დუშეთ-თიანეთ-კახეთის რაიონებში.

ცოტა მეტის თქმა მომიწევს ქვაბულოელთა შესახებ, არა მარტო იმიტომ, რომ გულთან უფრო ახლოსაა ეს თემა, არამედ იმიტომაც, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში და დღემდეც ქვაბულოელნი იყვნენ და არიან არა მარტო თავისი მამიშვილობის, არამედ თვით ხევსურეთის წამყვანი – რაოდენობრივადაც და პიროვნულადაც – წარმომადგენლები. ხახ-



ონაურთა მამიშვილობის 5 ოჯახმა XX საუკუნეში გამოზარდა და ქვეყანას მისცა 15-ზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი, მათ შორის, კაცობით, ღირსეული ქართველობით საკმაოდ ცნობილი პიროვნებანი: გიორგი და აბა მგელაის ძენი, ზაქრო, გიორგი, მინდია ჩაჩაურის ძენი, მამუკა, გიგია და ივანე თათარის ძენი, სუხა და ჩალხა დათვიას ძენი თავიანთი შვილებით, რომლებიც აგრეთვე საკმაოდ იმედის მომცემნი არიან გვარისა და კაცურ საქმეთა გაგრძელების მხრივ. ცხადია, ბევრი მათგანი უკვე ლიქოკის ფარგლებს გარეთ აგრძელებს მოღვაწეობას. ამათაგან თავისი ასაკით (88 წლის), სიბრძნით, კაცური ღირსებებით ყველაზე ცნობილია ჩვენი აღმზრდელი და დამრიგებელი გიორგი მგელას ძე ლიქოკელი. ნიჭიერი და ნაყოფიერი პოეტი, ფილოლოგი. შედგენილი აქვს ლექსების, პოემების მრავალი კრებული; ერთი მათგანი, უკანასკნელი წლებისა, 2004 წელს გამოსცა გამომცემლობა სამშობლომ. დასაბეჭდად გამზადებულია ძველი ანდრეზების, თქმულებების, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული კრებულები და ა. შ. მან 50-მდე წელი შეაღია მშობლიური (ბარისახოს) და დუშეთის რაიონის სკოლებში პედაგოგიურ-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას და გამოზარდა მრავალი ხევსური ცნობილი სპეციალისტი. ჩვენ კი ქვაბულოელ ახალგაზრდებს მუდამ წინ მიგვიძლოდა ჭირსა თუ ლხინში და განსაკუთრებულ შემთხვევაში გვაფხიზლებდა თავისი ვაჟკაცური შეძახილით „დასცხეთ ამ მკვდარვირიანებსო!“ იგი დღესაც წინ მიგვიძღვის თავისი სიბრძნით და ოპტიმიზმით.

ლიქოკელებზე საუბარი სრულყოფილი არ იქნება, თუ რამდენიმე სიტყვით არ მოვიხსენიებთ გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გელა გიგიას ძე ლიქოკელი (კარწეულთელი). ამჟამად იგი ცხოვრობს ქ. თელავში თავის შთამომავლობასთან ერთად და აგრძელებს თავის პოეტური-იუმორისტულ შემოქმედებას, მიუხედავად 85 წლის ასაკისა. განათლებით იურისტი, მრავალი წლის მანძილზე იყო

პროკურატურისა და ძალოვანი სტრუქტურების წამყვანი სპეციალისტი კახეთის რაიონებში და პარალელურად ხალისიანად აგრძელებდა პოეტურ მოღვაწეობას. სისტემატურად იბეჭდებოდა რაიონულ თუ ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში, მათ შორის გაზეთ „კომუნისტშიც“ მისი ცნობილი ლექსები, ადრეული მოსწავლეობისა თუ სტუდენტობის პერიოდიდან. ძნელია დაივიწყო მისი სტუდენტობის-ჟამინდელი ნამღერი „...ჩემი მაისი იქნების მაშინ, როს მოგიყვანენ ლიქოკს მაყრები...“

ოპტიმისტური გადახვევაც... 70-იან წლებში სახალხო-რელიგიურ დღესასწაულზე დასასწრებად მივემგზავრებოდით თელავის პედიანტიტუტის მუშაკთა ჯგუფი, ამაღლებულ ეიფორიაში, გადავწყვიტეთ – ბარე თეთრგიორგისაც ვცეთ თაყვანიო, ავედით ტაძარში... მოვილოცეთ... შევნიშნეთ ზევით, ტყის პირზე სრულიად კახეთის მორწმუნეთა დიდ ჯგუფს გაუშლია სამლოცველო სეფა და კახური მადლით ეხმიანებიან ზენაარ ძალებს... ჩვენც მივედით... უფლის წინაშე ვალის მოსახდელად და ვხედავთ სეფის თავში დგას ჩვენი გიგიათ მგელა და თამადის უკვდავი ენამჭევრობით ავედრებს უფალს თავის ცოდვილ საყმოს... ნეტავი იმ დროს!

ლიქოკზე, ლიქოკელებზე თხრობისას გულს მაკლია ჩვენი საყვარელი დებისა და ქალიშვილების გამონაკლისი. ეს იმდენად ძველი, ტრადიციული, ქალის ღირსების დამცირების ან ხევსურული პატრიარქატიზმის ბრალი კი არ არის, რამდენადაც ნარკვევის მოცულობითი შეზღუდულობისა, თორემ, ვინ გაბედავდა ჩვენი პატარა სოფლის წიაღიდან გამოსული წარჩინებული უმაღლესი განათლების მქონე 6 სპეციალისტის (ჩვენი შვილების) წინო, თამარ (გიორგის ას.), თინა, მზია, ხათუთა და თამარ (ივანეს ას.) ლიქოკელების სახელის არდაფასებას.

ეს ნარკვევი იწერება ერის ცხოვრების მეტად საჭოჭმანო ჟამს, ეროვნული ცნობიერების და გრძნობების მქონე ადამი-

ანთა გამხნეების, „ჭირსა შიგან გამაგრების“, ძალთა მოკრებისადმი თუნდაც ოდნავი სამსახურის სურვილით. იქნებ თავისი უმცირესი სეგმენტის ბედის, ცხოვრების გზის, ასავალდასავალის გაცნობა-გათვალისწინება რაიმე სარგებლით იქნას გამოყენებული: იქნებ დაუდევარნი, ყოველგვარ „იზმებს“ (განსაკუთრებით „გლობალიზმს“ და ა. შ.) აყოლილნი უფრო სერიოზულად ჩაუფიქრდნენ საკუთარ პოზიციებს, ქმედებებს, შეძლონ უფრო შორს გახედვა და საჭირო შემთხვევაში კურსის შეცვლაც; ხოლო უიმედოებმა და ურწმუნოებმა დაიბრუნონ სულის სიმტკიცე და გაძლების უნარი, პესიმისმი შეცვალონ ოპტიმიზმით. ყოველ გარემოში ახსოვდეთ ხევსურთა ცხოველმყოფელი დევიზი – „გამაგრდით არხოტივნებო, გატეხით რა იქნებისა, ვინაც მაკვდების დავღმარხათ, სხვა კიდევ გაიზდებისა!“ დაბოლოს, ეროვნული ფრონტის ავანგარდისტებმა უფრო გაბედულად, დარაზმულად ამრავლონ თავიანთი რიგები, შემოიკრიბონ მთელი ეროვნული ძალები და ძლევამოსილად, გონივრულად წარუძღვნენ მათ საბოლოო გამარჯვებისაკენ. ხომ იძლევა ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უფრო შავი პერიოდებიც გადარჩენის მაგალითებს. იქნებ ლიქოკელთა ტარტიკაულის მაგალითშიც მოინახოს რაიმე გამოსადეგი. მასზე გადაჩეხილებმაც ხომ შეძლეს სიცოცხლის გაგრძელება სხვა გარემოში, თუნდაც სხვა ადგილზე ისე, რომ ერის, თემის ნამდვილი ინტერსებისთვის არ უღალატიათ; ნუთუ შეუძლებელია მათთვის მიბაძვა თუნდაც მცირედში.

ნაშრომს დამთავრებულად ვერ აღვიქვამ, თუ არაფერს ვიტყვი ხევსურეთის, ხევსურის იმ არსებითი ნიშნების შესახებ, რითაც ის დანარჩენი ქართველებისგან განსხვავდება, განსაკუთრებით მხედრული, სამამაცო საქმეების სფეროში. სწორედ ხევსურის მხედრული ფენომენის შესახებ დღემდე ძალიან ცოტა რამაა ცნობილი, მიუხედავად იმისა, რომ ხევსურების და საერთოდ ხევსურეთის ირგვლივ საკმაოდ ბევრი ცნობები მოგვეპოვება მშობლიურ-ქართულ თუ საზღვარგარეთულ სამეცნიერო-პოპულარულ და მხატვრულ ლიტერატურაში. არადა, მეტად მნიშვნელოვანია სწორედ ხევსურის, როგორც მოლაშქრე-მოშულლარის, შეტევისათვის მუდამ მზადმყოფის საკითხი; მათი საბრძოლო-მეამბოხე განწყობილებისა და მოქმედების საფუძვლები.

ამა თუ იმ სოციალური პიროვნების ჩამოყალიბების უმთავრესი პირობაა აღზრდის, სათანადო წვრთნის მტკიცე სისტემა, რომელიც არსებითად ოჯახში მიმდინარეობს და საზოგადოებრივ ასპარეზზე მთავრდება.

ობიექტურობის პრინციპზე დაყრდნობით, ხევსური პიროვნების ფორმირების ნიმუშად, პატივცემული მკითხველის ნებართვით, საკუთარი ოჯახის სინამდვილიდან გამოვალ. გავბედავ და ვიტყვი – ეს ოჯახი უფლებამოსილია იტვირთოს ეს მისია.

პაპაჩემ აძიას ჰყავდა სამი შვილი (ვაჟი) თოთია, თათარ და ჩაჩაური. თვითონ ყოფილა საშუალო შეძლების კაცი. მიუხედავად უკვე მოხსენიებული ხინკლით და დაშნით მტრის წარმატებით მოგერიებისა, დიდ მამაც, სახელოვან კაცად არ ითვლებოდა. უფროსი ბიძის თოთიას ოჯახი ტრაგიკულად ამოწყდა. დარჩნენ თათარ და ჩაჩაური.

თათარს ვყავდით სამი ვაჟი (პირველი ცოლ-შვილი მასაც ამონყვეტილი ჰყავდა): მამუკა, გიგია და ივანე. მამა იყო წარ-

მოუდგენელი ენერჯის, უმტკიცესი ნებისყოფის, გასაოცარი ჰუმანიზმისა და იუმორის მქონე. სულ მაოცებდა მის ბუნებაში არსებული ასეთი საპირისპირო თვისებები. შევსწრებივარ, მრისხანების ჟამს, როგორ იელვებდა ფოსოებში ღრმად ჩამჯდარ თვალთაგან თავზარდამცემი მომწვანო ნაპერწკალი. იგი ხუვსურეთში ითვლებოდა უმამაცეს კაცად. გადახდილი ჰქონდა რამდენიმე მძიმე შუღლი, მათ შორის ერთი მთელი საგვარეულოს წინააღმდეგ; ლექსიც იყო „ბერლოჯანათ დაერია უპერანგოთ თათარიო...“ („უპერანგოთ“ გვეძახდნენ). ოჯახში იყო მეტისმეტად მომთხოვნი, მაგრამ უალრესად სამართლიანი. მიუხედავად იმისა, რომ მისგან უბრალოდ ხელისნამოკვრაც კი არავის გვახსოვდა, დაფეთებულები ნამოვხტებოდით ადრე დილით ლოგინიდან მის ხმამალალ შეძახილზე – „ისევ ლოგინში გიყრიანო!“ გვიან მივხვდი, რომ ეს მისი დიდაქტიკური მეთოდი იყო: ერთ სამუშაოზე უთენია გასული რომ შემობრუნდებოდა ჩვენ გასალვიძებლად, ვითომ მეუღლეს უჯავრდებოდა, თორემ სად იყო დედაჩემი, ვინ იცის, თავის საქმეზე.

დედა და მამა დღე და ღამ შეუსვენებლად შრომობდნენ. ოჯახში, როგორც ყველა ხევსურს, თვით სახლის ჩათვლით, ყველაფერი თავის ხელით ჰქონდათ გაკეთებული (სამეურნეო, საოჯახო ინვენტარი, ნივთები, ტანისამოსი და ა. შ.). ვიყავით სამი ვაჟი, ყველაფერი სამი ოჯახისთვის უნდა მომზადებულიყო, თვით სახნავ-სათესიც, სახლი, იარაღი, ჯამ-ჭურჭელი და ა. შ. ეს იყო მეტად რთული საქმე, რადგან ადგილზე გარემო პირობები მეტად შეზღუდული გახლდათ.

აღზრდის მთავარი მეთოდი იყო შრომითი აღზრდა, ფიზიკური აღზრდის მთავარი სახე. 4-5 წლის ასაკიდან უკვე ჩაბმული ვიყავით შრომაში. იწყებოდა ხბორების მწყემსობიდან, ბანზე გაფენილი საფქვავეიდან ჩიტების გაფრთხობით, საჩაღლის ყარაულობით, წყაროდან წყლის მოტანით. შემდეგ კი მუდამ თან ვახლდით დედ-მამას საგარეო და შინა საქმეშიც ან

საქონელს ვმწყემსავდით. ყოველთვის მოინახებოდა სათანადო ასაკობრივი სამუშაო ყველასათვის. გართობა-ფუქსავატობისათვის ვინ მოგაცლიდა. შესვენებები თვით სამუშაოზე კეთდებოდა პურობისას ან სპეციალურად გამოცხადებულ დროს.

ჩვენ დროს გაჩნდა მოზარდი თაობის შრომა-აღზრდის ახალი ფორმა, რამაც სერიოზულად გაართულა ხევსურთა ოჯახის ფუნქცია. ეს იყო სკოლა, სწავლა; მართალია იგი ყველასათვის სავალდებულოდ არ ითვლებოდა, მაგრამ ჩვენისთანა ოჯახისათვის აუცილებელი იყო. მამაჩემის მტკიცე გადანიყვებილებით სამივეს უნდა დაგვემთავრებინა საშუალო სკოლა. ამან საგრძნობლად დაამძიმა მშობლების და ჩვენი მდგომარეობაც. არავითარი გარე დამხმარე ძალა (მოჯამაგირე ბევრს ჰყავდა) არ გამოგვიყენებია.

ცალკე საკითხია აღზრდის მორალური მხარე. შვილები ნასწავლები უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ, ამავე დროს, კაცური კაცებიც, მამაცებიც. მამაცად ქცევასაც რომ აღზრდა სჭირდებოდა, ამას კარგად ხედებოდა მამაჩვენი. ამ საქმეში ერთ-ერთი უმთავრესთაგანი იყო იარაღით შუღლი. ბავშვობიდან ყრმობაში რომ გადავდიოდით, საჭირო გახდა 3 მსუბუქი ხანჯალი, ამასთან შევერცხლილი, ყრმობიდან ვაჟკაცობაში გადასვლისას – 3 ნამდვილი საბრძოლო (დიდი) ხანჯალი. ფარ-ხმალი ერთი კომპლექტი გვექონდა, ამ დროს ხმალი ფაქტობრივად უკვე გამოვიდა ხმარებიდან. იარაღის ხმარებას კი ცოდნაც უნდოდა. 12 თუ 13 წლისა რომ ვიყავი, დავინახე მამაჩემი ღმართებს დაშნას, პირი მოუტანია საიდანლაც, უკეთებს ქარქაშს, ხეტარს, კემუხტს (ტყავის გარსაცმს) და სხვ. თან ლაპარაკობს (თითქოს თავისთვის): „დაშნას სხვანაირი ხმარება უნდა, უბრალო შუღლში ახლოდან უნდა დაჰკრა, შუა წელი, მსუბუქი ჭრილობა იქნება, წვერი რომ ჩამოჰკრა, თავს გაუხეჩ კაცს და მოკლავ (დაშნას მრგვალი წვერი აქვს და არა წვეტიანი ხმალ-ხანჯალივით). „ფარ რო-

საც არ გაქვ იარაღ სიმტყივ უნდა შაუფარ მაქნეულს, ას-  
ლეთილს ხმალ-დაშნაის ვადა დაიჭერს, ხანჯარს კი ძვლისა  
ან რქისტარ უნდა ხქონდას, თორე ხისას იარაღის პირ გახ-  
ერს და ხელსაც ზედ მიაყოლებს“. ე. ი. უნდა დაუფლებოდი  
იარაღის მსუბუქად ხმარების ჩვევას, თორემ ჩვეულებრივ  
შულღში თუ ჩახოცავდა ხალხი ერთმანეთს, რა გამოვიდოდა!  
